ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

**საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია, გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. იხილეთ აღნიშნული გადაწყვეტილებები**

გვ. 6-7

განჩინებები იხილეთ გაზეთ „ახალი თაობის" ინტერნეტსაიტზე www.atb.ge

პარასკევი, 21 იანვარი, 2011 №17 (5402) ფასი: 30 თეთრი

# დევნილთა გამოსახლების ახალი ეტაპი დაიწყო



## ოპოზიცია დახმარებისთვის საერთაშორისო თანამეგობრობას მიმართავს

გვ.2

## ხელისუფლება დევნილების წინააღმდეგ სადამსჯელო ღონისძიებებს ატარებს



გვ.3



გვ.4

## ვეტერანები სამართლის პოვნას აქციებით აპირებენ

## საქართველოს დასათვალიერებლად ჩამოსულ ბურებს ჩვენი ხელისუფლება ქირას უხდის

გვ.7



გვ.5

## ქართველებს ერთობა არა გვაქვს და ესაა ჩვენი უბედურება

ადრე იყვნენ შობელი აღლები,
ახლა არიან ნობელი აღლები



გვ.4

## ამერიკა იარაღს არ მოგვაწვდის

## დევნილი ვერა ქობალია დევნილების წინააღმდეგ მოქმედებს

გვ.3



## ხელისუფლება და ოპოზიცია ერთმანეთს გაურიგდნენ

გვ.8

## როდის გამონახავს ხელისუფლება მიხეილ ჯავახიშვილის ძეგლისთვის თანხებს

გვ.5



## 3090

sms განცხადებები „ახალ თაობაში"

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის" უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი


ISSN 1987-9385



**2** სასამართლოს მომხმარებელთა გამოკითხვის შედეგები

**8** „მე მიყვარს საქართველო" — ახალი ფილმის გადაღებები იწყება

**4** დიდთოვლობის გამო საავტომობილო გზებზე მოძრაობა შეზღუდულია

**9** ფიფა-უეფა საფეხბურთო რევოლუციას ამზადებს

# დევნილთა გამოსახლების ახალი ეტაპი დაიწყო

## ოპოზიცია დახმარებისთვის საერთაშორისო თანამეგობრობას მიმართავს

ნათია ხურცილავა

**დევნილების გამოსახლების მორიგი ტალღა გუშინ დაიწყო. ბაგების სტუდქალაქის ტერიტორიიდან დილის 7 საათზე 120-მდე ოჯახი 500 პოლიციელმა იძულებით გამოასახლა და გაურკვეველი მიმართულებით სტუდქალაქის ტერიტორიიდან გაიყვანა.**



ყვითელი ავტობუსებითა და სატვირთო მანქანებით დევნილები სამეგრელოს, იმერეთისა და კახეთის მიმართულებით გადაიყვანეს, თუმცა, კონკრეტული მისამართი უცნობია.

დევნილების გამოსახლების პროცესს თან ახლდა შეხლა-შემოხლა. პოლიციამ, რომელიც სტუდქალაქის ტერიტორიაზე იყო მობილიზებული, რამდენიმე ადამიანი დააკავა.

ჯულიეტა ცინდელიანი, ირინა ფირცხელიანი, ბელა ხერგიანი, ნაზი იოსელიანი პოლიციამ დაკავებისთანავე საბურთალოს პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანა.

საპატრულო პოლიციამ ასევე დააკავა არასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფალი საქართველოს“ წევრი გია ყრუაშვილი.

გამოსახლების პროცესს ევროკავშირის მონიტორები აკვირდებოდნენ. ევროკავშირის მისიის წარმომადგენლებმა შენობაში გადაწყვიტეს შესვლა, თუმცა ისინი პოლიციამ შეაჩერა და შიგნით არ შეუშვა.

კითხვაზე, პოლიციას ჰქონდა თუ არა მათი შეჩერების უფლება, ევროკავშირის მონიტორებმა განაცხადეს, რომ ისინი ჩვენს ქვეყანაში სტუმრები არიან, შესაბამისად, ქვეყნის პოლიციას ემორჩილებიან და პატივს სცემენ საქართველოს, თუმცა, განგვიმარტეს, რომ მათ მიერ გაკეთებული ჩანაწერები სათავო ოფისში მიდის და იქ მოხდება მისი შეფასებაც.

— სათავო ოფისში, ბრიუსელში მიდის ჩვენ მიერ გაკეთებული ჩანაწერები. ჩვენ ვართ ბრიუსელის, ე.ი. ევროკავშირის თვალი და ყური თქვენს ქვეყანაში, ევროკავშირის მისიის მონიტორები. ჩვენ განსაკუთრებით იმ პროცესს ვაკვირდებით, რომლებიც დევნილების საკითხს ეხება, — გვითხრა ევროკავშირის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა.

დევნილები, რომლებიც ავტობუსებში პოლიციელებს ძალით ჰყავდათ ჩასმული, ჟურნალისტებთან კომენტარებს ვერ აკეთებდნენ. სტუდქალაქში შესასვლელ ჭიშკარს პოლიციელების კორდონი იცავდა, შესაბამისად, ჟურნალისტებს აკრძალული ჰქონდათ შიგნით შესვლა.

სტუდქალაქის ტერიტორიაზე გამოსახლებული დევნილების ნათესავები მოგროვდნენ, რომლებსაც შიგნით არ უშვებდნენ.

დევნილმა ბელა მელიქიძემ ავტობუსის ფანჯრიდან მოახერხა ეთქვა, რომ ის მიდის, თუმცა, არ იცის — სად, მაგრამ პოლიციელმა მას უთხრა, რომ ტერიტორია დღესვე უნდა დაეტოვებინა.

პოლიციელები დევნილებს ეუბნებოდნენ, რომ იქვე მობილიზებული ავტობუსები მათ უფასოდ წაიყვანდა ნებისმიერი მიმართულებით.

დევნილებმა ბინების დაცლის შესახებ ინფორმაცია წინა საღამოს მიიღეს. როგორც მათი ნათესავები აცხადებენ, მათ არ მისცეს არანაირი მოსამზადებელი ვადა.

როგორც გამოსახლებული დევნილების ნათესავებისგან ცნობილი გახდა, დევნილთა სამინისტროს მიერ შეთავაზებული ფართები არის ზუგდიდის რაიონი ლესიჭინე, ფოცხო და ჩხოროწყუ.

დევნილები აცხადებენ, რომ ხელისუფლებას აქვს გეგმა, დედაქალაქის ტერიტორია ეტაპობრივად დაიცალოს დევნილებისგან.

მოგვიანებით დევნილთა საპროტესტო აქცია პარლამენტის შენობის წინ გაიმართა, სადაც პოლიტიკოსებმა, გამოსახლებული დევნილების ახლობლებმა და სხვა დევნილებმა მიიღეს მონაწილეობა.

საპროტესტო აქციის ორგანიზატორებმა აქციის დაწყებამდე განცხადება გააკეთს, რომ კარვებს გაშლიან და საპროტესტოდ დასხდებიან, მაგრამ მოგვიანებით თავი შეიკავეს. ალექსანდრე შალამბერიძემ, ლაშა ჩხარტიშვილმა და ეკა ბესელიამ მიიღეს გადაწყვეტილება, რომ საელჩოებს დაუგზავნიან ინფორმაციას მომხდარი ფაქტის შესახებ და შემდეგ მიიღებენ გადაწყვეტილებას.

დევნილებმა გასულ ზაფხულს გაშალეს საპროტესტო კარვები დევნილთა და განსახლების სამინისტროსთან.

**დენიზა იოსელიანი, აფხაზეთიდან დევნილი:**

— ნათესავებისგან გავიგეთ, რომ დევნილებს ასახლებდნენ, ამიტომ მივედი, მაგრამ ვერ შევედი, წინააღმდეგობა დამხვდა, პოლიციის კორდონი იყო. რატომ არ გვიშვებთ? — ამის თქმა იყო და დაგვაკავეს. არსად წავუყვანივართ, მანქანაში ვყავდით პოლიციას, მაგრამ გულის წასვლამდე მივედით და მერე ჩვენი მოცილება გადაწყვიტეს. საპატრულო მანქანა არ იყო. ვინც მე მიპოვა, იმან მითხრა, შავი მანქანიდან გადმოგსვესო. მე არაფერი მახსოვს. დაახლოებით ნახევარი საათი ვყავდი მანქანაში პოლიციას.

**ლუბა დარსანია, აფხაზეთიდან დევნილი:**

— მე აფხაზეთიდან დევნილი ჟურნალისტი ვარ. დევნილები ისე გამოასახლეს, არავითარი კომპენსაცია, და ალტერნატივა არ შესთავაზეს. დილის 7 საათზე დაადგნენ თავზე და უბრძანეს, რომ სახლი დაეცალათ. მათ ამის უფლება არა აქვთ. ძალადობის გამოყენების უფლება არა აქვთ. მშიერი ბავშვები, მოხუცები ქუჩაში გამოყარეს. ახლა მიჰყავთ გადაკარგულ ადგილებში. არც კი გამიგია, ისეთი სოფლები დასახელდა. როგორ შეიძლება, ძალადობა გამოიყენო შენივე მოქალაქის წინააღმდეგ. ასეთი დამცირება ჩვენ არ გვეკუთვნის. როდესაც აფხაზეთიდან მოვდიოდით, აფხაზებმა გამოგვყარეს ტყვიებით და იმიტომ წამოვედით, ჩვენი ნებით ხომ არ წამოვსულვართ. გმირთა მოედანზე ჩემი ახლობლების, 12 ადამიანის გვარი და სახელია ამოტვიფრული. ჩემი ქალიშვილი მუშაობდა შარტავასთან და იქ დამრჩა, ახლა მხოლოდ სურათი მაქვს. კობა სუბელიანს რა ესაქმება დევნილებთან, არ ვიცი. არც იღებს ჩვენს ხალხს. ძალიან ცუდ მდგომარეობაში ვართ. პატარა, მცირეწლოვან ბავშვებთან ერთად გადაასახლეს ჩემი სიძე და მისი შვილები, მშობლები. ახლა მათთან ვარ მოსული და დასაკარგავში უშვებენ. ბარგი ჩაულაგეს და გავაცილე. ამდენი პოლიცია თუ გვყავდა, არ ვიცოდი. ირგვლივ კორდონი აქვთ გაკეთებული და შიგნით არავის აღარ უშვებენ. შიგნითაც

გაგრძელება მე-3 გვერდზე

# სასამართლოს მომხმარებელთა გამოკითხვის შედეგები

„2011 წელს სასამართლოებისთვის პრიორიტეტი მართლმსაჯულების ხარისხის გაუმჯობესება იქნება“- განაცხადა გასული წლის შემაჯამებელ ბრიფინგზე უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ კონსტანტინე კუბლაშვილმა.

მართლმსაჯულების ხარისხის მთავარი შემფასებელი კი საზოგადოება, ანუ ის ადამიანები არიან, რომლებმაც უკვე ისარგებლეს სასამართლოს მომსახურებით ან მომავალში აპირებენ მიმართონ სასამართლოს. საზოგადოების განწყობას კი ძირითადად სხვადასხვა ტიპის და ფორმატის კვლევები ასახავენ.

2010 წელს სხვადასხვა კვლევითი კომპანიების მიერ სამი ფართომასშტაბიანი გამოკითხვა ჩატარდა, სადაც წინა წლებთან შედარებით, სასამართლოს მიმართ მოსახლეობის ნდობა აშკარად გაზრდილი იყო და იგი საშუალოდ, 60-65 პროცენტს შეადგენდა.

საგულისხმოა ის გარემოება, რომ სასამართლოები უკვე საკუთარი ძალებით აგრ□ელებენ კვლევებს, რაც წინა შედეგების მონიტორინგისა და სიტუაციის კონსტროლისთვისაა აუცილებელი.

2010 წლის მაისში, სასამართლოს ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის რეფორმის პროექტის (DFK) მხარდაჭერით ჩატარდა სასამართლოს მომხმარებელთა კვლევა საქართველოს 6 დიდ რაიონულ სასამართლოში, მათ შორის ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოშიც, სადაც სულ გამოიკითხა 360 მოქალაქე. გამოკითხვის მიზანი სასამართლოს მომხმარებლების მიერ დაფიქსირებული პასუხების ანალიზი, პრობლემების გამოვლენა და მათი გამოსწორება გახლდათ. კვლევის შედეგად დაფიქსირდა, რომ სასამართლოს მომხმარებლების 96-მა პროცენტმა სასამართლოს თანამშრომელთა დამოკიდებულება შეაფასა როგორც ზრდილობიანი და თავაზიანი, ხოლო სასამართლოს მომხმარებლების 50 პროცენტი მიიჩნევდა, რომ მათი საქმის გადაწყვეტა მოხდა დროულად. რაც შეეხება სასამართლოსადმი ნდობის პროცენტულ მაჩვენებელს, გამოკითხულთა 70 პროცენტი მთლიანად ან ნაწილობრივ ენდობოდა სასამართლოს (მთლიანად - 46 პროცენტი, ხოლო ნაწილობრივ - 24 პროცენტი).

2010 წლის 21-28 დეკემბერს ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის დავით მამისეიშვილის გადაწყვეტილებით, უკვე საკუთარი ძალებით, სტაჟიორების დახმარებით განხორციელდა იგივე შინაარსის კვლევა.

ამჯერად გამოიკითხა 228 რესპოდენტი.

გამოკითხვამ აჩვენა, რომ ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში მომხმარებლების დადებითი განწყობა სასამართლოს მიმართ ყველა პარამეტრის მიმართ გაზრდილია, რაც საბოლოოდ, აისახა კიდეც ნდობის მაჩვენებელზე.

დეკემბრის გამოკითხვის შედეგების მიხედვით, სასამართლოს ენდობა გამოკითხულთა 66 პროცენტი, (რაც 20 პროცენტით მეტია წინა გამოკითხვასთან შედარებით) ხოლო ნაწილობრივ ენდობა გამოკითხულთა 18 პროცენტი.

საყურადღებოა, რომ 228 რესპოდენტიდან, ანალოგიურ გამოკითხვაში უკვე მონაწილეობდა 50 მოქალაქე (ე.ი გამოკითხულთა 22 პროცენტი, რომელთაგან სასამართლოს მიმართ დამოკიდებულება შეიცვალა:

ა) დადებითად 36 მოქალაქისთვის, ე.ი. 72%;

ბ) არ შეიცვალა 11 მოქალაქისთვის, ე.ი. 22%;

გ) შეიცვალა უარყოფითად 3 მოქალაქისთვის, ე.ი 6 %.

ანალოგიური კვლევების ჩატარება სხვა რაიონულ სასამართლოებშიც იგეგმება.

| ხელვაჩაური | 2010წლის მაისი | | 2010 წლის დეკემბერი | |
|---|---|---|---|---|
| გამოკითხულთა რაოდენობა | 363 | % | 228 | % |
| **1. რა სტატუსით მობრძანდით სასამართლოში?** | **363** | **100,0** | **228** | **100,0** |
| ა) ადვოკატი | 58 | 16,0 | 40 | 17,5 |
| ბ) პროკურორი | 8 | 2,2 | 2 | 0,9 |
| გ) მოსარჩელე-მოპასუხე | 65 | 17,9 | 51 | 22,4 |
| დ) ბრალდებული | 6 | 1,7 | 9 | 3,9 |
| ე) მოწმე | 25 | 6,9 | 18 | 7,9 |
| ვ) აუდიტორიის წევრი | 79 | 21,8 | 52 | 22,8 |
| ზ) სხვა | 122 | 33,6 | 56 | 24,6 |
| **2. რამდენ ხანს მოგიწიათ ლოდინი, ვიდრე ყურადღებას მოგაქცევდნენ?** | **363** | **100,0** | **228** | **100,0** |
| ა) დროულად გამიწიეს მომსახურება | 256 | 70,5 | 194 | 85,1 |
| ბ) 10 წუთზე ნაკლები | 47 | 12,9 | 22 | 9,6 |
| გ) 10-20 წუთი | 18 | 5,0 | 6 | 2,6 |
| დ) 20-30 წუთი | 7 | 1,9 | 2 | 0,9 |
| ე) 30-40 წუთი | 9 | 2,5 | 1 | 0,4 |
| ვ) 45 წუთი — 1 საათი | 4 | 1,1 | 1 | 0,4 |
| ზ) ერთ საათზე მეტი | 22 | 6,1 | 2 | 0,9 |
| **3. მიიღეთ თუ არა ის ინფორმაცია, რომელსაც სასამართლოში ეძებდით?** | **360** | **100,0** | **226** | **100,0** |
| ა) დიახ, მივიღე | 251 | 69,7 | 160 | 70,8 |
| ბ) არა, ვერ მივიღე | 51 | 14,2 | 31 | 13,7 |
| გ) ნაწილობრივ მივიღე | 58 | 16,1 | 35 | 15,5 |
| **4. როგორ შეაფასებდით სასამართლოს თანამშრომელთა დამოკიდებულებას თქვენდამი:** | **363** | **100,0** | 228 | 100,0 |
| ა) ძალიან ზრდილობიანი და თავაზიანი | 121 | 33,3 | 105 | 46,1 |
| ბ) ზრდილობიანი და თავაზიანი | 229 | 63,1 | 116 | 50,9 |
| გ) არც ზრდილობიანი და არც თავაზიანი | 13 | 3,6 | 7 | 3,1 |
| **5. რამდენად დამაკმაყოფილებელი იყო მისაღები და სხვა ადგილები სასამართლოში?** | **360** | **100,0** | **228** | **100,0** |
| ა) ძალიან დამაკმაყოფილებელი | 92 | 25,6 | 110 | 48,2 |
| ბ) დამაკმაყოფილებელი | 226 | 62,8 | 109 | 47,8 |
| გ) არადამაკმაყოფილებელი | 42 | 11,7 | 9 | 3,9 |
| **6. დროულად მოხდა ან ხდება თუ არა თქვენი საქმის გადაწყვეტა?** | **362** | **100,0** | **226** | **100,0** |
| ა) დიახ | 183 | 50,6 | 129 | 57,1 |
| ბ) არა | 48 | 13,3 | 15 | 6,6 |
| გ) ნაწილობრივ | 67 | 18,5 | 41 | 18,1 |
| დ) მიჭირს პასუხის გაცემა | 64 | 17,7 | 41 | 18,1 |
| **7. ენდობით თუ არა სასამართლოს?** | **360** | **100,0** | **228** | **100,0** |
| ა) ვენდობი | 166 | 46,1 | 151 | 66,2 |
| ბ) ნაწილობრივ ვენდობი | 88 | 24,4 | 41 | 18,0 |
| გ) უფრო არ ვენდობი | 23 | 6,4 | 4 | 1,8 |
| დ) საერთოდ არ ვენდობი | 48 | 13,3 | 18 | 7,9 |
| ე) მიჭირს პასუხის გაცემა | 35 | 9,7 | 14 | 6,1 |

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24, თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# ხელისუფლება დევნილების წინააღმდეგ სადამსჯელო ღონისძიებებს ატარებს

ნანა მიშელაშვილი

**დევნილების გამოყრის პროცესმა საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელი აღაშფოთა. გუშინ დევნილების გამოსახლება ორი სხვადასხვა ადგილიდან დილიდან დაიწყო. დევნილებს ასახლებდნენ ბაგებში მდებარე სტუდქალაქის შენობიდან და ორხევის დასახლებაში მდებარე საბაჟო დეპარტამენტის ყოფილი შენობიდან.**

დევნილების გამოსახლების პროცესთან დაკავშირებით საგანგებო განცხადება გააკეთა პარლამენტის ოპოზიციონერმა ვიცე-სპიკერმა პაატა დავითაიამ და ხელისუფლება მწვავედ გააკრიტიკა.

ოპოზიციონერმა ვიცე-სპიკერმა პაატა დავითაიამ თბილისიდან დევნილების გამოყრის პროცესი აფხაზი სეპარატისტების მიერ ქართველების გამოყრის პროცესს შეადარა.

— საქართველოს ხელისუფლება აგრძელებს დამსჯელ ღონისძიებას დევნილების მიმართ, რაც აღმაშფოთებელია, — განაცხადა პაატა დავითაიამ.

ვიცე-სპიკერმა პარალელი გაავლო სეპარატისტების მიერ სოხუმიდან ქართველების გამოყრასა და თბილისიდან დევნილების გამოსახლებას შორის.

პაატა დავითაიას განცხადებით, ერთადერთი განსხვავება იმაშია, რომ სეპარატისტები დილის 5 საათზე იწყებდნენ ხალხის გამოყრას, ხოლო დევნილებს თბილისიდან 7 საათზე ყრიან.

— როდესაც თბილისიდან დევნილების გამოყრას ვუყურებდი, გამახსენდა სოხუმი, როდესაც სეპარატისტები დიდ მანქანებს აყენებდნენ და ქართველების ქონების ჩატვირთვა და გატანა ხდებოდა. ასევე ხდებოდა ალყის დარტყმა და ადგილზე ხვრეტა. განსხვავება იმაშია, რომ აქ ადგილზე დახვრეტვა არ მოხდა. ხელისუფლებას მინდა ვურჩიო, როდესაც ოპერაციას 7 საათზე იწყებენ, 5 საათზე დაიწყონ, რადგან სეპარატისტები დამსჯელ ღონისძიებებს 5 საათზე იწყებდნენ, — ასეთი კატეგორიულია დავითაია.

ვიცე-სპიკერის განცხადებით, სეპარატისტები წინა დღეს აფრთხილებდნენ ქართველებს, რომ დილის 5 საათზე დაიწყებოდა შეტევა და ასეც ხდებოდა. მანვე ისაუბრა დევნილთა მიმართ საერთაშორისო ნორმების დარღვევასა და გაეროს რეზოლუციების უგულებელყოფაზე, რომელიც ლტოლვილებს შეეხება.

— რომელ აფხაზეთისა და ცხინვალის დაბრუნებაზეა საუბარი? რომელ მოხიბვლასა და აფხაზებისა და ოსების ჩვენთან თანაცხოვრებაზეა საუბარი? ამ ქმედებების შემდეგ, რასაც ჩვენ ვხედავთ? საქართველოს ხელისუფლებას მოვუწოდებ: დაუყოვნებლივ შეაჩეროს ეს პროცესი! — აღნიშნა დავითაიამ და იმ დევნილების გათავისუფლება მოითხოვა, რომლებიც გუშინ პოლიციამ დააკავა.

დევნილების გამოსახლებისა და დაპირისპირების დროს პოლიციამ რამდენიმე დევნილი დააკავა. ამის გამო ოპოზიციის განცხადებები კიდევ უფრო კატეგორიული გახდა.

პაატა დავითაიას შეფასებით, განსხვავება იმაშია, რომ აფხაზი და ოსი სეპარატისტები ხალხს ადგილზე ხვრეტდნენ, თბილისში კი — აკავებენ.

დეპუტატი მიიჩნევს, რომ მსგავსი ქმედებები ცუდად იმოქმედებს ქვეყნის იმიჯზე. ვიცე-სპიკერმა ლტოლვილთა სამინისტროსთან დაკავშირებითაც გააკეთა განცხადება, უფრო სწორად, იმ განცხადებასა და პიარზე, რითაც ბოლო პერიოდში სამინისტროა დაკავებული.

ვიცე-სპიკერი განმარტავს, რომ ლტოლვილთა სამინისტროს მხრიდან პიარი მიმდინარეობდა, რომ 20 ათასამდე დევნილს საკუთრებაში გადაეცა კერძო საკუთრება.

პაატა დავითაიამ ბრიფინგზე საჯარო რეესტრის ამონაწერი წარმოადგინა, რომლის თანახმადაც, 30 დეკემბრის მდგომარეობით, მხოლოდ 7 ათას 257 ოჯახს მიეცა საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა, აქედან, თბილისში გაცემულია 5 ათას 620 ოჯახზე.

პაატა დავითაია ამბობს, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერში საერთოდ არ არის გატარებული ის დევნილები, რომლებიც ფოცხო-ეწერში არიან ჩასახლებული. დავითაიამ ასევე ისაუბრა პრემიერ გილაურთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ნიკა გილაური 2-ჯერ დაემალა ანტიკრიზისულ საბჭოს.

პრემიერი გილაური ოპოზიციის წარმომადგენლებმა ორჯერ დაიბარეს ანტიკრიზისული საბჭოს სხდომაზე, თუმცა, სხვადასხვა მიზეზის გამო, ეს სხდომა არ გამართულა.

ვიცე-სპიკერის შეფასებით, როდესაც ბავშვს, რომელსაც 40 გრადუსამდე სიცხე აქვს, გამოასახლებ, დევნილს სახლში უჯრას გამოუღებ, ნივთებს ტომარაში ჩაუყრი და გარეთ ძალით გამოიტან, ეს აღმაშფოთებელი და ყოვლად მიუღებელი ფაქტია.

პაატა დავითაია დევნილებთან დაკავშირებით განცხადებას 1 თებერვალს, პარლამენტის ბიუროს გახსნისთანავე გააკეთებს, მანამდე კი ხელისუფლებას მოუწოდებს, დევნილთა მიმართ ძალადობრივი ქმედებები შეწყდეს.

გუშინ დილიდან ხმაური იყო ბაგებში მდებარე სტუდქალაქის შენობაში, საიდანაც დევნილთა გამოსახლება ხორციელდებოდა. დილიდან სტუდქალაქის პერიმეტრი პოლიციელებით იყო გარშემორტყმული, შუადღისას კი სიტუაცია განიმუხტა.

გუშინ დილიდან ადგილზე სატვირთო მანქანით მიყვანილი იყო რამდენიმე ათეული პირი, რომლებსაც დევნილთა ნივთები გამოჰქონდათ. სტუდქალაქში პოლიციელები გუშინ დილის 07:00 საათზე მივიდნენ. დევნილთა დიდმა ნაწილმა 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად დატოვეს სახლები და სტუდქალაქის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ.



გუშინ დევნილთა გამოსახლება ორხევის დასახლებაში მდებარე საბაჟო დეპარტამენტის ყოფილი შენობიდანაც ხდებოდა. ცხინვალის რაიონის სოფელ ქემერთადან დევნილების ნაწილმა გაფრთხილება გამოსახლების შესახებ წინა დღეს მიიღო.

— 19 იანვარს პოლიცია მოვიდა და მოგვიტანა გაფრთხილება, თუმცა, ამ გაფრთხილებაში არანაირი თარიღი და დრო არ იყო მითითებული, 20 იანვარს კი ჩვენი გამოყრა დაიწყეს, — ამბობდნენ დევნილები.

მას შემდეგ, რაც პაატა დავითაიამ პარლამენტში ბრიფინგი გამართა, განცხადება გაავრცელა ლტოლვილთა სამინისტროს პრესსამსახურმა. მასში დეპუტატს მოუწოდებენ, არაკომპეტენტური განცხადებისგან თავი შეიკავოს.

— პაატა დავითაიას მოვუწოდებთ, თავი შეიკავოს არაკომპეტენტური და რეალობას მოკლებული განცხადებების გაკეთებისგან. პოპულისტური განცხადებებით მას შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება და შეურაცხყოფას აყენებს დევნილებს, — აღნიშნულია სამინისტროს პრესსამსახურის განცხადებაში.

სამინისტროს განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ განსახლების პროცესი მიმდინარეობს დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის სამოქმედო გეგმის თანახმად და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად შემუშავებული სპეციალური ოპერაციული პროცედურების მიხედვით.

— ეს პროცედურები შესაბამისობაშია ადგილობრივ კანონმდებლობასა და გაეროს იძულებით გადაადგილებულთა შესახებ სახელმძღვანელო პრინციპებთან, — ნათქვამია სამინისტროს პრესსამსახურის განცხადებაში.

გარდა ამისა, ლტოლვილთა სამინისტრო ოპოზიციის წარმომადგენლებს ვითარების ხელოვნურად დაძაბვაში ადანაშაულებს.

როგორც სამინისტროს მიერ გუშინ გავრცელებულ პრესრელიზშია აღნიშნული, ბაგების სტუდქალაქის ტერიტორიაზე, სადაც დევნილთა განსახლების პროცესი მიმდინარეობს, ზოგიერთი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი ხელოვნურად ძაბავს სიტუაციას. ისინი დევნილებს მოუწოდებენ, არ დატოვონ ტერიტორია და სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებენ იმ პოლიციელებს, რომლებიც ადგილზე წესრიგის დაცვას უზრუნველყოფენ.

— სწორედ ამგვარი პროვოკაციის საფუძველზე მოხდა რამდენიმე პირის დაკავება, — ამბობდნენ გუშინ ლტოლვილთა სამინისტროში.

სამინისტროს განმარტებით, მიმდინარეობს იმ ობიექტების დაცლა, სადაც დევნილები არალეგალურად ცხოვრობდნენ, თუმცა სამინისტრო უბინაოდ არავის ტოვებს.

კიდევ ერთი: ლტოლვილთა სამინისტრომ ასევე აღნიშნა, რომ დევნილებს გარემონტებულ ფართებს რეგიონებში საკუთარებაში სთავაზობენ და თან ტრანსპორტირებაში ეხმარებიან.

ამასთან, სამინისტრო უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს ბაგების სტუდქალაქის ტერიტორიაზე მდებარე ყველა კორპუსის გამოსახლება იგეგმება.

— ეს ინფორმაცია არ შეესაბამება სიმართლეს. შეგახსენებთ, რომ 2 კორპუსი დევნილებს საკუთრებაში გადაეცათ. რაც შეეხება დანარჩენ კორპუსებს, მასში დევნილები არალეგალურად ცხოვრობდნენ 2008 წლის შემდეგ. ყველას ვთავაზობთ საცხოვრებელ ფართებს რეგიონებში, საკუთრებაში, — განაცხადეს სამინისტროში.

ლტოლვილთა სამინისტროს წარმომადგენლების ამ განცხადებების არ სჯერა ოპოზიციას. ისინი აცხადებენ, რომ დევნილთა გამოსახლების დროს საერთაშორისო ნორმები იყო დარღვეული და ამ საკითხებზე ყურადღებას ყველა დონეზე გაამახვილებენ.

გუშინ პარლამენტში არ იმყოფებოდა უმრავლესობის არც ერთი წარმომადგენელი. ამდენად, მათი პოზიცია დევნილების გამოსახლებასა და გუშინ განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით უცნობია.

# დევნილთა გამოსახლების ახალი ეტაპი დაიწყო

დასაწყისი მე-2 გვერდზე

არიან. 1993 წლიდან ვცხოვრობ ბაგებში, სტუდქალაქის ტერიტორიაზე და მეც ველოდები დღე-დღეზე გაგდებას. ვიცი, რომ თბილისში არ დაგვტოვებენ. ძალადობის გამოყენება ყველამ დაგმო. შეთანხმებით უნდა მოხდეს მათი გაყვანა, კომპენსაციის გადახდა. უნდა იცოდეს ადამიანმა, სად უპირებ წაყვანას, სად აცხოვრებ. მიდიან, მაგრამ არ იციან, სად მიდიან. პური არა აქვთ. შაქარი არა აქვთ, ტანსაცმელი არა აქვთ, შეშა არა აქვთ. როგორ უნდა იცხოვრონ, ამაზე ვინმე პასუხს გამცემს? ეს არის კანონი? მე არ მიშვებდნენ, რომელიღაცა გამოდგა ღვთისნიერი და მან შემიშვა.

**ელისო მუშუქია, აფხაზეთიდან დევნილი:**

— აფხაზეთიდან, სოხუმიდან დევნილი ვარ. სამი შვილი მყავს. 18 წელია, რაც თბილისში ვცხოვრობ. ჯერჯერობით არ ვარ გამოსახლებული, მაგრამ მეც იგივე მელოდება. არჩევნების წინ გიგი უგულავამ გვითხრა, ვინც თბილისში ცხოვრობთ, ყველა დევნილები თბილისელები ხართო. ახლა უნდა დავტოვო თბილისი და ფოცხოში წავიდე? ახლა რომ გასახლებით გვემუქრებიან, 18 წლის წინ რატომ მოგვცეს თბილისში სტატუსი? მაშინ 20 ლარი ღირდა რაიონში ქირა და იმას გადავიხდიდი. საქართველოში, ალბათ, პერსპექტივა აღარ გვაქვს. 50 წლის ქალი ვარ და სამსახურსაც ვერ ვშოულობ.

**ეკა ბესელია:**

— ორი მოთხოვნა მაქვს. პირველი — შეწყდეს დევნილთა გამოსახლების უკანონო პროცესი და დევნილების მიმართ ძალადობის გამოყენება. მეორე — 6 ადამიანი, რომლებიც პოლიციის მიერ არიან დაკავებული, გათავისუფლდნენ. მათი დაკავება უკანონო იყო. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ადამიანები ადმინისტრაციული წესით დაკავდებიან. თუმცა, მათი დაკავების დროს არავის არაფერი განუმარტავს, მათი დაკავება ჩვენ თვალწინ მოხდა, როდესაც გამოსახლების პროცესი მიმდინარეობდა. ყრუაშვილი და დევნილთა კომიტეტის თავმჯდომარე სრულიად უკანონოდ დააკავეს. ისინი მხოლოდ იდგენ და არაფერს აკეთებდნენ, აქციის მონაწილეები იყვნენ. ეს არის მძევლად აყვანა, თავისუფლების უკანონოდ აღკვეთა. პოლიცია იქცეოდა, როგორც უფლებამოსილების გადამეტების სუბიექტი, რასაც არ შეიძლება, დასაბუთება ჰქონდეს. არ შეიძლება, ხელისუფლება საკუთარ ქვეყანაში ერთხელ უკვე დევნილებს ასე ექცეოდეს. ეს არის არანორმალური ქცევა, სისასტიკე და ძალადობა. სუბელიანს, ცრუ განცხადებების გაკეთებას ურჩევნია, საკუთარ დევნილებთან მივიდეს და ელემენტარული პასუხისმგებლობა აიღოს მათზე.

**გია ცაგარეიშვილი, თავისუფალი დემოკრატების წევრი:**

— ხელისუფლება გააკეთა ის, რასაც აკეთებდა. ეს ადამიანები ცინიკურად და თავხედურად აგრძელებენ თავიანთი თანამოქალაქეების დევნას, შევიწროებას, შეურაცხყოფას. თუ შეიძლება 6-7 სულიანი ოჯახების ღია ცისქვეშ გამოყრა, ეს დასკვნა თქვენმა მკითხველმა გააკეთოს. ადამიანები, რომლებმაც ვერ ივარგეს ვერც ცხინვალში, ვერც კოდორის ხეობაში, ივარგეს აქ, თბილისის ქუჩებში. სამხედრო სადამსჯელო ოპერაციებს უწყობენ თავიანთ თანამოქალაქეებს — სცემენ, იჭერენ, აკავებენ, შეურაცხყოფას აყენებენ. ეს არის ვანდალიზმი. დღეს ვინც გამოყარეს, მათ ფოცხოში ამწესებენ, რადგან იქ არის 350 ოჯახზე ე.წ. რეაბილიტირებული ცენტრი, სადაც ორჯერ ვარ ნამყოფი. ამიტომ, შემიძლია გითხრათ, რომ ის არის ფაქტიურად გარესამყაროს მოწყვეტილი ზონა, სადაც არც დენია და არც არანაირი პირობები. დენს ხაზს იმიტომ ვუსვამ, რომ 700-800 მეტრია ენგურჰესის კაშხლიდან დაშორება და ელექტროენერგია არ არის. არ არის საქმელი, არ არის მიწის სავარგულები, გათბობის საშუალება. ეს დასახლება ვიწრო ხეობაშია. საშინელი ქარი უბერავს, სადაც გაჩერება წარმოუდგენელია. აუთვისებელი ტერიტორიაა. ეს არის 70-იან წლებში აშენებული იმჟამინდელი საბჭოთა კავშირის ენერგეტიკის სამინისტროს მიერ სპეციალური საერთო საცხოვრებელი რუსი მუშებისთვის, რომლებიც კაშხალს აშენებდნენ. მერე დაიცალა ადამიანებისგან, რადგან ინგრეოდა ეს კორპუსები. ახლა სააკაშვილის მაღალჩინოსნებმა აქ იპოვეს ადგილი ლტოლვილების დასასახლებლად. სრული პასუხისმგებლობით გეუბნებით, რომ იქ ადამიანების ცხოვრება შეუძლებელია. სკოლა არ არის, ამბულატორია არ არის, ბაღი არ არის. სასურსათო მაღაზია არ არის. არის ერთი პატარა ფარდული, სადაც გამხმარი ძეხვი და ორი წლის წინანდელი კონსერვი იყიდებოდა. სუბელიანს ვთავაზობ, წავიდეს, მიირთვას გამხმარი ძეხვი და კონსერვი და იცხოვროს უგულავასთან ერთად ფოცხოში, თუ კარგია.

# დევნილი ვერა ქობალია დევნილების წინააღმდეგ მოქმედებს

**ხელისუფლებამ განაახლა დევნილების ქუჩაში გამოყრის პროცესი. გუშინ დევნილთა კიდევ ერთი დაწიოკების ფაქტი ვიხილეთ. 20 წლის წინ აფხაზეთიდან გამოძევებულ ქართველებს ახლა ჩასახლების ადგილებიდან ყრიან. თბილისში საქართველოს ხელისუფლება დევნილებს აწიოკებს, აფხაზეთში აფსუა სეპარატისტები და რუსები ქართველთა ქონებას ინაწილებენ.**

გულიკო ბალა ე

ორგანიზაცია „დაბრუნების“ ლიდერი მალხაზ პატარაია ამბობს, რომ საქართველოს ხელისუფლების მოქმედებაც უკანონოა, აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმისაც და რუსეთის ხელისუფლებისაც.

— ბატონო მალხაზ, დევნილთა გამოსახლების პროცესს ესწრებოდნენ და თვალყურს ადევნებდნენ საერთაშორისო ორგანიზაციები. ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები გარკვეული თვალსაზრისით ხელისუფლებასთან ალიანსში არიან და უკანონო ქმედებების განხორციელებას უწონებენ?

— არა. საერთაშორისო ორგანიზაციებს უბრალოდ ასეთი სპეციფიკა აქვთ. ისინი ცდილობენ, ხელისუფლებასთან კონფრონტაციაში არ შევიდნენ სხვადასხვა საკითხების გადაწყვეტის დროს, რადგან ხელისუფალი მაინც თავისი ტერიტორიის სუვერენია.

— ხელისუფლებას სურს დევნილთა ფენა თბილისში არ არსებობდეს?

— ხელისუფლების ქმედების სრულყოფილი შეფასება მიჭირს. არსებობს ძალიან ძველი ინერცია, რომელიც გამოყვა ამ ხელისუფლებას ძველი ხელისუფლებისაგან. ასევე არსებობს ე.წ. ვიეტნამის სინდრომი, რომელიც დასავლეთში შესწავლილია. მიუხედავად იმისა, ამერიკაში არსებობდა რეაბილიტაციის ძალიან განვითარებული სისტემა (სოციალური, ფსიქოლოგიური), ვიეტნამიდან დაბრუნებული ამერიკელი ჯარისკაცები (რომელიც ძალიან მრავალრიცხოვანი იყო, დაახლოებით, 100 ათასი ამერიკელი) ამერიკულმა საზოგადოებამ ისინი არ მიიღო. საზოგადოებაში ინტეგრირება მათ ძალიან გაუჭირდათ. ის ადამიანები, ვინც თავის თავზე გამოსცადა ომის საშინელებები, სერიოზულად შეეცვალათ ღირებულებები. დანარჩენ საზოგადოებასთან მათ საერთო ენის გამოძებნა უჭირდათ.

— საქართველოს ხელისუფლებას უჭირს დევნილების მიღება?

— არა მარტო ხელისუფლებას, საზოგადოებასაც უჭირდა. საზოგადოებას არ უყვარს საკუთარი ტკივილების შეხსენება. დევნილები მუდმივად ჩვენს ხელისუფლებას და საზოგადოებას ახსენებენ იმ ტკივილს,

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# ამერიკა იარაღს არ მოგვაწვდის

ნონა ცაბა ე

## ინტერვიუ სამხედრო ექსპერტ ირაკლი სესიაშვილთან

***— ბატონო ირაკლი, სააკაშვილი-ობამას შეხვედრა რუსული მედიის ყურადღების ცენტრშიც მოექცა, მათი ინფორმაციით ამ შეხვედრაზე საუბრის ძირითადი თემა იარაღის მოწოდებას უკავშირდებოდა, სააკაშვილმა ობამას იარაღის მოწოდების აღდგენა სთხოვაო, თქვენ რას ფიქრობთ ამ საკითხთან დაკავშირებით?***

— აღგვიდგენს — ნიშნავს, რომ რაღაცას გვაწოდებდნენ და ახლა უნდა განვაახლოთ. ფაქტიურად ჩვენ ამერიკა იარაღის მოწოდებაში რაიმე მნიშვნელოვან დახმარებას არ გვიწევდა. გვეხმარებოდა წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის ფარგლებში და აქ რაიმე ისეთი ტიპის იარაღზე საუბარი არ არის, რომელიც გარდამტეხი იქნებოდა ომის დროს, ან ომის შემდეგ. რაც შეეხება ზოგადად ვითარებას ომამდე და ომის შემდგომ, საქართველოს ხელისუფლება ცდილობდა ამერიკასთან ამ ტიპის ურთიერთობა გაეღრმავებინა და მართლაც ამერიკა საქართველოსთვის სამხედრო იარაღის მომწოდებელი ყოფილიყო, მაგრამ ეს არ შედგა, არც ბუშის დროს და არც ობამას დროს იმდენად რამდენადაც შეერთებული შტატები ამ საკითხს ძალიან ფაქიზად და ფრთხილად ეკიდება.

***— რა მიზეზით?***

— მიზეზი რამდენიმეა, ერთი ის, რომ ჩვენ გვაქვს კონფლიქტი რუსეთთან და შეერთებულ შტატებს სურს, რომ რუსეთთან კონსტრუქციული ურთიერთობა ჰქონდეს, განსაკუთრებით ობამას მოსვლის შემდგომ და განსაკუთრებით გადატვირთვის პოლიტიკის ფარგლებში. მეორეს მხრივ იცის, რა შეერთებულმა შტატებმა, რომ რაც არ უნდა იარაღი მიაწოდოს საქართველოს, საქართველო მაინც ვერ შეძლებს იმ უსაფრთხოების უზრუნველყოფას, რაც საჭიროა. მით უმეტეს, შეიძლება საქართველოსთვის იარაღის მიწოდებამ სიტუაცია კიდევ უფრო დაძაბოს და რუსეთმაც თავის მხრივ, რომელიც იარაღის სიჭარბით გამოირჩევა, დამატებით შემოიყვანს იმ ოკუპირებულ ტერიტორიებზე სამხედრო ნაწილებს და ტექნიკას და კიდევ უფრო დაძაბავს სიტუაციას რეგიონში. ამიტომ მე როგორც მეჩვენება, შეერთებული შტატების პოლიტიკა მდგომარეობს იმაში, რომ რუსეთთან კონსტრუქციული თანამშრომლობის ფარგლებში მიიღოს რუსეთიდან პოლიტიკური გარანტიები, რომ საქართველოზე თავდასხმას არ განახორციელებს რუსეთი. სანაცვლოდ რუსეთმა მიიღოს გარანტიები, რომ შეერთებული შტატები საქართველოს აქტიურად არ დაეხმარება სამხედრო სფეროში. ხოლო რაც შეეხება სხვა დეტალებს და წვრილმანებს, მე მართლაც ვფიქრობ, რომ შეერთებული შტატები ჩვენ სამხედრო სფეროში დაგვეხმარება, მაგრამ ეს იქნება თანმიმდევრული, ეს იქნება ეტაპობრივი, ეს იქნება მცირე დოზებით, სწორედ იმ ფაქტორების გათვალისწინებით, რაც მე ჩამოვთვალე. დავატებ იმ ფაქტორს, რომ ჩვენ მართლაც რომ გვჭირდება იარაღი, რათა ჩვენმა მოწინააღმდეგემ არ იფიქროს ჩვენზე თავდასხმა. გარდა ამისა, ჩვენ გვჭირდება იარაღი, თანამედროვე ტექნიკა, სამხედრო ტექნიკა იმისათვის, რომ ჩვენმა სამხედროებმა აითვისონ ეს იარაღი, ისწავლონ და საჭიროების შემთხვევაში თუ დაგვჭირდა და საჭირო გახდა ჩვენი დახმარება, თუ მოგვაწვდიან ოპერატიულად ამ იარაღს, მაშინ იმის სროლაც უნდა ვიცოდეთ. ამიტომ მე მიმაჩნია, რომ ეტაპობრივად, თანმიმდევრულად, მცირე დოზებით, შეერთებული შტატები დაგვეხმარება.

***— ითქვა ისიც, რომ სააკაშვილს ახალი კონფლიქტის დასაწყებად სჭირდება იარაღიო...***



— ჩვენმა საზოგადოებამ სააკაშვილი ნახა 2008 წლის ომის პერიოდში როგორი შეშინებული იყო და მთელი ჯარი მოიხმო თბილისში, რათა საკუთარი ძალაუფლება დაეცვა. ასე რომ, სააკაშვილმა კარგად იცის, თუ ახალ ომს დაიწყებს, რუსეთს მწვანე ექნება ანთებული ჩამოვიდეს თბილისამდე და ამას უბრალოდ ვერ გაბედავს. ამიტომ ეს ახალი ომი შეგვიძლია დიდი ხნით დავივიწყოთ.

***— რაც შეეხება რუსულ-ქართულ ურთიერთობებს, სააკაშვილმა ასევეა ამერიკაში ვიზიტის დროს განაცხადა, რომ რუსეთი უპირობოდ უნდა დათანხმდეს ჩვენთან დიალოგსო. თქვენი აზრით, რამდენად არის ამის შანსი? თუ ეს უბრალოდ განცხადებისთვის თქვა მან?***

— იცით რა არის, როგორც 2008 წელს ორივე მხარეს უნდოდა ომი და ეს ომი შედგა, ისე ამ შემთხვევაშიც ორივე მხარეს უნდა უნდოდეს დიალოგი. მე მეჩვენება, რომ არც მედვედევს და არც სააკაშვილს ამ დიალოგის წარმართვა არ სურთ. მედვედევს იმიტომ არ სურს, რომ ის უპირატეს სიტუაციაშია და სახვეწი აქეთ გაგვიჩნდა, სააკაშვილს კი იმიტომ არ უნდა, რომ ერთი ის, რომ ვერანაირ შედეგს ვერ მიაღწევს და ეს თავადაც კარგად იცის და მეორე, შეიძლება ის ამ შეხვედრების დროს რაიმე უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდეს და ასე ვთქვათ, საქვეყნოდ თავის მოჭრის ეშინია. ამიტომ არის, რომ სააკაშვილი დასავლეთის თვალში რომ გამოდის ხოლმე სხვადასხვა ვიზიტების დროს, ერთი ხელით რუსეთს ეუბნება, რომ აბა დიალოგი, უპირობო და მე ყველაფერზე თანახმა ვარ და მეორე ხელით ხან ვის ლანძღავს და ხან ვის დასცინის, მოკლედ ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ეს დიალოგი ვერ შედგეს. დააკვირდით მის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს, ვთქვათ, საზღვრის გახსნა ჩრდილოეთ კავკასიასთან და უვიზო რეჟიმი, ეს ისაა, რაც თავის დროზე რუსეთმა აფხაზეთთან და ოსეთთან მიმართებაში გაგვიკეთა. ამას იმიტომ აკეთებს, რომ კრემლს მერე არგუმენტი ჰქონდეს და თქვას, რომ დიალოგი კი უნდა საქართველოს, მაგრამ შეხედეთ რას აკეთებს, ურთიერთობა აქვს ტერორისტებთან და ისეთ ხალხთან ვინც მე მებრძვის.

***— ბატონო ირაკლი, სააკაშვილი-ობამას შეხვედრის შემდეგ ითქვა ისიც, რომ თითქოს ობამა სააკაშვილის გაპრემიერებას მხარს დაუჭერსო, თქვენ რა მოსაზრების ბრძანდებით ამ საკითხთან დაკავშირებით?***

— სააკაშვილის მომხრეები ისე არიან დაბრმავებულნი საკუთარი ძალაუფლებით, რომ ობამამ თვალი რომ დააპაჭუნოს, შეიძლება ეგონოთ, რომ ეს სააკაშვილის მხარდამჭერი თვალის პაჭუნია. რომელი დემოკრატიული ქვეყნის ლიდერი, განსაკუთრებით შეერთებულ შტატებზე ვსაუბრობ, მხარს დაუჭერს პუტინიზაციას და ძალაუფლებისთვის შემკვდარ პოლიტიკოსს, რომელსაც ყველაფერი მიჰყავს დიქტატურისკენ. მე არა მგონია, ეს რეალობასთან იყოს ახლოს. თუმცა, ამერიკას ხანდახან სჩვევია ხოლმე ასეთი ქმედება, როდესაც ის თავის პარტნიორებს გამოკვეთილად უჭერს მხარს, თუმცა, მე არ მიმაჩნია, რომ ამ შემთხვევაში სააკაშვილი არის ობამას პარტნიორი, პირიქით ვფიქრობ, რომ სააკაშვილი ამ შემთხვევაში შეერთებულ შტატებს რიგშემთხვევაში ხელსაც კი უშლის ადეკვატური პოლიტიკის გასატარებლად.

***— ბატონო ირაკლი, ალბათ დამეთანხმებით, რომ ქვეყანაში საკმაოდ მძიმე სოციალური ფონია, ექსპერტებმა პარალელების გავლებაც დაიწყეს, რომ შესაძლოა ტუნისის მსგავსი მოვლენები ვიხილოთ საქართველოშიო, თქვენ რას ფიქრობთ ამასთან დაკავშირებით?***

— რას ეყრდნობით, რომ ქვეყანაში მძიმე სიტუაციაა, ეს თქვენი შეფასებაა?

***— ქვეყანაში რომ სოციალური ფონი მძიმეა, თქვენ ამაში არ მეთანხმებით?***

— მე კი გეთანხმებით, როგორ არა, მაგრამ სააკაშვილმა თქვა, საქართველოში 60%-ით შემცირდა სიღარიბეო და ამიტომ დამაინტერესა ვის მოსაზრებას მეუბნებოდით. მე თქვენს მოსაზრებაში აბსოლუტურად გეთანხმებით, არ ვეთანხმები ჩვენს პრეზიდენტს. აქ მარტო სოციალურ ფონზე არაა. რა მოხდა ტუნისში? ტუნისში ეს პროტესტი დღეს არ დაწყებულა, ამ ადამიანებს (როგორც ჩემი კოლეგა იტყოდა) სამზარეულოში ეს პროტესტი უგროვდებოდათ და მერე იფეთქა. დღეს სააკაშვილს სურს, ჩვენ გვაცხოვროს ვირტუალურ საქართველოში, ისევე როგორც დასავლეთს დაანახოს ვირტუალური საქართველო, სადაც 605-ით მცირდება სიღარიბე, რომ სადაც ნომერ პირველი რეფორმატორები ვართ, სადაც ყველაზე ადვილად იწყება ბიზნესი და იმაზე აღარ საუბრობს, მერე როგორ გრძელდება ეს ბიზნესი დ იმ 60%-ში ვინ მოიაზრება, საკუთარი მოძრაობის წევრები თუ მთლიანად საქართველოს მოსახლეობა. მე უკვე ეჭვი მიჩნდება, რომ სააკაშვილს საქართველოს მოსახლეობა წარმოუდგენია მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც მას ემხრობა და მის პოლიტიკურ პარტიას არის ჩამოკიდებული.

# ვეტერანები სამართლის პოვნას აქციებით აპირებენ

შორენა გონგლა ე



გუშინ, საქართველოს ლეგიონის ოფისში ვეტერანთა აქციის დარბევის სამართლებრივი საჯარო განხილვა გაიმართა. შეკრებას ესწრებოდნენ ადვოკატთა ასოციტაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილი, პარლამენტარი დიმიტრი ლორთქიფანიძე, ეკა ბესელია, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე მინდია უგრეხელიძე, სახალხო დამცველის, 42-ე მუხლის და საზოგადოების სხვა წარმომადგენლები. შეგახსენებთ, რომ ვეტერანთა მშვიდობიანი აქცია ხელისუფლებამ ძალის გამოყენებით 3 იანვარს დაშალა, დარბევის დროს დააკავეს 10 ვეტერანი, მათ შორის 3 მოშიმშილე, აღსანიშნავია ისიც, რომ 8 ვეტერანის ადგილზე ყოფნა დასტურდება გადაღებული ვიდეომასალით, ხოლო დანარჩენი ორი ვეტერანი, ლეონიდ ეხვაია და ზაზა გერმანოზაშვილი, მათი და მათი კოლეგების მტკიცებით დაკავებული იქნენ მოგვიანებით, ქალაქის სხვა რაიონში, იმ დროს, როდესაც ისინი საქართველოს ლეგიონის ოფისს ტოვებდნენ, თუმცა, დაკავების ოქმის მიხედვით, აღნიშნული პიროვნებები აქციის ადგილზე იმყოფებოდნენ. ათივე დაკავებულ „კანონდამრღვევს“, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლემ თეა თადაშვილმა 400-ლარიანი ადმინისტრაციული სახდელი დააკისრა.



როგორც განხილვისას ითქვა: — მოსამართლეს ყურადღება არ მიუქცევია იმ ფაქტისთვის, რომ აქცია კანონის დარღვევით არ მიმდინარეობდა და აქციის შეწყვეტის მოთხოვნა პოლიციელების მხრიდან იყო უკანონო. მოსამართლემ ასევე არ გაიზიარა ვეტერანთა განმარტებები მათი ქმედების კანონიერების შესახებ, მოსამართლემ მთლიანად გაიზიარა მეორე მხარის-პოლიციელთა არგუმენტები და არ ახსნა, თუ რატომ იყო ეს არგუმენტები უფრო მეტად სარწმუნო. ყველა დარღვევების გათვალისწინებით, იქ შეკრებილმა საზოგადოებამ მიიღო ერთობლივი დასკვნა, რომ 2011 წლის 4 იანვრის სასასმართლო დადგენილება არის გამოტანილი მხარეთა თანასწორობისა და მართლმსაჯულების საქვეყნოობის პრინციპების დარღვევით. ამასთან, არ არის დადგენილი თითოეული ვეტერანის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის საკითხი, თუკი მივიჩნევთ, რომ ასეთი საერთოდ არსებობს. საქმე გვაქვს პირთა ჯგუფის კოლექტიურ პასუხისმგებლობასთან ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე შერჩეულ იდენტურ და არაადეკვატურ სახდელებთან, რაც ეწინააღმდეგება სამართლებრივი პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციის ფუძემდებლურ პრინციპებსა და ევროპული კონვეციის მე-6, მუხლის პირველ პუნქტს, რომელიც იცავს სამართლიანი სასამართლოს უფლებას, — ნათქვამია დასკვნაში.

**გია ყარყარაშვილი:**

— ვეტარანთა აქცია პირველივე დღიდან მიმდინარეობდა კანონის სრული დაცვით. შეურაცხყოფა მიაყენეს დამსახურებულ ადამიანებს, მაღალი რანგის ოფიცრებს, რომლებმაც ოცი წელი მიუძღვნეს სამშობლოს სამსახურს. მათ ეგონათ, რომ სასამართლოში ნახავდნენ სამართალს და იქ ნახეს მოსამართლე, რომელიც ჰგავდა უსულო საგანს და განაჩენი გამოუტანა ალალმართალ ხალხს, რომლებიც 22 ლარიდან გამოწვეულ სიდუხჭირეს აპროტესტებდნენ და 400 ლარი დააკისრეს. დღეს გვაქვს რეალობა, რომ კანონმორჩილი ადამიანები აღმოჩდნენ კანონდამრღვევები, რადგანაც მათ ერთ თვეში მოუწევთ ხარკის გადახდა. ვთხოვთ ყველა სტრუქტურას, სახალხო დამცველს, რომ მონიტორინგი გაუწიოს ყველა ჩვენს სიტყვას და მოქმედებას, რაც შემდგომში აისახება მათ დასკვნაში. ერთმა ადამიანმა მაინც გვითხრას, რა შეცდომა დაუშვეს ვეტერანებმა და ისინი მზად არიან, აღიარონ დანაშაული. დღეიდან იწყება სამართლებრივი გზებით მოძრაობა სამართლის საპოვნელად, მაინტერესებს, ეს ყველაფერი არის თუ არა შესაძლებელი.

**ეკა ბესელია:**

— ჩვენ სამართლებრივი დასკვნა მივიღეთ, რომელსაც ყველამ დავუჭირეთ მხარი, მოშიმშილე ვეტერანები იყვნენ აბსოლუტურად მართლები, ერთმნიშვნელოვნად არის მათ მიმართ კანონი დარღვეული როგორც პოლიციელების მხრიდან, ასევე მოსამართლის მხრიდან. საქართველო ამ საქმეს წააგებს, თუკი ევროსასამართლოში გაიგზავნება, ამიტომ ერთადერთი, რითიც შეიძლება საქართველოს მთავრობა გადაურჩეს ამ პასუხისმგებლობას და სირცხვილს, რომელიც მან ჩაიდინა ვეტეკრანების წინააღმდეგ ძალის გამოყენების გამო, შესაძლებელია მხოლოდ სააპელაციო სასამართლოს სამართლიანი და კანონიერი გადაწყვეტილებით. ჩვენ მხარს დავუჭერთ კამპანიას, რომელიც გულისხმობს სამართლიანობისთვის ბრძოლას, ყველა ჩვენი რესურსით მივეხმარებით, რათა ვეტერანებმა იპოვონ სიმართლე და თუ უგუნური ხელისუფლება ისევ იმ კურსს გააგრძელებს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიაღებინებს ისევ უსამართლო გადაწყვეტილებას, გარწმუნებთ, რომ საქართველოს მთავრობა ამ საქმეს ევროსასამართლოში წააგებს.

**ზაზა ხატიაშვილი:**

— მე ვფიქრობ, რომ სააპელაციო სასამართლო გამოიტანს იმავე ინკვიზიციურ გადაწყვეტილებას, რაც გამოიტანა პირველი ინსტანციის სასამართლომ. როდესაც სააპელაციო სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას, მაშინ უნდა წავიდეთ ძალიან სწორი გზით და სამართლებრივი გზით მოვითხოვოთ მოსამართლეთა ჯგუფისათვის ამას გააკეთებს საერთოდ საქართველოდან, ევროკავშირის ტერიტორიაზე შესვლის უფლების აკრძალვა, იმიტომ, რომ სტანდარტი, რომლითაც მოსამართლემ იხელმძღვანელა, არის ის სტანდარტი დარღვეული, რაც დაარღვია ბელარუსიაში და რის გამოც ბელორუს მოსამართლეს აუკრძალეს პოლონეთში შესვლა. ჩვენ ამ გზით უნდა წავიდეთ. თუ ჩვენ ხუთი წელი დაველოდებით სტრასბურგის სასამართლოს, ეს იქნება პრობლემის ერთი მხრიდან მეორე მხარეს გადადება, რადგანაც სტრასბურგი ხუთი წელი არ განიხილავს, ანუ ჩვენ უნდა წავიდეთ სწორი გზით, ამ ხალხს რეალურად უნდა დავუდგეთ მხარში.

# ლეიბორისტები სადაზღვევო კომპანიებს გენოციდში ადანაშაულებენ

ლეიბორისტული პარტია სადაზღვევო კომპანიებს სადაზღვევო გენოციდში ადანაშაულებს.

როგორც გუშინ ლეიბორისტული პარტიის ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე პარტიის იდეოლოგიურმა მდივანმა კახა ძაგანიამ განაცხადა, მმართველი პარტიის დაფინანსებული სადაზღვევო კომპანიები, რომლებსაც ბიუჯეტიდან 200 მლნ ლარი აქვთ გამოყოფილი, სადაზღვევო გენოციდს ეწევიან.

„სადაზღვევო კომპანიების საქმიანობა მიხეილ სააკაშვილის ოჯახის მონოპოლიის ქვეშაა მოქცეული. სადაზღვევო აგენტი სააკაშვილი სამედიცინო დაზღვევის უფლებას მოქალაქეებს 60 წელს ზევით, მათი სარისკო ასაკის გამო, არ აძლევს,“ აღნიშნა ძაგანიამ.

ლეიბორისტული პარტია საქართველოს პარლამენტში სადაზღვევო დისკრიმინაციის წინააღმდეგ კანონპროექტის შეტანას გეგმავს. კანონპროექტის თანახმად, დაზღვევის უფლება საქართველოს ყველა მოქალაქეს ექნება.

**მედიანიუსი**

# დიდთოვლობის გამო საავტომობილო გზებზე მოძრაობა შეზღუდულია

დიდთოვლობის გამო საქართველოს საავტომობილო გზების ზოგიერთ მონაკვეთზე მოძრაობა შეზღუდულია.

საავტომობილო დეპარტამენის ცნობით, ბათუმი-ახალციხის გზის მონაკვეთზე, გოდერძის უღელტეხილზე, კობი-გუდაურისა და ვაზიანი-გომბორი-თელავის საავტომობილო გზებზე მისაბმელიანი და ნახევრადმისაბმელიანი ავტომობილების, ასევე 30 ადგილზე მეტი ტევადობის ავტობუსების მოძრაობა აიკრძალა, სხვა სახის ტრანსპორტის მოძრაობა კი დასაშვებია მხოლოდ მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით.კობი-გუდაურისა და ვაზიანი-გომბორი-თელავის საავტომობილო გზებზე გზის გაწმენდითი სამუშაოები მიმდინარეობს.

**პრაიმ-ნიუსი**

# ქართველებს ერთობა არა გვაქვს და ესაა ჩვენი უბედურება

## ადრე იყვნენ შობელ ძაღლები, ახლა არიან ნობელ ძაღლები

თეა მარხვაია

**საქართველოში ძალიან საინტერესო მოვლენები მიმდინარეობს. სხვაგან ეს ყველაფერი საზოგადოების აღშფოთებას გამოიწვევდა, ჩვენი საზოგადოება კი ამ პროცესებს მშვიდად უყურებს. პოეტ ჯანსუღ ჩარკვიანის აზრით, ეს ყველაფერი იმის ბრალია, რომ ხალხი დამშეული და დაშინებულია. მისი თქმით, ახლა ყველაფერი კეთდება, რომ ხალხი უვიცი გახდეს.**

რაში აწყობს ხელისუფლებას უვიცი ხალხი, რა არის ქართველების ყველაზე დიდი პრობლემა, როგორ შეაფასებს ისტორია შეძრომის პოლიტიკას და რატომ უნდა იდგეს თბილისში კლასიკოსი მწერლების ძეგლები, ამის შესახებ ჯანსუღ ჩარკვიანი „ახალ თაობას“ ესაუბრება.

**ჯანსუღ ჩარკვიანი:**

— ხშირად ვფიქრობ, წინდაწინ როგორ აზროვნებდნენ ეს ჩვენი გენიოსები. ალექსანდრე ყაზბეგი ქართველებს ეუბნებოდა, გახსოვდეთ, ვისი გორისა ხართო. გვახსოვს ჩვენ, ვისი გორისა ვართ. თუ ეს გვახსოვს, მაშინ უნდა გაჩნდეს კითხვა, დაიდგას თუ არა თბილისში ყაზბეგის ძეგლი. მისი ძეგლი ისევე უნდა დაიდგას, როგორც დიდი ვაჟას, აკაკისა და ილიას ძეგლები დგას. ჩვენი უბედურება ისაა, რომ ჯავახიშვილის ძეგლი არ გვიდგას. სამაგიეროდ შეგვიძლია, თბილისის ერთ-ერთ ქუჩას ბუშის სახელი ვუწოდოთ. რაღაც უცნაურობები ხდება. ოღონდ ვილაცას შევუძვრეთ. რა დროს ბუშის ქუჩაა. მოუარე შენს სახელოვან წინაპრებს და მოსახლეობას. ასე ცხოვრება მე ვერ წარმომიდგენია, თუმცა, არაფერი აღარ მიკვირს.

***— რატომ აღარ გიკვირთ?***

— იმიტომ რომ იმ ქვეყანაში ვცხოვრობთ, რომელსაც შეუძლია, დავით აღმაშენებლის ძეგლი თბილისის ცენტრიდან გაიტანოს, თანაც, ადგილსაც ხომ გააჩნია. ამ ძეგლს ვერც კი შეხედავ. გაქანებული მანქანით მიდიხარ იმ ტერიტორიაზე და ვერც ერთი მხრიდან ვერ შეხედავ ამ ძეგლს. სისულელეა ასეთი რაღაცების გაკეთება. როგორ შეიძლება, არ დადგა კლასიკოსების ძეგლები. იმაზე უნდა ფიქრობდე, ხომ არავინ გამორჩათ.

***— როგორც ჩანს, ფიქრობენ, მაგალითად, არ გამორჩათ ჰეიდარ ალიევი და მას თბილისის ცენტრში დაუდგეს ძეგლი.***

— ამ დღეებში ძალიან კარგი ფილმი აჩვენეს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენთან დაკავშირებით. ამ ფილმში ჰეიდარ ალიევის ქება და ქება იყო. ეს ძალიან გამიხარდა. მე იმ კაცს პატივს ვცემდი. ამასთან, მას დიდი წვლილი მიუძღვის ნავთობსადენის მშენებლობაში. სამაგიეროდ ერთი სიტყვითაც არ იყო ნახსენები მეორე კაცი, რომელსაც ასევე დიდი წვლილი მიუძღვის ნავთობსადენის მშენებლობაში. ის ქართველია.

***— ედუარდ შევარდნაძე გყავთ მხედველობაში?***

— ედუარდ შევარდნაძეზე ვსაუბრობ. მისი დიდი დამსახურებაა, ეს ნავთობსადენი რომ არსებობს. ამას რომ აგინებ და ჰეიდარ ალიევს თბილისში ძეგლს უდგამ, ეს ძალიან უხერხულია. შენი ეროვნულობა ამით გამოიხატება. ჰეიდარ ალიევის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ მეორე კაცსაც დაანებე თავი. ეს იმაზე მეტყველებს, რომ არ ვიცით ჩვენი ხალხისა და გმირების ფასი. მე არც იმის წინააღმდეგი ვარ, რომ მთებს ვიღაცების სახელი დაარქვან, ოღონდ ჯერ ჩვენი გმირები დააფასონ და მერე გინდა კაჩინსკის სახელი დაარქვან რამეს და გინდა პროჩინსკის. ასევე სახლებზეა გაკეთებული დაფები, აქ ცხოვრობდა ესა და ესო. მის შესახებ არავინ არაფერი იცის, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ ადამიანებს პატრონი ჰყავთ და იმიტომაც არქმევენ ქუჩებს მათ სახელებს. ძალიან ძნელია აქ მიმდინარე პროცესებზე კომენტარების გაკეთება. როგორ უნდა შევაფასო ის, რაც ბათუმში მოხდა.

***— ბათუმში ბევრი რამე მოხდა. თქვენ რომელ შემთხვევაზე საუბრობთ?***

— ილია ჭავჭავაძის ძეგლი ქალაქის ცენტრიდან სადღაც რომ მოაშორეს. როგორ ფიქრობთ, საფრანგეთში ნაპოლეონის ძეგლს გადააგდებენ სადმე? რა თქმა უნდა, არა. ამის გაკეთება აზრადაც კი არავის მოუვა. სამაგიეროდ საქართველოში მოსდით ასეთი აზრები თავში და ამიტომაც გადააგდეს სტალინის ძეგლი გორში. ის იყო დიდი მხედართმთავარი. მისით მთელი მსოფლიო იამაყებდა. მან ფიშიზმის სახით ძალიან დიდი ჭირი მოაშორა კაცობრიობას.

***— ზემოთ თქვენ აღნიშნეთ, ვიღაცების სახელებს რომ ვარქმევთ ქუჩებს, შეძრომასთან გვაქვს საქმეო. როგორ გგონიათ, იმათ რამეში სჭირდებათ ჩვენი შეძრომა?***

— იმათ ეს არაფერში სჭირდებათ, მაგრამ ამას ჩვენ ვაკეთებთ და თავს ვაჩვენებთ, აი, მე შენ რაებს გიკეთებ. იმიტომ იქცევიან ასე, რომ უნდათ, კიდევ ცოტა ხანს გაძლონ, ეტყვიან, აი, მე შენი სახელობის ქუჩა ან ლობე მაქვსო. ეს ისტორიისთვის იქნება სასაცილო, აწმყოსთვის კი — ძალიან უხერხული. სამწუხაროდ, თაობაც რაღაცნაირი მოდის. გალაკტიონის ძეგლზე რომ ჰკითხო, ვინ არისო, შეიძლება გითხრან, ნაპოლეონიაო. დღეს ისეთი თაობაა მოსული, რომელსაც მე უთავობას ვეძახი. აქვე იმასაც ვიტყვი, რომ ამ თაობაში ბევრი ბრწყინვალე ადამიანია. როგორ თაობასაც გაზრდი, იქნება ისეთი. გაზრდი კომპიუტერზე, იქნება კომპიუტერული თაობა. თაობა უნდა იყოს წიგნიერი, თორემ გაუმარჯოს კომპიუტერს. მე, მაგალითად, კომპიუტერი არ ვიცი და ამის გამო გული მწყდება. ისევ ძეგლებს დავუბრუნდები და ვიტყვი, რომ არ შეიძლება, მიმხრობით ვიღაცების ძეგლი დადგა. ძეგლები სახელოვან ადამიანებს დაუდგა. ძალიან უცნაურ დროში ვცხოვრობთ. ახლა შენ თვითონ შეგიძლია, საკუთარი თავი ნობელის პრემიაზე წარადგინო. ამიტომაც ვამბობ, რომ ადრე საქართველოში იყვნენ შობელძაღლები, ახლა არიან ნობელძაღლები. ვერაფერს გაიგებ, რა ხდება და რატომ ხდება.



***— საზოგადოებას რატომ აღარ აქვს ამ ყველაფერზე რეაქცია? ეს, როგორც თქვენ ამბობთ ხოლმე, იმის ბრალი ხომ არ არის, რომ დამშეულია?***

— საზოგადოება დაშინებული, დამშეული და უვიცია. ამათ ძალიან კარგად იციან, რომ ლატაკი კაცი იოლად სამართავია. ახლა უკვე წიგნთან ბრძოლა დაიწყეს, რადგანაც უწიგნური კაცი ისევე ადვილად სამართავია, როგორც ლატაკი. ესაა ქვეყანა.

***— გამოსავალი რაშია, რა უნდა ქნას საზოგადოებამ, რომ ამ ვითარებას თავი დააღწიოს?***

— არ ვიცი, რა უნდა ქნას. საზოგადოება მაშინაა ცოცხალი, თუ საზოგადოება არსებობს. თუ საზოგადოება დაშლილია და ყველა ვიღაცას ეკუთვნის, ეს საშინელებაა. შენ თუ შენს თავს ეკუთვნი, მხოლოდ მაშინ შედგება საზოგადოება. ასეთ შემთხვევაში ურთიერთობა ადვილია. როცა შენს თავს არ ეკუთვნი და მონა ხარ, საზოგადოება არ შედგება. მონა ეშმაკისაა, მიმხრობი ღვთისაა. მიმხრობი კაცი აღარ არსებობს ქვეყანაზე. ახლა არიან მონები. ის, რაც დღეს დევნილებთან დაკავშირებით ხდება, ძალიან დამაფიქრებელია. ხელისუფლება რასაც მათ წინააღმდეგ აკეთებს, საშინელებაა, მაგრამ არანაკლებ საშინელებაა თავად დევნილების პოზიცია. ხშირად ვამბობთ: ენა, მამული, სარწმუნოება. ამ დროს მივიწევთ ამერიკისკენ. მაგრამ, ერთი მითხარით, რომელი აქვს ამერიკას თავისი — ენა, მამული თუ სარწმუნოება? შენ სამივე გაქვს, მოუარე ამას და შენიანს ეცი პატივი. ქართველმა თავისიანის პატივისცემა რომ არ იცის, ეს არის ჩვენი უბედურება.

# როდის გამონახავს ხელისუფლება მიხეილ ჯავახიშვილის ძეგლისთვის თანხებს

**ჩვენმა ტკბილმა და მურაბა ხელისუფლებამ შადრევნებით, უცნაური ხიდებითა და ძეგლებით ძალიან გაგვანებივრა. ერთი პერიოდი იმდენად შევიდნენ ძეგლების დადგმის ეშხში, რომ შუაგულ თბილისში პრომეთეს ძეგლი დადგეს, რომელიც შემდეგ ბორჯომში გადაიტანეს. ჩვენი საზოგადოება დღემდე არკვევს, თუ რატომ უნდა დაედგათ ამირანის სამშობლოში პრომეთეს ძეგლი.**

თეა მარხვაია

გაკვირვებას იწვევს ისიც, თუ რატომ არ დგამენ საქართველოში ცნობილი საზოგადო მოღვაწეების ძეგლებს. თბილისში ძეგლის დადგმას ვერც მიხეილ ჯავახიშვილი ეღირსა, რომელიც, გარდა იმისა, რომ დიდი მწერალი იყო, იმ საბჭოთა რეჟიმის მსხვერპლია, რომელსაც ჩვენი ხელისუფლება ასე დაუნდობლად აკრიტიკებს ხოლმე.

როგორც „ახალ თაობასთან“ საუბარში მწერლის შვილმა რუსუდან ჯავახიშვილმა განაცხადა, ძეგლის დასადგმელად თავის დროზე თანხაც კი გამოყვეს. მწერლისთვის ძეგლის დადგმაზე საუბარი ჯერ კიდევ 20 წლის წინ დაიწყო.

**რუსუდან ჯავახიშვილი:**

— არავინ ამბობს, რომ თბილისში მიხეილ ჯავახიშვილის ძეგლი არ უნდა დაიდგას. მისთვის ძეგლის დადგმაზე საუბარი 20 წლის წინ დაიწყეს. ამით ყველა კმაყოფილი დარჩა. გამოიყო კიდევაც თანხა ძეგლის ჩამოსასხმელად.

***— თუ თანხა გამოიყო, რატომ აღარ ჩამოასხეს ძეგლი?***

— ძეგლი სანახევროდ უკვე მზად არის. ის თაბაშირშია გამზადებული და ჩამოსხმაღა სჭირდება. მიხეილ ჯავახიშვილის ძეგლზე სოსო ქოიავა მუშაობს. არქიტექტორია ვახტანგ დავითაია. წლების წინ ეს საკითხი ძალიან აქტუალური იყო. მერე უცებ შეჩერდა. შეჩერდა იმიტომ, რომ თანხაა საჭირო. ამ თანხის მოძიება კი ვერ ხერხდება. მერე თქვეს, რომ სხვა ძეგლი უნდა დაედგათ. არავითარი კომისია არ შექმნილა ამასთან დაკავშირებით. ლაპარაკი ლაპარაკად დარჩა და ხმას არავინ იღებს. მიზანმიმართულად არავინ ეწინააღმდეგება ჯავახიშვილის ძეგლის დადგმას. უბრალოდ, თანხა არ გამოჩნდა. ბოლო დროს მე არ გამიგია, ვინმესთვის დიდი ძეგლი დაედგათ.

***— ცნობილ საზოგადო მოღვაწეებს არ უდგამენ, თორემ პოსეიდონს, ალისა და ნინოს, კიდევ სხვა ვიღაცებს უდგამენ.***

— ეს მათი გადასაწყვეტია. მე არავის ვედავები. გული მწყდება იმაზე, რომ მიხეილ ჯავახიშვილისთვის ძეგლის დადგმა ვერ მოხერხდა. უსახსრობის გამო ნახევრად გამზადებული ძეგლი სოსო ქოიავას ეზოში დგას, აწვიმს და ათოვს.

***— რა თანხაა საჭირო იმისთვის, რომ ეს ძეგლი დასრულდეს?***

— ზუსტი თანხა არ ვიცი. ვიცი მხოლოდ ის, რომ თანხის ნახევარია საჭირო ძეგლის დასამთავრებლად. შეიძლება, არც კი იყოს დიდი თანხა. მგონი, სახელმწიფოს ამ თანხის გამოყოფა არ გაუჭირდება.

***— ადგილი თუ გამოყოფილი, სადაც ეს ძეგლი დაიდგმება?***

— ცნობილია. ძეგლი ელბაქიძის დაღმართზე, ბაღში უნდა დაიდგას. იქ ადრე მარი ბროსეს ქანდაკება იდგა. ის რამდენიმე წლის წინ მოიპარეს. აი, ამ ბაღში უნდა დაიდგას ჯავახიშვილის ძეგლი. იმედი მაქვს, ძეგლის დასამთავრებლად ჩამოსასხმელი თანხა გამოინახება. მიხეილ ჯავახიშვილმა, მგონი, დაიმსახურა, რომ თბილისში მისი ძეგლი იდგეს.

# "წლის საუკეთესო ბანკის"

## კიდევ ერთი წარმატებული წელი - თიბისი ბანკმა 2010 წლის შედეგები შეაჯამა



საქმე №2/190-10

**გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა**
საქართველოს სახელით
საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ

13 ოქტომბერი 2010 წელი ქ. ბოლნისის

ბოლნისის რაიონული სასამართლო
**მოსამართლე მერაბ ღვინიაშვილი**
**სხდომის მდივანი** ეკა ნავერიანი

**მოსარჩელე** – შპს "ნ.ა.შ.-3"
**წარმომადგენელი** – ანა მელშვილი
**მოპასუხე** – შპს „ერა" – 2007"
**წარმომადგენელი** – ლონგინოზ გასანოვი
**დავის საგანი** – ხელეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. სამოქალაქო საქმის წარმოება შეწყდეს;

მოპასუხე შპს "ერა–2007"-ს დაეკისროს მოსარჩელის სასარგებლოდ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებით გათვალისწინებული თანხის, სახელმწიფო ბაჟისა და ადვოკატის მომსახურების ხარჯების გადახდა მორიგების აქტში მითითებული წესითა და გრაფიკის მიხედვით, კერძოდ: შპს "ერა-2007"-ი შპს "ნ.ა.შ.-3"-სათვის გადასახდელ თანხას გადაიხდის ორ ნაწილად, 31 ოქტომბერს გადაიხდის თანხის ნახევარს, (ძირითად თანხა 10275 ლარის ოდენობით, 308 ლარი სახელმწიფო ბაჟი და 800 ლარს ადვოკატის მომსახურების ხარჯი), 5691,50(ხუთი ათას ექვსას ოთხმოცდათერთმეტი ლარი და 50 თეთრი), ხოლო თანხის მეორე ნახევარს 5691,50(ხუთი ათას ექვსას ოთხმოცდათერთმეტი ლარი და 50 თეთრი) ლარს გადაიხდის 30 ნოემბერს.

2. მოსარჩელე და მოპასუხე თანახმანი არიან არ გაასაჩივრონ მორიგების დამტკიცების თაობაზე ბოლნისის რაიონული სასამართლოს განჩინება.

3. იმ შემთხვევაში თუ მოპასუხემ დაარღვია ამ მორიგების აქტით გათვალის-წინებული თანხის გადახდის ვადა ან მითითებულ ვადაში გადაიხადა არასრული თანხა, მაშინ მოსარჩელე უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს სააღსრუ-ლებო ფურცლის გაცემის მოთხოვნით.

4. განემარტოს მხარეებს, რომ საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება;

5. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ სასამართლოში გამოცხადებიდან (ასლის მხარისათვის გადაცემიდან) 12 (თორმეტი) დღის ვადაში კერძო საჩივრის შეტანის გზით რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მეშვეობით.

***მოსამართლე*** ***მ.ღვინიაშვილი***

---

საქმე 2/421

**გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა**
საქართველოს სახელით
საჯარო შეტყობინების შესახებ

05 იანვარი, 2011 წ. ქ. თელავი

თელავის რაიონული სასამართლო
**მოსამართლე - ლაბაზა დუიშვილმა**

**მოსარჩელე** - სოციალური მომსახურების სააგენტოს თელავის განყოფილება
**მოპასუხე** - ლეილა გავაზელაშვილი
**დავის საგანი** - მშობლის უფლების შეზღუდვა

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მოპასუხე ლეილა გავაზელაშვილისათვის თელავის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 19 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების საჯაროდ შეტყობინების საკითხი და

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ეცნობოს მოპასუხე ლეილა გავაზელაშვილს, რომ თელავის რაიონული სასამართლოს მიერ 2010 წლის 19 ოქტომბერს მიღებული იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლის შესაბამისად დაკმაყოფილდა სოციალური მომსახურების სააგენტოს თელავის განყოფილების სარჩელი;

2. მოპასუხე ლეილა გავაზელაშვილს (მცხ. თელავის რაიონის სოფ. კურდღელაურში) შეეზღუდოს თავისი არასრულწლოვანი შვილის: ალექსი გავაზელაშვილის (დაბ. 08.10.2000 წ., დაბადების მოწმობა ნკ 701229) მიმართ-მშობლის წარმომადგენლობითი უფლება და უფლება განსაზღვროს თუ ვისთან და სად უნდა ცხოვრობდეს მისი არასრულწლოვანი შვილი მშობლის დანარჩენი უფლებამოვალეობების შეუზღუდავად;

3. გადაწყვეტილების გასაჩივრება შეიძლება მოპასუხისათვის მისი ასლის ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში საჩივრის წარმოდგენით;

4. განჩინება გამოქვეყნდეს გაზეთ „ახალ თაობაში";

5. სასამართლოს გადაწყვეტილება ჩაბარებულად ითვლება პუბლიკაციიდან მე-7 დღეს;

6. განჩინება კერძო საჩივრით არ საჩივრდება.

***მოსამართლე:*** ***ლ. დუიშვილი***

---

საქმე №2/201-10

**დაუსწრებელი გადაწყვეტილება**
საქართველოს სახელით
მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო

15 სექტემბერი 2010 წელი ქ. მარნეული

ბოლნისის რაიონული სასამართლოს
**მოსამართლე თამაზ ურთმელიძე**
**სხდომის მდივანი** ელენე თაგაური

**მოსარჩელე** – ხაიალა კურბანოვა
**წარმომადგენელი** – ესტატე ციცაგი
**მოპასუხე** – რაშად რუსტამოვი
**დავის საგანი** – ალიმენტის დაკისრება

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1.დაკმაყოფილდეს სარჩელი.

2.რაშად რუსტამოვს დაეკისროს შვილების სალეხ რუსტამოვის (დაბ.27.03.2006წ) და აისელ რუსტამოვას (დაბ. 17.09. 2003 წელს) სარჩენად ალიმენტის გადახდა თითოეულზე ყოველთვიურად 100 (ასი) ლარის ოდენობით მათ სრულწლოვნებამდე, სასამართლოში სარჩელის წარდგენის დღიდან – 2010 წლის 13 აგვისტოდან;

3.განემარტოს მოპასუხეს, რომ გადაწყვეტილება შეუძლია გაასაჩივროს ბოლნისის რაიონულ სასამრთლოში, დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში და აღარ გასაჩივრდება.

***მოსამართლე:*** ***თამაზ ურთმელიძე***

---

საქმე №2/1-11

**გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა**
საქართველოს სახელით
ინფორმაციის საჯაროდ გავრცელების შესახებ

10 იანვარი 2011 წელი ქ. მარნეული

ბოლნისის რაიონული სასამართლო
**მოსამართლე მერაბ ღვინიაშვილი**

**განმცხადებელი** - ქამალის აბასოვი
**მოთხოვნის არსი** – ქონების უპატრონოდ ცნობა

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ინფორმაციის საჯაროდ გავრცელების საკითხი და

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. გამოქვეყნდეს საჯარო შეტყობინება ინფორმაციის გავრცელების შესახებ, ქონების უპატრონოდ ცნობის შესახებ განცხადების თაობაზე;

2. განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ დაიშვება.

***მოსამართლე*** ***მერაბ ღვინიაშვილი***

---

საქმე №2/263-10

**დაუსწრებელი გადაწყვეტილება**
საქართველოს სახელით
შესაგებლის წარმოუდგენლობის გამო

10 ნოემბერი 2010 წელი ქ. მარნეული

ბოლნისის რაიონული სასამართლოს
**მოსამართლე მერაბ ღვინიაშვილი**

**მოსარჩელე** – ტაირა ხალილოვა
**წარმომადგენელი** – ვალერიან ასპანიძე
**მოპასუხე** – ელმარ ხალილოვი
**დავის საგანი** – განქორწინება, მოპასუხის საცხოვრებელ სახლში ერთი ოთახის გამოყოფას დროებით სარგებლობისათვის და ალიმენტის დაკისრება

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. ტაირა ხალილოვას სასარჩელო მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

2. შეწყდეს 2008 წლის 10 სექტემბრის რეგისტრირებული ქორწინება (ქორწინების სააქტო ჩანაწერი №19200830186) ტაირა ხალილოვასა და ელმარ ხალილოვს შორის;

3. ელმარ ხალილოვს დაეკისროს შვილების, ციალა ხალილოვას (დაბადებული 2008 წლის 18 აგვისტოს) და მუჰამედ ხალილოვის (დაბადებული 2007 წლის 19 იანვარს) სარჩენად ალიმენტის გადახდა თითოეულზე ყოველთვიურად 200 (ორასი) ლარის ოდენობით, მათ სრულწლოვნებამდე, სარჩელის სასამართლოში წარდგენის დღიდან, 2010 წლის 8 ოქტომბრიდან;

4. მოსარჩელეს უარი ეთქვას მისთვის და მის არასრულწლოვან შვილებისათვის სარგებლობის უფლებით საცხოვრებელი ფართის გამოყოფაზე უსაფუძვლობის გამო.

5. ელმარ ხალილოვს დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის გადახდა განქორწინების მოწმობის გაცემისას;

6. სახელმწიფო ბაჟი 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით დაეკისროს მოპასუხეს ელმარ ხალილოვს ტაირა ხალილოვას სასარგებლოდ. მასვე დაეკისროს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ მოსარჩელის მიერ ალიმენტთან დაკავშირებული გადაუხდელი ბაჟის, 144 ლარის ოდენობით, გადახდა.

7. განემარტოს მოპასუხეს, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გადასინჯვისა და საქმის განახლების შესახებ საჩივრის შემოტანა შეუძლია ბოლნისის რაიონულ სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილება შედის ძალაში და აღარ გასაჩივრდება.

***მოსამართლე*** ***მერაბ ღვინიაშვილი***

---

**გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა**
საქართველოს სახელით

საქმე №2/ბ-425

28 დეკემბერი, 2010 წელი ქ.ქუთაისი

**ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს**
სამოქალაქო საქმეთა პალატა
**თავმჯდომარე: დურმიშხან ჟორჟოლიანი**
**მოსამართლეები:** თამარ სვანიძე; ირმა პერანიძე
**სხდომის მდივანი:** ონისე გურეშიძე

**აპელანტი** – ზვიად ნაზღაიძე
**წარმომადგენელი** – ლია კოღოშვილი
**მოწინააღმდეგე მხარე** – აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
**წარმომადგენელი** – ვახტანგ შერვაშიძე
**მოწინააღმდეგე მხარე** – ემზარ დუმბაძე
**დავის საგანი** – ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა
**გასაჩივრებული გადაწყვეტილება** – ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 30 მარტის გადაწყვეტილება
**1. აპელანტის მოთხოვნა** – გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა

**სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ**

**დაადგინა:**

1. ზვიად ნაზღაიძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. დარჩეს უცვლელად ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 30 მარტის გადაწყვეტილება;

3. აპელანტს ზვიად ნაზღაიძეს, დაეკისროს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ბაჟი 3000 ლარი, რაც ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: 220101222, ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში 200122900, სახაზინო კოდი 3 0018 3150;

4. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში საკასაციო წესით, მხარეთათვის დასაბუთებული განჩინების ასლის გადაცემიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მეშვეობით.

***თავმჯდომარე:*** ***დურმიშხან ჟორჟოლიანი***
***მოსამართლეები:*** ***თამარ სვანიძე***
***ირმა პერანიძე***

---

საქმე №2/330-10

**გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა**
საქართველოს სახელით
საჯარო შეტყობინების შესახებ

14 იანვარი 2011 წელი ქ. მარნეული

ბოლნისის რაიონული სასამართლოს
**მოსამართლე მერაბ ღვინიაშვილი**

**მოსარჩელე** – შ.პ.ს. "დილა" დირექტორი ჯუმბერ შუბითიძე
**წარმომადგენელი** – გელა გელენიძე
**მოპასუხე** – სააქციო საზოგადოება "დელიდორი" დირექტორი აკაკი პაიჭაძე
**დავის საგანი** – ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

შ.პ.ს. "დილა"-ს დირექტორის ჯუმბერ შუბითიძის სარჩელთან დაკავშირებით შეტყობინება მოპასუხე სააქციო საზოგადოება "დელიდორი"-ს დირექტორი აკაკი პაიჭაძის მიმართ გავრცელდეს საჯარო შეტყობინების გზით.

მოპასუხე სააქციო საზოგადოება "დელიდორი"-ს დირექტორი აკაკი პაიჭაძის მიმართ ასევე გავრცელდეს საჯარო შეტყობინების გზით სხდომის დანიშვნის ადგილი და თარიღი.

განჩინება გამოქვეყნდეს გაზეთ ახალ თაობაში.

სააქციო საზოგადოება "დელიდორი"-ს დირექტორს აკაკი პაიჭაძეს ეცნობოს, რომ შ.პ.ს. "დილა"-ს დირექტორის ჯუმბერ შუბითიძის მიერ, ბოლნისის რაიონული სასამართლოში, 2010 წლის 13 დეკემბერს, მის მიმართ აღძრული იქნა სარჩელი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების შესახებ.

განემარტოს სააქციო საზოგადოება "დელიდორი"-ს დირექტორს აკაკი პაიჭაძეს, რომ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იგი ვალდებულია, წარმოადგინოს წერილობითი პასუხი (შესაგებელი) სარჩელსა და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე მისი მოსაზრებები სარჩელზე დართული დოკუმენტების შესახებ, სარჩელის ასლის მიღებიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში.

წერილობით პასუხში მითითებული უნდა იყოს:

ა) სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეიტანება პასუხი;

ბ) მოპასუხის, მოპასუხის წარმომადგენლის (თუ პასუხს წარმოადგენს წარმომადგენელი), მოწმის, სხდომაზე გამოსაძახებელი პირის სახელი, გვარი (სახელწოდება), ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი), აგრეთვე არსებობის შემთხვევაში ალტერნატიული მისამართი, ტელეფონი, ელ-ფოსტა, ფაქსი, საკონტაქტო პირის მონაცემები;

გ) ცნობს თუ არა იგი სარჩელს;

დ) თუ სარჩელს არ სცნობს, რა კონკრეტულ ფაქტებსა და გარემოებებს ემყარება მისი შესაგებელი სარჩელის წინააღმდეგ;

ე) მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს მოპასუხის მიერ მითითებულ გარემოებებს;

ვ) რა საპროცესო საშუალებებით აპირებს სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებს შეგებებული სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფს სარჩელის დასაშვებობას;

ზ) პასუხისათვის დართული დოკუმენტების ნუსხა;

თ) განემარტოს მას, რომ, არსებობის შემთხვევაში, უფლება აქვს, წარმოადგინოს შუამდგომლობები:

ა) ხომ არ აქვს აცილება მოსამართლის ან სასამართლოს მიმართ და ა.შ.;

ბ) ვინ შეიძლება, ჩაებას პროცესში თანამომაწილედ ან მესამე პირად;

გ) რომელი მოწმე უნდა იქნეს გამოძახებული სასამართლო სხდომაზე;

დ) სხვა სახის შუამდგომლობები;

ი) მოპასუხის მოსაზრება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე.

განიმარტოს, რომ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, მოპასუხის პასუხში (შესაგებელში) მითითებული მტკიცებულებების საპატიო მიზეზით წარმოუდგენლობის შემთხვევაში, უნდა მიუთითოს აღნიშნულის შესახებ პასუხში, წინააღმდეგ შემთხვევაში, ერთმევა უფლება, შემდგომში წარადგინოს მტკიცებულება.

იგი უფლებამოსილია, მტკიცებულებათა წარმოდგენისათვის მოითხოვოს გონივრული ვადა.

პასუხს უნდა დაერთოს წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ პასუხი შემოაქვს წარმომადგენელს.

შესაგებელი, თანდართულ დოკუმენტებთან ერთად, წარმოდგენილი უნდა იქნეს იმდენი ასლით, რამდენი მხარეცაა საქმეში.

პასუხს ხელი უნდა მოაწეროს მოპასუხემ ან მისმა წარმომადგენელმა.

შესაგებელი წარმოდგენილი უნდა იქნეს ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (მის. ბოლნისი, სულხან-საბას ქ. № 113).

სასამართლო სხდომა ჩატარდება 2011 წლის **08 თებერვალს 13:00** საათზე მარნეულის მაგისტრატი სასამართლოს №1 სხდომათა დარბაზში. მისამართი ქ.მარნეული, ნარიმანოვის ქ.№4.

განიმარტოს, რომ განჩინება სააქციო საზოგადოება "დელიდორი"-ს დირექტორ აკაკი პაიჭაძესთვის ჩაბარებულად ითვლება გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 (მეშვიდე) დღეს.

განჩინება კერძო საჩივრით არ საჩივრდება.

***მოსამართლე:*** ***მერაბ ღვინიაშვილი***

---

**ბოლნისის რაიონული სასამართლო**

**საქმე №2/1-11**

10 იანვარი 2011 წელი

**საჯარო შეტყობინება**
**ინფორმაციის გავრცელების შესახებ**

ინფორმაციის საჯაროდ გავრცელების შესახებ, ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 10 იანვრის №2/1-11 განჩინების საფუძველზე, ბოლნისის რაიონული სასამართლო ავრცელებს ცნობას, იმის შესახებ, რომ ბოლნისის რაიონული სასამართლოს წარმოებაში იმყოფება ქამალის აბასოვის განცხადება ქონების უპატრონოდ ცნობის მოთხოვნით.

განმცხადებელი ქამალის აბასოვი ითხოვს, მოძრავი ქონების უპატრონოდ ცნობას, კერძოდ: 1997 წლიდან მის მფლობელობასა და სარგებლობაში არსებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების, რომლის რეკვიზიტებია: სახელმწიფო ნომერი 07-61 ჳ , მარკა მოდელი – -80, გამოშვების წელი 1991 წელი, შასის ნომერი 788384, ძრავის ნომერი – 2401002015.

პირებმა, რომელთაც შეიძლება ჰქონდეთ პრეტენზია ქონებაზე, რომელიც უპატრონოდ უნდა გამოცხადდეს, უნდა განაცხადონ ბოლნისის რაიონულ სასამართლოში თავიანთი უფლებების შესახებ 3 თვის განმავლობაში, დღიდან პუბლიკაციისა.

***მოსამართლე:*** ***მერაბ ღვინიაშვილი***

**დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა**
**საქმე № 4/ა-328-10**
**01 ოქტომბერი 2010 წელი ქ. მარნეული**
**ბოლნისის რაიონული სასამართლოს**
**მაგისტრატი მოსამართლე მარნეულის მუნიციპალიტეტში თამაზ ურთმელიძემ**

სხდომის მდივან – ელენე თაგაურის
სამართალდამრღვევ – ელბეი მამედოვის
თარჯიმან – ირინე შენგელიას

მონაწილეობით განიხილა ქვემო ქართლის რეგიონალური სატყეო სამმართველოდან შემოსული მასალები ელბეი მამედოვის მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე, სასამართლომ

**დ ა ა დ გ ი ნ ა :**

1. ელბეი მამედოვი ცნობილ იქნას ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 66-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და 1282-ე მუხლის მე-4 ნაწილით და დაჯარიმდეს 70 (სამოცდაათი) ლარის ოდენობით, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

2. ელბეი მამედოვს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისროს ქონებრივი ზიანის 24 ლარის გადახდა.

3. დადგენილების აღსრულების შესახებ ეცნობოს დადგენილების გამომტან სასამართლოს;

4. განემარტოს ელბეი მამედოვს , რომ ჯარიმისა და ზიანის თანხა გადაიხადოს დადგენილების ასლის მიღებიდან 30 (ოცდაათი) დღის ვადაში. თანხა ჩაირიცხოს ბიუჯეტის ერთიან ანგარიშზე შემდეგი რეკვიზიტებით: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი 220101222, ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში 200122900 ბოლნისის რაიონული სასამართლოს და ბიუჯეტის შემოსულობების კოდი 300093245 (თანხის გადახდის ქვითარი წარმოდგენილ იქნას ბოლნისის რაიონულ სასამართლოში).

5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოტანიდან 10 დღის ვადაში თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში ბოლნისის რაიონული სასამართლოს (ქ. მარნეული, ნარიმანოვის ქ. №4) მეშვეობით.

**მოსამართლე: თამაზ ურთმელიძე**

**საქმე №3/1-2011**

**გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა**
**საქართველოს სახელით საჯარო შეტყობინების შესახებ**
**17 იანვარი 2011 წელი**
**ქ. სამტრედია**
**სამტრედიის რაიონული სასამართლო**
**მოსამართლე ანა ჩოგოვაძე**

მოსარჩელე: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;
მოპასუხე: ოტია ბიჭიკოს ძე ხაბულიანი;
დავის საგანი: ჯარიმის, პირგასამტეხლოს და ზიანის საკომპენსაციო თანხის დაკისრება;
ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საჯარო შეტყობინების საკითხი და

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ გამოქვეყნდეს გაზეთში “ახალი თაობა”;

2. ეცნობოს მოპასუხე ოტია ხაბულიანს, რომ სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 6 იანვრის განჩინებით წარმოებაშია მიღებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი ოტია ხაბულიანის მიმართ ჯარიმის, პირგასამტეხლოს და ზიანის საკომპენსაციო თანხის დაკისრების თაობაზე;

3. ეცნობოს მოპასუხეს, რომ დაწყებულია მოცემული საქმის მომზადება სასამართლოს მთავარ სხდომაზე განსახილველად, მოპასუხეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის შესაბამისად განსაზღვრული აქვს ვადა 5 (ხუთი) დღე, პასუხის (შესაგებლის) წარმოსადგენად;

4. ეცნობოს მოპასუხეს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელისა გამო, მოპასუხე ოტია ხაბულიანის მიმართ, ჯარიმის, ზიანის და პირგასამტეხლოს დაკისრების შესახებ აღძრულ №3/1-2011 ადმინისტრაციულ საქმეზე მთავარი სხდომა დანიშნულია 2010 წლის 10 თებერვალს 15 საათზე;

5. სხდომა გაიმართება სამტრედიის რაიონულ სასამართლოში, მდებარე ქ. სამტრედია, ძმები ნინუების ქუჩა №1;

6. განჩინება გამოქვეყნდეს გაზეთში “ახალი თაობა”, რაც დაევალოს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტს.

7.განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ დაიშვება.

**მოსამართლე ანა ჩოგოვაძე**

**საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ მოწოდებული სასამართლო განჩინებები და ინფორმაციები განთავსებულია გაზეთ „ახალი თაობის“ ინტერნეტსაიტზე**
**www.atb.ge.**

**P.S. საიტის მთავარ გვერდზე კატეგორიებში ბოლო პუნქტი დათმობილი აქვს განჩინებებს, სადაც განთავსებულია მიმდინარე წელს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ყველა განჩინება.**

# საქართველოს დასათვალიერებლად ჩამოსულ ბურებს ჩვენი ხელისუფლება ქირას უხდის

**საქართველოს მთავრობის პროექტი, სამხრეთ აფრიკაში მცხოვრები ჰოლანდიელი ფერმერების, ბურების ჩამოსახლებასთან დაკავშირებით, უკვე ამოქმედდა. ხელისუფლების განცხადებით, ბურები ქართულ აგრარულ სექტორში ინვესტიციების ჩადებას, თანამედროვე ტექნოლოგიებისა დანერგავს და თავიანთი გამოცდილების გადმოტანას აპირებენ, რაც ქართული სოფლის მეურნოების აღორ ინებას შეუწყობს ხელს.**

**რას მოუტანს აღნიშნული პროექტი ქვეყანას და რა რისკები ახლავს თან? — ამ საკითხებზე საინფორმაციო სააგენტო მედიანიუსი„ ექსპერტს სოფლის მეურნეობის დარგში, პაატა კოღუაშვილს ესაუბრა.**



***— ბატონო პაატა, ბურები თავიანთი გამოცდილებით და ინვესტიციებით, რამდენად შეძლებენ საქართველოს სოფლის მეურნეობის აღორძინებას?***

— არავითარი გამოცდილების გადმოტანა მათ არ შეუძლიათ. იმიტომ, რომ ბურებმა არ იციან ქართველ გლეხზე მეტი. უკანასკნელი 20 წელია ქართველ გლეხს არ მივეცით საშუალება, თავისი შესაძლებლობები გამოავლინოს. ის, პრაქტიკულად, გალატაკებული და თითივით გალოკილია. მას არ დავხმარებივართ არაფერში, გარდა იმისა, რომ გადავუგდეთ ერთი ჰექტარი მიწა და ქვეყნის გამოკვების მთელი პასუხისმგებლობა ავკიდეთ. ახლა კი ვაცხადებთ, რომ ქართველი გლეხი უმაქნისია და სოფლის მეურნეობის ასაღორძინებლად ბურების ჩამოსახლება და მათი გამოცდილების გადმოტანაა საჭირო.

***— როგორც ამბობენ, ბურები ქართულ აგრარულ სისტემაში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას გეგმავენ.***

— თანამედროვე ტექნოლოგიები ქართველ გლეხსაც რომ მივცეთ, ის ნებისმიერი მაღალი რანგის ევროპელ გლეხზე და ფერმერზე მეტს გააკეთებს. ჩვენ არ ვაძლევთ ქართველ გლეხს არც ინვესტიციას და არც არაფრით ვეხმარებით. საერთოდ, ასეთი საკითხის გადწყვეტა ასე უბრალოდ არ ხდება. პრობლემა ისაა, რომ ერთ დილით გაიღვიძა მთავრობამ და ასეთი აზრი მოუვიდა თავში. ჩავიდა სახელმწიფო მინისტრი აფრიკაში და უთხრა ამ ბურებს, ჩამოდით ჩვენთანო. ასეთი გადაწყვეტილბების მიღებისას მთავრობა ვალდებულია საკუთარ ერს მინიმუმ აზრი მაინც დაეკითხოს. უნდა ეკითხათ, სურს თუ არა ქართველ ხალხს, მიიღოს სხვა ტრადიციის, სხვა ხასიათის უცხო ტომელი 40 000 ოჯახი? ასეთი საკითხების გადაწყვეტის დროს, როგორც წესი, დემოკრატიული მთავრობები რეფერენდუმს ატარებენ ხოლმე.

***— ხელისუფლება აცხადებს, რომ ეს ხალხი საქართველოში ინვესტიციების ჩადებას აპირებს. ისეთ მნიშვნელოვან დარგში, როგორიც სოფლის მეურნეობაა. ინვესტიციების ჩადება ცუდი რატომ უნდა იყოს?***

— არავითარი ინვესტიციების ჩადებას ისინი არ აპირებენ. ტყუილია ეს. ინვესტიცია კი არა, ახლა დასათვალიერებლად ჩამოსულები რომ არიან, ბინის ქირასაც საქართველოს მთვარობა უხდის.

***— აბა, რა საჭირო იყო მათი ჩამოსახლება, რა სარგებელს მოუტანს ეს ინიციატივა ჩვენს ხელისუფლებას?***

— ჩვენ გვაქვს აღებული უზარმაზარი პასუხისმგებლობა დასავლეთის წინაშე, ევროკავშირის წინაშე. სხვათაშორის, ამ პასუხისმგებლობას ხელი მოაწერა საქართველოს დღევანდელმა ხელისუფლებამ. ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ 100 000 ე.წ. თურქი მესხი კარზეა მომდგარი.

***— ანუ თქვენ გულისხმობთ, რომ ბურების ჩამოსახლების ინიციატივით მხოლოდდამხოლოდ დასავლეთს ასიამოვნეს?***

— არავითარი დასავლეთი! ეს კიდევ ერთი კაპრიზია. დავით აღმაშენებლის მიმბაძველობით აკეთებენ ყველაფერს. აკვიატებად აქვთ ქცეული, მაგრამ არ უფიქრდებიან, ეს რას მოუტონს ქვეყანას, რადგან საქართველოში ყველაფერი დიდებული და აღმშენებლური დაკავშირებულია დავით აღმაშენებელთან, ჰგონიათ, რომ ყველა მისი გადაწყვეტილება სასიკეთო იყო. ეს არის სიმბოლური, 40 000 ყივჩაღი და 40 000 ბური. მათ უნდა იცოდნენ, რომ ყივჩაღების უდიდესი ნაწილი საქართველოდან გაძევებულ იქნენ, რადგან მათ დავით აღმაშენებლის წინააღმდეგ, ორჯერ მოაწყეს შეთქმულება. ისინი ვერ შეეწყვნენ საქართველოს იმიტომ, რომ ვერ გაიგეს ჩვენი ეთნოფსიქოლოგიური და კულტურული მაჩვენებლები. ვერც ბურები გაიგებენ. ასე არ ხდება, გაიღვიძო და მოგივდეს აზრი თავში, რომ ქართველი გლეხი უვიცია, გაუნათლებელია, ტლუა და ამიტომ აფრიკიდან უნდა ჩამოვუყვანო ფერმერები, რომ რამე ასწავლონ. ნურას უკაცრავად! ქართველი — ეს არის ბურჯი და რეზერვი ქვეყნის შენებისა, ეს არის იმედი ქართული სახელმწიფოებრიობისა. ეს უნდა გაიგოს ყველამ! ბურები ვერ იცხოვრებენ ქართველების გვერდით. წარმოუდგენელია ამხელა მასის მიღება. სად გინდა, რომ ჩაასახლო და როგორ? — ამ პროცესს, სერიოზული პრობლემები და დაპირისპირებები მოჰყვება.

**მედიანიუსი**

საქმე №2/8346-10წ.

**დაუსწრებელი გადაწყვეტილება**
**საქართველოს სახელით**

**10 იანვარი, 2011 წელი თბილისი**
**თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია**
**მოსამართლე — თამაზ ურთმელიძე**

**განხილვის ფორმა** — ზეპირი მოსმენის გარეშე
**მოსარჩელე** — დავით შიშმანაშვილი
**მოპასუხე** — შპს „ბარამი“
**დავის საგანი** — ზარალის ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:**

2010 წლის 19 აგვისტოს დავით შიშმანაშვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხე შპს „ბარამის“ მიმართ, ზარალის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნით.

**სარჩელი ეფუძნება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:**

2009 წლის დეკემბერში დავით შიშმანაშვილმა მოპასუხე მხარეს, როგორც გადამზიდველს, შეუკვეთა ავტომობილი ლექსუს ლს 400-ს ბორტკომპიუტერის სარემონტოდ გადაგზავნა ამერიკის შეერთებულ შტატებში. მოპასუხის განცხადებით, ტვირთი სრულად არის დაზღვეული, მაგრამ მოსარჩელის ამანათი არ ჩასულა დანიშნულების ადგილზე. მოპასუხის თანამშრომლების განცხადებით, ტვირთი დაიკარგა თურქეთის ავიაკომპანიის გამო, მოპასუხეს კი არ ჰქონდა დაზღვევა გაკეთებული და ვერ მოახდინა ტვირთის ღირებულების ანაზღაურება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა:

1. მოპასუხე შპს „ბარამს“ დავით შიშმანაშვილის სასარგებლოდ დაეკისროს 3 000 ლარის გადახდა;

2. მოპასუხე შპს „ბარამს“ დავით შიშმანაშვილის სასარგებლოდ დაეკისროს მოსარჩელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის, ადვოკატის მომსახურებისა და პუბლიკაციისათვის გაწეული ხარჯის, სულ 2815 ლარის ანაზღაურება.

საქმის სასამართლო განხილვისათვის მომზადების მიზნით, მოპასუხე — შპს „ბარამს“, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლში მითითებული მოთხოვნის შესაბამისად, გაეგზავნა სარჩელი თანდართულ მტკიცებულებებთან ერთად და მასვე დაევალა გზავნილში მითითებულ ვადაში, კერძოდ კი 07 (შვიდი) დღის ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარმოდგენა, ამავე დროს, მოპასუხეს განემარტა სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში პასუხის (შესაგებლის) არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობის შემთხვევაში, ზეპირი მოსმენის გარეშე, დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობის შესახებ.

დადგენილია, რომ სარჩელი და თანდართული მტკიცებულებები საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით მოპასუხეს ჩაბარდა 2010 წლის 14 დეკემბერს.

დადგენილია, რომ სასამართლო გზავნილში მითითებულ ვადაში მოპასუხეებს პასუხი (შესაგებელი) დავით შიშმანაშვილის სარჩელზე სასამართლოში არ წარმოუდგენიათ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის $232^1$-ე მუხლის თანახმად, მოპასუხის მიერ ამ კოდექსის 201-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილ ვადაში პასუხის (შესაგებლის) წარმოუდგენლობისას, თუ ეს გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით, მოსამართლეს ზეპირი მოსმენის გარეშე გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამასთანავე, მოსამართლე დააკმაყოფილებს სარჩელს, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო ნიშნავს სასამართლოს მთავარ სხდომას.

სასამართლომ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის $232^1$-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამართლებრივი თვალსაზრისით შეაფასა სარჩელში მითითებული და დამტკიცებულად ჩათვლილი ფაქტობრივი გარემოებები და დაასკვნა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე, 317-ე, 361-ე, 668-ე, 670-ე, 686-689-ე მუხლების თანახმად, ეს გარემოებები ამართლებს იურიდიულად მოსარჩელის მოთხოვნას, ამასთან, არ არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობის საფუძველი. აღნიშნულიდან გამომდინარე, დავით შიშმანაშვილის სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს.

**სასამართლო ხარჯების საკითხი უნდა გადაწყდეს შემდეგნაირად:**

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის თანახმად: „იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან“... კონკრეტულ შემთხვევაში საქმეში არსებული გადახდის ქვითრებით დასტურდება, რომ მოსარჩელის მიერ სარჩელზე გაწეული იქნა სასამართლო ხარჯი 2815 ლარის ოდენობით. ამდენად, ზემოაღნიშნული მუხლიდან გამომდინარე, მოპასუხეს დავით შიშმანაშვილის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 2815 ლარის გადახდა ამ უკანასკნელის მიერ სარჩელზე გაწეული სასამართლო ხარჯის ასანაზღაურებლად.

აქვე სასამართლო დამატებით მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78.1 მუხლის თანახმად, „თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. საჯარო შეტყობინება ხორციელდება იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში“. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი „სასამართლო უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს“. განსახილველ შემთხვევაში, სასამართლოსათვის უცნობია, მოპასუხის ადგილსამყოფელი, შესაბამისად, სასამართლოს მიაჩნია, რომ ზემოაღნიშნული მუხლის საფუძველზე, მას საჯარო შეტყობინებით მეშვეობით უნდა ეცნობოს აღნიშნული დაუსწრებელი გადაწყვეტილების თაობაზე.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 53-ე, 201-ე, $232^1$-ე, 233-ე, 236-ე, 237-ე მუხლებით და

**გადაწყვიტა:**

1. დავით შიშმანაშვილის სარჩელი დაკმაყოფილდეს;

2. მოპასუხე შპს „ბარამს“ დავით შიშმანაშვილის სასარგებლოდ დაეკისროს 3 000 ლარის გადახდა;

3. მოპასუხე შპს „ბარამს“ დავით შიშმანაშვილის სასარგებლოდ დაეკისროს მოსარჩელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის, ადვოკატის მომსახურებისა და პუბლიკაციისათვის გაწეული ხარჯის, სულ 2815 ლარის ანაზღაურება;

4. დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს გაზეთში „ახალი თაობა“, რაც საკუთარი ხარჯებით დაევალოს მოსარჩელეს;

5. განემარტოს მხარეს, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოპასუხისათვის ჩაბარებულად ითვლება საჯარო შეტყობინების გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს;

6. განემარტოს მოპასუხეს, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში საჩივრის შემოტანის გზით მისთვის დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან 10 (ათი) დღის ვადაში, ხოლო აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში და აღარ გასაჩივრდება.

***მოსამართლე თ. ურთმელიძე***

# ხელისუფლება და ოპოზიცია ერთმანეთს გაურიგდნენ

## რატომ მ იმდება სოციალური ფონი

ნონა ცაბა ე



### ინტერვიუ ირინა სარიშვილთან

***— ქალბატონო ირინა, თქვენ განაცხადეთ, რომ ოპოზიციას დაავიწყდა, რომ ქვეყანას სააკაშვილი მართავსო, რატომ გაგიჩნდათ ასეთი განცდა?***

— იმიტომ გამიჩნდა, რომ ოპოზიცია ერთმანეთთან კონკურენციით არის დაკავებული და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს შექმნილია ნორმალური საარჩევნო გარემო, ქვეყანას არ მართავს ტირანი და აქედან გამომდინარე თავისუფლად შეუძლია ოპოზიციას, ნაცვლად გაერთიანებისა, ერთმანეთს კომპრომატების ომი გაუმართოს. მე ამჯერად უფრო უარესი განცხადების გაკეთების საფუძველიც მაქვს, ეს წინა განცხადება შედარებით რბილია და ის არ ახასიათებს ოპოზიციას, როგორც უნდა ახასიათებდეს. დღეს ოპოზიცია შეგუებულია იმ აზრს, რომ სააკაშვილი პრეზიდენტია და იმ აზრსაც შეგუებულია, რომ სააკაშვილი პრემიერ-მინისტრი იქნება და აი, ამ პირობებიდან გამომდინარე მოქმედებს.

***— თქვენ რამდენად ხართ დარწმუნებული, რომ სააკაშვილი იქნება პრემიერი?***

— მე ვარ თუ არა ამაში დარწმუნებული, ეს არ არის მთავარი, ამ შემთხვევაში ჩემი აზრი არაფერს ცვლის, უბრალოდ საქმე მიდის იქით და იმდენად ყველაფერი მონოპოლიზებული აქვს ხელისუფლებას და პირველ რიგში ყველაზე სტარტეგიული ობიექტის მონოპოლიზება მოახდინა მან და ეს არის ოპოზიცია და საინფორმაციო საშუალებები და აქედან გამომდინარე, როცა მოქმედებს თითქმის დღეს აქტიურად მოქმედი ყველა ტელევიზია და ძნელი წარმოსადგენია, რაც არ უნდა სამწუხარო იყოს, რომ სააკაშვილი ხელისუფლებაში დარჩენას ვერ მოახერხებს. ოპოზიცია კონფლიქტურ სიტუაციებსაც იმავე სცენარით ათამაშებს, რომელ სცენარსაც გეგმავს ხელისუფლება საკუთარი ინტერესიდან გამომდინარე და გარკვეული გარიგებები აქვს ოპოზიციასთან ამის სანაცვლოდ, რომელსაც ხან ასრულებს, ხან არა. როცა უკან დახევაა საჭირო ოპოზიციის მხრიდან, იმიტომ, რომ შეიძლება თუნდაც გათამაშებულმა კონფლიქტმაც კი ხელისუფლებას მართლაც ზიანი მიაყენოს, ის უკან იხევს. თუნდაც იგივე ბაიდენის ჩამოსვლის წინ საკნების აღება, ინაუგურაციის დღეს საპროტესტო მიტინგის ძალიან შორს დანიშვნა და ასე შემდეგ.

***— საუბრობენ იმის შესახებ, რომ ამერიკა სააკაშვილს გაპრემიერებაში ხელს არ შეუშლისო, თქვენ რას ფიქრობთ ამ საკითხთან დაკავშირებით?***

— სააკაშვილის გაპრემიერებას ხელს არ შეუშლის არც ამერიკა და არც რუსეთი, ამის შეცვლა შეგვიძლია მხოლოდ ჩვენ, საამისო ნება რომ არსებობდეს. შესაძლებელია ამ ეტაპზე არც ამერიკა, არც რუსეთი და საერთოდ ის ქვეყნები, ვისაც რაღაც ინტერესი აქვს დასაკმაყოფილებელი ამ გეოგრაფიულ ტერიტორიაზე, შეუძლებელია ამაზე უკეთესი მმართველი ინატრონ, იმიტომ, რომ დაბალანსებული, გაწონასწორებული ხელისუფლება ხელს შეუწყობდა საქართველოს ნორმალურ ურთიერთობებს რუსეთთან, ნორმალურ ურთიერთობებს შეერთებულ შტატებთან და არა კაბალურს, როგორსაც იწვევს სააკაშვილი თავისი მოქმედებებით. მე ეჭვი მეპარება, რომ რომელიმე ქვეყანა დღეს წინააღმდეგი იყოს ასეთი გაუწონასწორებელი ხელისუფლების დარჩენის ხელისუფლებაში. მათ ეს აწყობთ.

***— დღეს ძალიან მძიმეა სოციალური ფონი, ოპოზიციის ნაწილი აცხადებს, რომ ისინი თებერვლიდან დაიწყებენ საპროტესტო აქციებს სწორედ სოციალური კუთხით, როგორ ფიქრობთ, ეს იქნება შედეგის მომტანი?***

— ეს ყველაფერი არის თამაში. სოციალური ფონი მძიმდება თვითონ ხელისუფლების მხრიდანვე ერთადერთი მიზნით, რომ საჭიროების შემთხვევაში სახელგატეხილმა ოპოზიციამ მაინც შეძლოს ქუჩაში ხალხის გამოყვანა. ეს არის სიტყვიერი თუ უსიტყვო შეთანხმება ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის. საქმე გახლავთ იმაში, რომ იმისათვის, რომ სააკაშვილმა პრემიერ-მინისტრობას მიაღწიოს და ამას სჭირდება სერიოზული უმრავლესობა პარლამენტში. რიგით, ჩვეულებრივ საპარლამენტო არჩევნებში ნაციონალური მოძრაობა ვერ მოიგებს არჩევნებს. როგორი სახელგატეხილიც არ უნდა იყოს ოპოზიცია, ნაციონალურ მოძრაობას პირველი ადგილიც რომ შეხვდეს, ეს პირველი ადგილი არ იქნება საკმარისი, იმისათვის, რომ სააკაშვილი დარჩეს პრემიერ-მინისტრად. როგორი გამყიდველიც არ უნდა იყოს ოპოზიცია, არც ერთი მათგანი პულტს ხელს არ დააჭერს სააკაშვილის პრემიერ-მინისტრად დასამტკიცებლად. აქედან გამომდინარე საჭიროა საგანგებო ვითარების ხელოვნურად შექმნა. გავიხსენოთ 7 ნოემბრის მოვლენები, მას შემდეგ, როცა დაარბია სააკაშვილმა აქცია და ოპოზიციამ უკან დაიხია, აბსოლუტურად დათრგუნული სიტუაცია იყო მთელს ქვეყანაში და სააკაშვილმა, უკვე როგორც მოგებულმა, დანიშნა 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნები. ასეთივე ნაბიჯის გადადგმაა მოსალოდნელი ამჯერადაც სააკაშვილისგან. თუ ვითარება გამწვავდება და ეს გამწვავება თვითონ სააკაშვილს აძლევს ხელს, ის აუცილებლად გეგმავს ამ აქციების დარბევას, შესაძლებელია უფრო მძიმე ფორმითაც, ვიდრე ეს 7 ნოემბერს იყო. ამის შემდეგ ამ ოპოზიციისგან ჩვენ უკან დახევის გარდა არაფერს უნდა ველოდოთ, ამის გამოცდილება გვაქვს და თან ამაში მათივე ინტერესია და ამის შემდეგ არათუ კუთხეში მიმწყვდეული, არამედ როგორც გამარჯვებული, გამოვა ოპოზიცია და დაიწყებს ყვირილს — ვაიძულებთ სააკაშვილს საპარლამენტო არჩევნების დანიშვნაო. ასეთ სიტუაციაში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნები რასაც მოგვცემს, ეს ძნელი წარმოსადგენი არ არის. თუ ყველაფერი ასე დრამატულად განვითარდება, სააკაშვილს პრემიერობა გარანტირებული ექნება.

***— თქვენ 7 ნოემბრის მოვლენები ახსენეთ და აქვე მინდა გკითხოთ, დღეს პატარკაციშვილის მეუღლე, ასევე ვალერი გელბახიანი აცხადებენ, რომ ბადრი პატარკაციშვილმა ნოემბრის მოვლენების დროს ოპოზიციას 10 მილიონი მისცა და მათ თავისუფლად შეეძლოთ, პროცესები სხვაგვარად წარემართათო...***

— მე ახლა მიჭირს იმისი თქმა, კონკრეტულად ვინ ურიცხავდა და რამდენს ურიცხავდა ოპოზიციას, მაგრამ ოპოზიციას ამის გაკეთება შეეძლო, ათ მილიონად, ერთ მილიონად თუ ეს არ ვიცი, მაგრამ იმ პერიოდში ოპოზიცია რეიტინგის თვალსაზრისით, ობიექტურად შექმნილი პირობების თვალსაზრისით და ფინანსურადაც ოპოზიცია, რომ სუსტი არ იყო ეს ჩანდა. მას ამის გაკეთება შეეძლო, მაგრამ მან ეს არ გააკეთა.

# „მე მიყვარს საქართველო" — ახალი ფილმის გადაღებები იწყება

ეკა ირემაშვილი

ქართულ კინოსივრცეს ძალიან მალე ახალი ქართული ფილმი, სახელწოდებით „მე მიყვარს საქართველო" შეემატება, რომლის რეჟისორიც გია კაჭარავაა. როგორც ჟურნალისტებთან გამართულ შეხვედრაზე შემოქმედებითმა ჯგუფმა განაცხადა, ფილმი მაქსიმალურად სწრაფად უნდა გაკეთდეს — გადაღებები გაზაფხულის დადგომისთანავე დაიწყება და ორ თვეში დასრულდება. ფილმი ეკრანებზე ზაფხულში გამოვა. ფილმის გადაღება ადრე გაზაფხულზე დაიწყება, რადგან ამ დროს უკეთესი ნატურაა.

ფილმის დატვირთვა ძირითადად საქართველოში განვითარებულ ტურიზმზეა. როგორც რეჟისორმა განაცხადა, ფილმში საქართველოს ის ღირსშესანიშნავი ადგილები იქნება გაცოცხლებული, რომლებიც საზოგადოებას დავიწყებული აქვს. სრულმეტრაჟიან ფილმში საზოგადოებისთვის ყველა ცნობილი ადამიანი მიიღებს მონაწილეობას — ძველი და ახალი თაობა. ფილმში დაკავდება პროექტ „ჯეოსტარის" რამდენიმე მონაწილეც. ახალი ქართული ფილმის მუსიკალურ გაფორმებაზე ცნობილი მუსიკოსები კაკო ვაშალომიძე და ჭაბუკა ამირანაშვილი იზრუნებენ. ფილმში სახელწოდებით „მე მიყვარს საქართველო" მონაწილეობენ ნუგზარ კვაშალი, თემურ წიკლაური, ჯგუფი „მგზავრები", გიორგი სუხიტაშვილი.

ახალი ქართული სურათის რეჟისორის გიორგი კაჭარავას თქმით, ფილმში ყველა ის ადამიანი იქნება, ვინც ხალხს უყვარს. ფილმს „მე მიყვარს საქართველო" „ჯორჯიან ინტერნეიშენალ არტი" — სინემაგია.გე იღებს. როგორც პრესკონფერენციაზე შემოქმედებითმა ჯგუფმა აღნიშნა, ეს ფილმი არა მარტო საქართველოს ბაზარზე გავა, არამედ დაგეგმილია ფილმის უკრაინაში, აზერბაიჯანში და ბალტიისპირეთის ქვეყნებში ჩვენებაც.

**გია კაჭარავა, ფილმის რეჟისორი:**

— ეს არის მუსიკალური, ტურისტული, სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი, რომელიც ჩვენი ქვეყნის სიდიადეს ეძღვნება. გადაღებებს გაზაფხულზე დავიწყებთ და ძალიან მალე დავასრულებთ. გვინდა, რაც შეიძლება მალე ვაჩვენოთ ეს ფილმი ხალხს.

***— ფილმის სცენარი უკვე დაწერილია?***

— ეს იქნება მრავალპლანიანი ფილმი. ის ერთ კონკრეტულ ადამიანზე არ არის მორგებული, ამიტომ მასში ვყელა ცნობილი მსახიობი და მომღერალი მიიღებს მონაწილეობას. მსახიობები ნათლიის, ძმები ბლუზებისა და სხვა ცნობილი ფილმების ეპიზოდებს გააცოცხლებენ.

***— გადაღებებს მხოლოდ საქართველოში გეგმავთ?***

— რა თქმა უნდა. გადაღებები სვანეთში, კახეთსა და სამეგრელოში გვექნება. ამ ფილმში ბევრი ნიჭიერი ხალხი დავაკავეთ, ამიტომაც ეს ფილმი ძალიან ლამაზი და მუსიკალური გამოვა.

***— ფილმს საქართველოს რეკლამირებისთვის იღებთ?***

— ჩვენი ქვეყანა მართლა ულამაზესია. რატომ არ უნდა გადავიღოთ მასზე ფილმი? ახალი ფილმი ევროპული ბაზრისთვისაც იქნება განკუთვნილი, რაც ქვეყნის პოპულარიზაციასაც შეუწყობს ხელს.

***— ფილმი ძვირი ჯდება?***

— კონკრეტულ თანხებზე ახლა ლაპარაკი არ შემიძლია. რაც შეეხება დაფინანსების საკითხს, არის რამდენიმე კომპანია, რომელმაც გამოთქვა სურვილი, ფილმში ფინანსები ჩადონ, თუმცა ამ ეტაპზე მათთან მოლაპარაკებები მიმდინარეობს.

**კაკო ვაშალომიძე, მუსიკოსი:**

— ეს არის ფილმი, რომელმაც ჩვენი ქვეყანა უნდა წარმოაჩინოს, ამიტომ მასში დაკავებულმა თითოეულმა ადამიანმა მაქსიმუმი უნდა გავაკეთოთ. ფილმს იღებს პროფესიონალი ადამიანი, ამიტომ მასთან მუშაობა ძალიან საინტერესო და საპასუხისმგებლოა.

***— თქვენ რა როლი გაქვთ?***

— გარდა იმისა, რომ ფილმი მუსიკალურად უნდა გავაფორმო, ამ ფილმში ჩემი თავი უნდა ვითამაშო, მაგრამ — იუმორისტული განხრით. მიხარია, ასეთ ადამიანებთან რომ მოვხდი, იმიტომ რომ ყველა თავისი საქმის პროფესიონალია.

**გიგი დედალამაზიშვილი, „მგზავრები":**

— ჩემთვის ძალიან დიდი პატივია ისეთი ადამიანების გვერდით მუშაობა, რომლებიც ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავენ. დიდი მადლობა შემოქმედებით ჯგუფს იმისთვის, რომ „მგზავრებს" მოგვცა საშუალება, ამ ფილმში მიგვეღო მონაწილეობა და ჩვენი მოკრძალებული წვლილი შეგვეტანა ჩვენი ქვეყნის პოპულარიზაციის მიზნით გადაღებულ ფილმში.

# უძველეს ნიმუშებს თანამედროვე აპარატურით შეისწავლიან

ეკა ირემაშვილი

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალურმა დირექტორმა სულხან სისაურმა ეროვნული მუზეუმი მოინახულა და ფონდის დაფინანსებით შეძენილი სამეცნიერო აპარატურა — ენერგოპორტატული სპექტრომეტრი დაათვალიერა, რომლითაც ლითონწარმოების უძველეს ნიმუშებს შეისწავლიან.

ახალი სპექტრომეტრი ქართველ მეცნიერებს საშუალებას მისცემს, ნივთის დაუზიანებლად საქართველოს მუზეუმებში დაცული კოლექციები შეისწავლონ, უძველესი მხატვრული ლითონწარმოების ტექნიკური ანალიზი გააკეთონ და საუკუნეების წინ დამზადებული ოქრომჭედლობის ნიმუშების ქიმიური შემადგენლობა დაადგინონ. სულხან სისაური სპექტრომეტრის საშუალებით მიმდინარე ექსპერიმენტს გაეცნო.

— ფონდის საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტია, ხელი შეუწყოს ქართველ მეცნიერებს საქმიანობისთვის საჭირო აპარატურის შეძენაში. მნიშვნელოვანია, რომ ფონდის დაფინანსებით შეძენილი სამეცნიერო-კვლევითი აპარატურით სარგებლობა მკვლევართა ნებისმიერ ჯგუფს შეუძლია. ეს არის თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი აპარატურა და ის მსოფლიოს წამყვან სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში გამოიყენება, — განაცხადა სულხან სისაურმა.

აღნიშნული აპარატით რამდენიმე მნიშვნელოვანი კვლევა უკვე განხორციელდა — 2010 წელს ვანში აღმოჩენილი ელინისტური პერიოდის ბრინჯაოს არტეფაქტების ტექნიკური ანალიზი ჩატარდა, შესწავლილ იქნა ნოქალაქევის, ჩხოროწყუს, გორის, ასევე სიმონ ჯანაშიას სახელობის ისტორიის მუზეუმებში დაცული ექსპონატები. რენტგენო-ფლუორესცენტრული სპექტრომეტრი ეროვნულმა მუზეუმმა 2010 წელს შეიძინა. ექსპონატების ექსპერტიზის გარდა, აპარატი კრიმინალისტიკასა და საკვები პროდუქტების ზუსტი ანალიზისთვისაც გამოიყენება.




ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი

**მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის რესტავრაცია.**
**შეიტანეთ თქვენი წვლილი საღვთო საქმეში.**

**დარეკეთ!**

**მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი 700 607**

**ახალი ქსელები 700 608**

**გაერთიანებული ტელეკომი 608 608**



ანგარიშზე თანხის ჩასარიცხად
შეგიძლიათ გამოიყენოთ
**სწრაფი გადახდის აპარატები**

(იხ. მენიუში: სხვადასხვა – საქველმოქმედო – ხობის მონასტერი).

**ერთად ვიზრუნოთ ტაძარზე.**

## განცხადებები

● იყიდება საკარმიდამო მიწის ნაკვეთები, 2000 და 2500 კვ.მ. ხეხილით, სასმელი და სარწყავი წყლით, ფასი 1 კვ.მ. 3 დოლარი. თბილისიდან 30 კილომეტრში, მცხეთის რაიონის სოფ. ვაზიანში (მუხრანთან ახლოს) ტელ: 890 53-02-41; 53-15-87.

● იყიდება სს „ეკოსპეცმშენის" ქუთაისის ფილიალი „სპეცმშენი". მისამართი: ქ.ქუთაისი, გუგუნავას 2ა. სს „ეკოსპეცმშენის" დირექციის მისამართი თბილისში: ნუცუბიძის 56. ტელ: 868-10-54-37.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 858-96-89-15 ან 34-02-38 ექიმი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 34-02-38; 858-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

● სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა თვეში 3-5 სმ-ის მომატებით, 25 წლამდე, კურსის გამეორება შეიძლება სასურველ შედეგამდე, გახდომა თვეში 7-დან 20 კგ-მდე, უვნებლად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 34-02-38; 895-293-299; 890-293-299. ექიმი ქ-ნი ინგა.

● მამაკაცებისთვის! იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი) მოგვარება მცენარეული პროდუქციით. შედეგი 100%-იანია. ტელ: 34-02-38; 899-25-44-14; 890-25-44-14 ექიმი, ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 899-25-44-14; 899-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ლომთათიძე — პოლიკნიკის დირექტორი მკურნალობს: ფრჩხილების სოკოს, კანის დაავადებებს, ფურუნკულს, ტროპიკულ წყლულს, თმის ცვენას, ბუასილს უოპერაციოდ, ეგზემას, ფსორიაზს, მარილების დაგროვებას, პროსტატიტს, A,B,C ჰეპატიტს, მეჭეჭებს, პაპილომებს, ხორცმეტებს, ფეხების ოფლიანობას, თვალების გარშემო ცხიმგროვას. მის: ალმაშენებლის №93, ტელ:96-38-27; 893-39-04-87 ირინა. კონსულტაცია უფასოა.

**ნათელმხილველი მანანა**
**იგებს წარსულს, აწმყოს, მომავალს, ადგენს უიღბლობის მიზეზს, ათავისუფლებს ავი თვალისა და ჯადოსაგან, ამზადებს თილისმებს ბარაქაზე, ბედის გახსნაზე, წარმატებაზე, ჯადოსა და თვალისგან დამცველს, შეუძლია დანგრეული ოჯახების აღდგენა და ნევროზის განკურნება. მიღება წინასწარი შეთანხმებით.**
**მის: მეტრო „ავლაბართან", მახათის შესახვევი N6.**
**ტელ: 897-29-27-50.**

# ფიფა-უეფა საფეხბურთო რევოლუციას ამზადებს

საინტერესო ინფორმაციას ავრცელებს გერმანული მედია. ერთ-ერთ იქაურ სპორტულ პორტალზე გამოქვეყნდა ცნობა, რომ ფიფასა და უეფას პრეზიდენტები, ზეპ ბლატერი და მიშელ პლატინი, აპირებენ რევოლუცია მოახდინონ ეროვნული ჩემპიონატების კალენდარში, რის შემდეგ რეფორმა არა მარტო კლუბებს, არამედ ეროვნულ ნაკრებებსაც ემუქრებათ.

ფიფას ჩანაფიქრით, ევროპული ქვეყნების ჩემპიონატები გაზაფხული-ზაფხულის სისტემით უნდა ჩატარდეს. ეს კი ავტომატურად ნიშნავს, რომ ეროვნული ჩემპიონატები მარტში დაიწყება და ოქტომბერ-ნოემბერში დამთავრდება. რაც შეეხება მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების ჩატარებას, მათი სავარაუდო თარიღები თებერვალი ან მარტი იქნება.

გასარკვევი რჩება, როდის გაიმართება მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩები. ფიფას საამისოდაც აქვს პასუხი — ეროვნული ჩემპიონატები ჩატარდება ოქტომბრის ბოლომდე, შემდეგი 6 კვირა კი საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩებს დაეთმობა. მხოლოდ ამის შემდეგ მიიღებენ ფეხბურთელები 4-კვირიან შვებულებას.

მსგავსი იდეა პლატინის 12 წლის წინაც ჰქონდა, მაგრამ მაშინ წინააღმდეგი იტალია-ესპანეთი წავიდა, რადგან ზაფხულში ჩემპიონატის ჩატარება ცხელი ქვეყნების წარმომადგენლებს არ აწყობთ.

მეორე ვერსიით, ფიფას ეს იდეა თავში იმიტომ მოუვიდა, რომ 2022 წელს ყატარში ჩასატარებელი მსოფლიოს ჩემპიონატის ზამთარში გადატანის იდეა აქვს, რადგან იქ ზაფხულში საშინლად ცხელა.

თუ ფიფას ალმასკომმა ეს გადაწყვეტილება მიიღო, მაშინ ცვლილებები საფეხბურთო კალენდარში 2015 წლიდან შევა.

# მძლეოსნებმა პრეზიდენტად ალექსი ახვლედიანი აირჩიეს

საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის გადაწყვეტილებით, 2011 წლის 20 იანვარს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში ფედერაციის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართა.

არჩევნებზე ხმის მიმცემი 41 სუბიექტიდან 39 გამოცხადდა და ერთხმად დაუჭირა მხარი ერთადერთ კანდიდატ ალექსი ახვლედიანს, რომელიც მძლეოსნობის ფედერაციას უახლოესი 2 წლის მანძილზე უხელმძღვანელებს.

ფედერაციის რიგგარეშე არჩევნების გამართვა იმის შემდეგ იქნა მიღებული, როდესაც თამაზ მდინარაძემ თანამდებობიდან გადადგომის შესახებ განცხადება დაწერა. მდინარაძე ფედერაციას 1991 წლიდან ხელმძღვანელობდა, ხოლო ამიერიდან საპატიო პრეზიდენტი იქნება.

ასევე ერთხმად იქნა მიღებული გენერალური მდივნის თანამდებობაზე მაია აზარაშვილის დამტკიცება. აღმასკომის წევრებმა რეგიონული ფედერაციებიდან სამეგრელოს, იმერეთისა და სამცხე-ჯავახეთი გამოარჩიეს, სპორტსმენებიდან კი მარიამ ქვეხიშვილი, ენდრიკ ზილბერშტეინი და დავით ილარიანი, რომელთაც 500-500 ლარი ჩაერიცხებათ.

**ალექსი ახვლედიანი:**

— დიდი მადლობა ნდობისა და მხარდაჭერისათვის. ყველაფერს გავაკეთებ მძლეოსნობის განვითარებისთვის. 24 საათის განმავლობაში მზად ვარ თქვენს მოსასმენად და ეს შეგიძლიათ სპორტსმენებსაც გადასცეთ. ჩვენი პრიორიტეტი ინფრასტრუქტურის განვითარება იქნება და ამ საკითხზე სერიოზულად ვიმუშავებთ.

***— ვლადიმერ ვარძელაშვილი, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი:***

— მძლეოსნობა ჩვენთვის პრიორიტეტული სახეობაა და, თუ სპორტის განვითარება გვინდა, მათ შორის აუცილებელია მძლეოსნობაც იყოს. ჩვენ გვაქვს დიდი პოტენციალი, რომელიც სათანადოდ უნდა გამოვიყენოთ. ფედერაციის საკუთრებაში გადავა დიდუბის მანეჟი, რომელიც გარემონტდება. ერთია, უნდა იბრძოლოთ ოლიმპიური ლიცენზიების მოსაპოვებლად. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს მწვრთნელთა გადამზადებას, რათა კიდევ უფრო მონდომებით იმუშაონ და მეტი სპორტსმენი გამოზარდონ.

***— გია ნაცვლიშვილი, ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი:***

— მძლეოსნობა ნამდვილად მნიშვნელოვანი სპორტის სახეობაა. ველოდებით პროგრესსა და ლიცენზიებს. ამ ეტაპზე არავინ ითხოვს მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონობას, რადგან კარგად გვესმის, რომ შედეგის მიღწევას დრო სჭირდება. 2015 წელს თბილისი ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ თამაშებს მასპინძლობს და სავალდებულოა, მძლეოსნები ამ ტურნირს კარგად მომზადებული შეხვდნენ.

# კრიშტიანუ რონალდუ: „მოსმენა თუ იცი, პრემიერლიგაში თამაშს ისწავლი“

მადრიდის „რეალმა“ მორიგი გაუთვალისწინებელი ქულები დაკარგა ესპანეთის ჩემპიონატში, რაც „ბარსელონას“ კიდევ უფრო მეტ შანსს აძლევს, მორიგი საჩემპიონო ტიტული მოიპოვოს.



მადრიდული კლუბის ლიდერი გუნდში შექმნილ მდგომარეობასთან ერთად კაკას დაბრუნებაზე, პეპესთან ახალი კონტრაქტის გაგრძელებაზე საუბრობს და „მანჩესტერ სიტიში“ მოთამაშე მარიო ბალოტელისაც კი გადასწვდა.

***— „რეალის“ შემადგენლობაში კვლავ გამოჩნდა კაკა. რამდენად მნიშვნელოვანია მისი დაბრუნება და რა ფორმაში იმყოფება სადღეისოდ ბრაზილიელი ფეხბურთელი?***

— რიკარდო თანდათან უმატებს, მაგრამ ჯერ საუკეთესო ფორმაში ნამდვილად არ იმყოფება და 100 პროცენტით მზად არ არის. თუმცა, ერთი რამ ცხადია, ის აშკარად მოუმატებს. კაკა რაც მეტს ითამაშებს, მით უფრო მალე აღიდგენს კონდიციებს.

***— დარწმუნებული ხართ, რომ კაკა შეძლებს თავის საუკეთესო ფორმაში შესვლას?***

— რა თქმა უნდა. ერთია, მისთვის დაბრუნება მძიმე იქნება, როგორც სხვა ნებისმიერი ფეხბურთელისთვის, ვინც ასეთი სირთულის ტრავმასა და ოპერაციას გადაიტანს.

***— რამდენად საჭირო ფეხბურთელია კაკა „რეალისთვის“?***

— თუ მას ტრავმები არ შეაწუხებს. ის გუნდის ნაწილი გახდა — კაკა ჯერაც მსოფლიოს დონის ვარსკვლავია.

***— როგორია თქვენი აზრი იმის თაობაზე, რომ ძალიან ბევრს აკრიტიკებენ ქარიმ ბენზემას და ფრანგ ფეხბურთელს არ მიიჩნევენ გონსალო იგუაინის ღირსეულ შემცვლელად?***

— ჩემი ღრმა რწმენით, ბენზემას ასეთი კრიტიკა არ დაუმსახურებია. თუ ჩვენს ბოლო მატჩებს ანალიზს გაუკეთებთ, ნახავთ, რომ ბენზემა ძალიან სწრაფად პროგრესირებს. ხშირად ხდება, რომ ფეხბურთში ყველაფერი ისე არ არის, როგორც გინდა. მართალია, ბენზემას იმდენი ვერ გააქვს, როგორც არგენტინელს, მაგრამ ჩვენთვის საჭირო ფეხბურთელია.

***— ამბობენ, რომ „რეალსა“ და თქვენს თანამემამულე პეპეს შორის კონტრაქტის გახანგრძლივება ჭიანურდება.***

— მე რომ ფლორენტინო პერესის ადგილზე ვიყო, პეპესთან კონტრაქტი უკვე გახანგრძლივებული მექნებოდა. დავუძახებდი პეპეს და ვეტყოდი — გამარჯობა, პეპე, შემოიარე საღამოს, რომ კონტრაქტი გავაგრძელოთ.

***— გინდათ თქვათ, რომ პეპე „რეალისთვის“ ასეთი მნიშვნელოვანი ფიგურაა?***

— ის ფენომენალური ფეხბურთელია და „რეალში“ უნდა თამაშობდეს. ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ ჩემი მეგობარია, ის ნამდვილად მსოფლიო დონის ფეხბურთელია. მგონი, საუბარი მცირე თანხის დამატებაზეა — თუ „რეალი“ პეპეს ხელფასს მცირედით მოუმატებს, მაშინ ყველაფერი მოგვარდება.

***— თქვენი სიტყვების საპირისპიროდ ამბობენ, რომ პეპე ხელფასის სახით დიდი თანხის მომატებას ითხოვს.***

— ეს თქვენ გეჩვენებათ ასე — პეპე ითხოვს იმდენს, რამდენსაც იმსახურებს.

***— გადავიდეთ თქვენს ამბიციაზე. ისევ ოცნებობთ, გახდეთ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი?***

— ამაზე დიდი ხანია ვმუშაობ, მაგრამ ჩემი კარიერა მხოლოდ მაშინ განსაჯეთ, როდესაც დავამთავრებ. რა თქმა უნდა, ხანდახან ვფიქრობ იმის შესახებ, რომ საუკეთესო გავხდები. თუმცა, მხოლოდ პოზიტიურად ვფიქრობ და ვცდილობ, ვითამაშო ისე, რომ ჩემი შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოვავლინო.

***— როდესაც „მანჩესტერ იუნაიტედში“ თამაშობდით, მაშინ კონფლიქტი შეგემთხვათ მარიო ბალოტელისთან.***

— საერთოდ, მას კარგ ფეხბურთელად მივიჩნევ. ერთია, მისთვის უკეთესი იქნება, თუ ცოტას ილაპარაკებს და მეტ კონცენტრაციას ფეხბურთზე გადაიტანს. პრემიერლიგაში კარგი ფეხბურთელი მაშინ გახდები, თუ მოსმენა და სწავლა გიყვარს.

***— მაშ, რა არის მიზეზი იმისა, რომ ბალოტელი ვერ ახერხებს, ყოველთვის მაღალ დონეზე ითამაშოს?***

— ფეხბურთი მისთვის პირველ ადგილზე არ დგას და ძალიან ხშირად არის დაკავებული სხვა საქმეებით.

***— ის მართალია, რომ საუკუნის დასაწყისში თქვენ გქონდათ შანსი, ტურინის „იუვენტუსში“ მოხვედრილიყავით?***

— კი. ინტერესი ნამდვილად იყო. იმის შანსიც ჩანდა, რომ სხვა იტალიურ კლუბში მოვხვედრილიყავი, მაგრამ, როგორც კვამლი, ისე გაქრა ყველაფერი... ახლა ესპანეთში ვთამაშობ და მოხარულიც ვარ.

# „ზესტაფონი“ ესპანეთამდე „სამტრედიას“ დაუხვდა

ახალი სეზონისთვის მზადებას აგრძელებს საფეხბურთო კლუბი „ზესტაფონი“. იმერულ კლუბში საქართველოს ნაკრებში 40 მატჩის ჩამტარებელი ზურაბ მენთეშაშვილი რომ მივიდა, ამის თაობაზე უკვე ვწერდით. თუმცა, ფეხბურთელს მიკროტრავმა აწუხებს და ჯერჯერობით საერთო ჯგუფთან ერთად ვერ ვარჯიშობს. მისი დარჩენა-არდარჩენის საკითხი უახლოეს დღეებში გაირკვევა.

„ზესტაფონი“ უკვე დატოვა სინჯებზე მყოფმა ხორვატმა ფეხბურთელმა მარინ ვუჩემილოვიჩ-გრგიჩმა. როგორც ჩანს, ვერც იმერულ კლუბს აკმაყოფილებს უცხოელი ფეხბურთელების სათამაშო დონე, ანაც აგენტებს საქართველოში ფეხბურთელები „გასასაღებლად“ ჩამოჰყავთ, მაგრამ არც აქაური კლუბები ჩანს იოლი მოსატყუებელი. ჯერჯერობით გუნდშია მეორე ხორვატი ფეხბურთელი, გორან გრუიცა, რომლის ბედიც უახლოეს დღეებში გადაწყდება.

ხვალ „ზესტაფონი“ პირველ საკონტროლო მატჩს გამართავს და „სამტრედიას“ საკუთარ ბაზაზე ამხანაგურად გაეჯიბრება.

25 იანვარს კი „ზესტაფონი“ შეკრების გასავლელად ესპანეთში გაემგზავრება. პირინეის ნახევარკუნძულზე იმერლები ჯერ ამხანაგურ მატჩებში მიიღებენ მონაწილეობას, სადაც მათ მეტოქეებად პოლონური, რუმინული და უკრაინული კლუბები განიხილება, ხოლო 2 თებერვლიდან პრესტიჟულ „მარბელას თასის“ გათამაშებაში მიიღებენ მონაწილეობას.

„მარბელას თასის“ მონაწილეთა სიაში გარკვეული ცვლილებებია. ტურნირში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს დონეცკის „შახტარმა“ და მოსკოვის ცსკამ, თუმცა ტურნირის ორგანიზატორებს მათი შემცვლელების პოვნა არ გასჭირვებიათ.

„ზესტაფონის“ გარდა, ტურნირში მონაწილეობას მიიღებენ რუსული „ზენიტი“ და „ყუბანი“, უკრაინული „დინამო“ და „დნიპრო“, პოლონური „პოლონია“, ჩეხური „სპარტა“ და ბულგარული „ლოკომოტივი“.

ტურნირი ოლიმპიური სისტემით მიმდინარეობს, მხოლოდ, იმ განსხვავებით, რომ წაგებული გუნდები ბრძოლას არ ეთიშებიან და ერთმანეთში აგრძელებენ ურთიერთობის გარკვევას. იმერლები პირველ მატჩს 2 თებერვალს „სპარტასთან“ გამართავენ. ამ წყვილის მომდევნო მეტოქე „დინამოსა“ და „დნიპროს“ შორის გაირკვევა. მეორე მატჩი 5 თებერვალს გაიმართება, ხოლო საბოლოო სახეს ტურნირი 8 თებერვალს მიიღებს.

## შედეგები

### ფეხბურთი

**ამხანაგური მატჩი**

ბოსტვანა-შვედეთი ... 1:2

**აზიის თასი**

ერაყი-ჩრ.კორეა ... 1:0
ირანი-საემიროები ... 3:0

**ცენტრალური ამერიკის თასი**

ნიკარაგუა-ბელიზი ... 1:1
ჰონდურასი-გვატემალა ... 3:1
პანამა-სალვადორი ... 2:0

**ინგლისი. თასი**

ლიდსი-არსენალი ... 1:3

**იტალია. სერია ა**

ინტერი-ჩეზენა ... 3:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მილანი | 20 | 12 | 5 | 3 | 35:18 | 41 |
| 2.ნაპოლი | 20 | 11 | 4 | 5 | 30:20 | 37 |
| 3.ლაციო | 20 | 11 | 4 | 5 | 26:18 | 37 |
| 4.ინტერი | 19 | 10 | 5 | 4 | 32:19 | 35 |
| 5.რომა | 20 | 10 | 5 | 5 | 28:24 | 35 |
| 6.იუვენტუსი | 20 | 9 | 7 | 4 | 35:25 | 34 |
| 7.პალერმო | 20 | 9 | 4 | 7 | 33:25 | 31 |
| 8.უდინეზე | 20 | 9 | 3 | 8 | 31:27 | 30 |
| 9.კალიარი | 20 | 7 | 5 | 8 | 24:19 | 26 |
| 10.სამპდორია | 20 | 6 | 8 | 5 | 20:18 | 26 |
| 11.ფიორენტინა | 19 | 6 | 6 | 7 | 20:20 | 24 |
| 12.ჯენოა | 19 | 6 | 5 | 8 | 15:19 | 23 |
| 13.კიევო | 20 | 5 | 8 | 7 | 20:22 | 23 |
| 14.პარმა | 20 | 5 | 7 | 8 | 19:25 | 22 |
| 15.კატანია | 20 | 5 | 7 | 8 | 18:25 | 22 |
| 16.ბოლონია | 20 | 6 | 7 | 7 | 20:28 | 22 |
| 17.ჩეზენა | 20 | 5 | 4 | 11 | 15:25 | 19 |
| 18.ლეჩე | 20 | 5 | 4 | 11 | 19:37 | 19 |
| 19.ბრეშა | 20 | 5 | 3 | 12 | 17:26 | 18 |
| 20.ბარი | 20 | 3 | 5 | 12 | 13:30 | 14 |

*ბოლონიას დაკლებული აქვს 3 ქულა*

**იტალია. თასი**

სამპდორია-უდინეზე ... 1:1(5:4პ)
რომა-ლაციო ... 2:1

**ესპანეთი. თასი**

დეპორტივო-ალმერია ... 2:3
ბეტისი-ბარსელონა ... 3:1

**გერმანია. თასი**

კობლენცი-კაიზერი ... 1:4
ოფენბახი-ნიურნბერგი ... 0:2

**საფრანგეთი. I ლიგა**

ლილი-ნანსი ... 3:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლილი | 20 | 10 | 8 | 2 | 38-21 | 38 |
| 2.პსჟ | 20 | 9 | 7 | 4 | 32-22 | 34 |
| 3.რენი | 20 | 9 | 7 | 4 | 22-12 | 34 |
| 4.ლიონი | 20 | 9 | 7 | 4 | 29-21 | 34 |
| 5.მარსელი | 20 | 8 | 8 | 4 | 29-18 | 32 |
| 6.ტულუზა | 20 | 9 | 3 | 8 | 22-20 | 30 |
| 7.მონპელიე | 20 | 8 | 6 | 6 | 17-20 | 30 |
| 8.სტ.ეტიენი | 20 | 7 | 8 | 5 | 27-22 | 29 |
| 9.ბრესტი | 20 | 7 | 7 | 6 | 21-18 | 28 |
| 10.ბორდო | 20 | 6 | 9 | 5 | 25-23 | 27 |
| 11.სოშო | 20 | 7 | 4 | 9 | 30-25 | 25 |
| 12.ლორიენი | 20 | 7 | 4 | 9 | 22-27 | 25 |
| 13.ნანსი | 20 | 7 | 4 | 9 | 21-30 | 24 |
| 14.ოსერი | 20 | 4 | 12 | 4 | 26-23 | 24 |
| 15.ნიცა | 19 | 5 | 8 | 6 | 14-18 | 23 |
| 16.ვალანს. | 20 | 5 | 7 | 8 | 22-23 | 21 |
| 17.კანი | 19 | 5 | 6 | 8 | 20-27 | 21 |
| 18.მონაკო | 20 | 3 | 11 | 6 | 20-21 | 20 |
| 19.ლანსი | 19 | 4 | 7 | 8 | 21-37 | 19 |
| 20.არლე | 20 | 1 | 5 | 14 | 10-40 | 8 |

**საფრანგეთი. II ლიგა**

ლავალი-ლე მანი ... 2:1
მეცი-ისტრი ... 0:0
სედანი-შატორუ ... 2:0

**საფრანგეთი. თასი**

ოსერი-მარსელი ... 0:2

**ჰოლანდია. ეკლესივიზიონი**

ვენლო-უტრეხტი ... 1:2
ტვენტე-ერაკლესი ... 5:0
ალკმაარი-ნაიმეგენი ... 2:2
აიაქსი-ფეინოორდი ... 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსვ | 19 | 12 | 5 | 2 | 53:19 | 41 |
| 2.ტვენტე | 19 | 12 | 4 | 3 | 40:21 | 40 |
| 3.აიაქსი | 19 | 11 | 5 | 3 | 39:17 | 38 |
| 4.გრონინგენი | 19 | 11 | 4 | 4 | 37:24 | 37 |
| 5.ალკმაარი | 19 | 9 | 6 | 4 | 27:20 | 33 |
| 6.როდა | 19 | 8 | 8 | 3 | 32:24 | 32 |
| 7.ჰერენვენი | 19 | 8 | 6 | 5 | 40:26 | 30 |
| 8.უტრეხტი | 19 | 9 | 2 | 8 | 32:27 | 29 |
| 9.დენ ჰააგი | 19 | 8 | 5 | 6 | 31:30 | 29 |
| 10.ბრედა | 19 | 9 | 3 | 7 | 29:28 | 29 |
| 11.ნაიმეგენი | 19 | 6 | 6 | 7 | 33:35 | 24 |
| 12.გრააფსხაპი | 19 | 5 | 6 | 8 | 21:37 | 21 |
| 13.ფეინოორ. | 19 | 5 | 5 | 9 | 23:35 | 20 |
| 14.ერაკლესი | 19 | 5 | 4 | 10 | 30:39 | 19 |
| 15.ვიტესი | 19 | 4 | 6 | 9 | 21:33 | 18 |
| 16.ექსელსი. | 19 | 4 | 4 | 11 | 22:36 | 16 |
| 17.ვენლო | 19 | 3 | 1 | 15 | 18:42 | 10 |
| 18.ტილბურგი | 19 | 0 | 4 | 15 | 16:51 | 4 |

*ბრედას დაკლებული აქვს 1 ქულა*

**საბერძნეთი. თასი**

ოლიმპიაკოსი-პაოკი ... 1:1
პანათინაიკოსი-აეკი ... 0:2

### კალათბურთი

**ნბა. რეგულარული ჩემპიონატი**

კლივლენდი-ფინიქსი ... 98:106
ნიუ ჯერსი-იუტა ... 103:95
ორლანდო-ფილადელფია ... 99:98(ოტ)
ბოსტონი-დეტროიტი ... 86:82
მილუოკი-ვაშინგტონი ... 100:87
ნიუ ორლეანი-მემფისი ... 103:102(ოტ)
სან ანტონიო-ტორონტო ... 104:95
ჰიუსტონი-ნიუ იორკი ... 104:89
დალასი-ლეიკერსი ... 109:100
დენვერი-ოკლაჰომა ... 112:107
საკრამენტო-პორტლენდი ... 90:94(ოტ)
გოლდენ სტეიტი-ინდიანა ... 110:108
კლიპერსი-მინესოტა ... 126:111

**ევროლიგა. ტოპ-16-ის თასი**

რიტასი-პანათინაიკოსი ... 59:80
ეფესი-მონტეპასკი ... 60:58
ვალენსია-ჟალგირისი ... 73:59
რეალი-პარტიზანი ... 78:58

### ხელბურთი

**მსოფლიოს ჩემპიონატი**

ტუნისი-ბაჰრეინი ... 28:21
ხორვატია-სერბეთი ... 24:24
საფრანგეთი-გერმანია ... 30:23
დანია-ალჟირი ... 26:18
ესპანეთი-ეგვიპტე ... 31:18
რუმინეთი-ავსტრალია ... 29:14

### ჩოგბურთი

**ავსტრალიის ღია პირველობა**

**ქალები**

კლისტერსი-სუარეს ნავარო ... 6:1;6:3
მორიტა-გარსია ... 6:4;6:4
პირი-კირსტეა ... 6:3;6:2
პენეტა-დომინგეს ლინო ... 6:2;6:2
იანკოვიჩი-პენგი ... 6:7;3:6
კვიტოვა-ჩაკვეტაძე ... 6:3;6:4
რადვანსკა ა.-მარტიჩი ... 6:3;6:4
კირილენკო-ბენეშოვა ... 3:6;1:6
პეტროვა-მოლიკი ... 6:4;6:1
პავლუჩენკოვა-ბარუა ... 6:2;6:2
ზვონარევა-იოვანოვსკი ... 2:6;6:3;6:1
მაკაროვა-ცურენკო ... 7:6;6:1
საფაროვა-ზაკოპალოვა ... 6:3;6:7;7:5
სტოსური-დუშევინა ... 6:3;6:2

**კაცები**

ფედერერი-სიმონი ... 6:2;6:3;4:6;4:6;6:3
დოლგოპოლოვი-ბეკერი 6:3;6:0;3:6;7:6
ლოდრა-რაონიცი ... 6:7;3:6;6:7
ნადალი-სვიტინგი ... 6:2;6:1;6:1
იუჟნი-კავჩიჩი ... 6:3;6:1;5:7;4:6;6:1
გარსია ლოპესი-შვანკი ... 6:4;7:6;6:1
ლოპესი-ტომიჩი ... 6:7;6:7;3:6
ბელუჩი-ჰენრიხი ... 2:6;7:6;4:6;7:5;6:8
ჩილიჩი-ჰირალდო ... 6:3;7:6;6:1
ცონგა-სეპი ... 6:3;7:6;7:6
ფერერი-რასელი ... 6:0;6:1;7:5
შტეპანეკი-ისნერი ... 6;4;4;6;2:6;1:6
მელცერი-რიბა ... 6:2;6:4;6:2
სოდერლინგი-მიულერი ... 6:3;7:6;6:1
ნალბანდიანი-ბერანკისი ... 1:6;0:6;0:6
მიურეი-მარჩენკო ... 6:1;6:3;6:3

### ჰოკეი

**ნჰლ. რეგულარული ჩემპიონატი**

რეინჯერსი-ტორონტო ... 7:0
ფლორიდა-კოლამბუსი ... 2:3(ოტ)
კალგარი-მინესოტა ... 0:6

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# ნეკრესის ეპიტაფია უძველესია?

**საქართველოში შესა ლოა ქართული დამწერლობის ისტორია გადაიწეროს. ნეკრესის მონასტერში არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილ ქვებზე ქართული ასომთავრული წარწერები შესა ლოა ჩვენს წელთაღრიცხვამდე მესამე-მეორე საუკუნეებს განეკუთვნებოდეს. ქვები ამჟამად ეროვნულ მუზეუმში ინახება. ნეკრესის ეპიტაფიებს შესა ლოა ყველაზე ძველი ქართული ხელნაწერის სტატუსი მიენიჭოს. ქართველი მეცნიერები აღმოჩენის მოლოდინში არიან.**

ეკა ირემაშვილი



ნეკრესი ისტორიული ქალაქია კახეთში, ახლანდელ ყვარლის მუნიციპალიტეტში, სოფელ შილდის მახლობლად, მთის ფერდობზე. დააარსა მეფე ფარნაჯომმა. IV საუკუნეში მეფე თრდატმა აქ ააგო ეკლესია, სადაც VI საუკუნეში დამკვიდრდა ერთი ასურელი მამათგანი — აბიბოსი. მის დროს დაარსდა ნეკრესის საეპისკოპოსო, რომელმაც იარსება XIX საუკუნემდე. ნეკრესს იმთავითვე მიეცა დიდი მნიშვნელობა. აქედან ვრცელდებოდა ქართლის პოლიტიკური და კულტურული გავლენა აღმოსავლეთ კავკასიონის მთიანეთზე. ნეკრესის საეპისკოპოსოს ეპარქიაში შედიოდა არა მხოლოდ გაღმამხარი, არამედ დაღესტნის ნაწილიც (დიდოეთი). ნეკრესში გაჩაღებული იყო კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა. ნეკრესელი მღვდელმთავრები — დოსითეოს ჩერქეზიშვილი, ზაქარია მიქაძე, პოეტ-დიაკონი მოსე და სხვანი იღვწოდნენ სამწერლო ასპარეზზეც.

ნეკრესის სამონასტრო კომპლექსი ქართული ხუროთმოძღვრების რამდენიმე ძეგლს აერთიანებს, რომელთაგან IV საუკუნის II ნახევრის მცირე ზომის ბაზილიკა ერთ-ერთი უძველესია საქართველოში დღემდე მოღწეულ ეკლესიათაგან. დიდი სამეკლესიიანი ბაზილიკა VII საუკუნის დასაწყისს განეკუთვნება. იგი გარედან გეგმით სწორკუთხაა. მთავარი ეკლესიის სამკუთხეველი სამნაწილინია. გვერდითი ეკლესიები ცენტრალურზე მოკლეა. დასავლეთით მთავარი, ხოლო ჩრდილოეთითა და სამხრეთით გვერდის შესასვლელებია. VIII-IX საუკუნეების გუმბათოვანი ეკლესია გეგმის თავისებურებით გამოირჩევა. გიორგი ჩუბინაშვილი მას, ვაჩნაძიანის ყველაწმინდის მსგავსად, სამეკლესიიანი ბაზილიკის გუმბათოვან ვარიაციად მიიჩნევს. შუა კვადრატულ, გუმბათით დაგვირგვინებულ დარბაზს ერთი შვერილი — გარედან ხუთწახნაგა და შიგნით ნალისებრი ფორმის აფსიდი აქვს. ეკლესიას სამი მხრიდან გარსშემოსავლელი ეკვრის. სამხრეთით და დასავლეთით ორ-ორთაღიანი შესასვლელებია. ეპისკოპოსის ორსართულიანი სასახლისათვის, რომელიც ახლა ნანგრევებია, XVI საუკუნეში კოშკი მიუშენებიათ. მონასტრის ტერიტორიაზე არის საცხოვრებელ და სამეურნეო შენობათა ნაშთები, მცირე სამლოცველოები.

ნეკრესის სამონასტრო კომპლექსის რეაბილიტაცია სულ ახლახან დასრულდა, მაგრამ მისი ეპიტაფიების კვლევა ჯერ არ დამთავრებულა. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ განხორციელებული უწყვეტი სამწლიანი სარეაბილიტაციო სამუშაობის შედეგად კახეთის ერთ-ერთ უდიდეს სამონასტრო კომპლექსს პირვანდელი სახე დაუბრუნდა. ნეკრესის არქიტექტურულ ანსამბლში, რომელიც სხვადასხვა პერიოდის ნაგებობებს აერთიანებს, გუმბათოვან ეკლესიასთან, ორ მცირე და სამეკლესიიან ბაზილიკასთან ერთად, ნეკრესელის სასახლე, კოშკი-სამრეკლო, სატრაპეზო, საწნახელი, საცხოვრებელი ოთახი და ორი მარანი სრულად აღდგენილია.

2008 წლიდან 2010 წლამდე ნეკრესის არქიტექტურული კომპლექსის რეაბილიტაცია მოიცავდა რამდენიმე ეტაპს, დაწყებული ძეგლის კვლევითი დიაგნოსტიკური სამუშაოებით, რომელიც საფუძვლად დაედო ნეკრესის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენას და შედეგად მონასტრის სრულ ფიზიკურ გაჯანსაღებას.

ნეკრესის ტერიტორიაზე ჩატარებული კვლევითი-არქეოლოგიური სამუშაოებისას გამოვლინდა XII საუკუნის ტერასები და ამავე პერიოდის ორრეზერვუარიანი წყარო, რომელიც დაკონსერვებულია და ნეკრესის ერთ-ერთ საინტერესო სანახაობას წარმოადგენს.

ძეგლთა დაცვითი სამუშაოების პარალელურად ნეკრესის სამონასტრო კომპლექსში მოწყობილია ტურისტული ბილიკები და ინფრასტრუქტურა, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ კი განხორციელებულია ნეკრესის მონასტრამდე მისასვლელი გზის მშენებლობა.

ნეკრესის ტაძრის ეპიტაფიების ზუსტ თარიღს მეცნიერთა ჯგუფი ამ დრომდე ადგენს, თუმცა სამეცნიერო წრეებში იმაზე უკვე აღარ დავობენ, რომ ეს ეპიტაფიები ყველაზე ძველია და ფარნავაზის მეფობის დროს, ანტიკურ ხანაში შექმნილი დამწერლობით არის შესრულებული. ნეკრესის ეპიტაფიებთან დაკავშირებით სხვადასხვაგვარი მოსაზრება არსებობს — მეცნიერთა ვერსიას ნეკრესის ეპიტაფიების უძველესობასთან დაკავშირებით არ ემხრობა მკვლევართა ერთი ჯგუფი, რომელიც მიიჩნევს, რომ ქართული დამწერლობის ისტორია არა ანტიკურ ხანაში, არამედ ქრისტიანობის შემოსვლასთან ერთად იწყება. აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, მეცნიერები ერთიანი პოზიციის შეჯერებას ცდილობენ. თუ ახალი თეორია დამტკიცდა, დამწერლობის ისტორიის გარდა, შეხედულებები საქართველოს სახელმწიფოებრიობის შესახებაც შეიცვლება.

როდის და როგორ დასრულდება მეცნიერებს შორის ატეხილი დავა, ჯერჯერობით უცნობია. ნეკრესის ექსპედიციის ხელმძღვანელი, ისტორიკოსი ნოდარ ბახტაძე აცხადებს, რომ ნეკრესის ქვები, რომლებზეც ეპიტაფიებია წარწერილი, ჩვენს წელთაღრიცხვამდე მესამე-მეოთხე საუკუნეებით არის დათარიღებული.

# დევნილი ვერა ქობალია დევნილების წინააღმდეგ მოქმედებს

დასაწყისი მე-3 გვერდზე

რასაც ჰქვია აფხაზეთი და ცხინვალი. ეს წმინდა ფსიქოლოგიური მომენტია. როდესაც 300 ათასი დევნილი გადმოვიდა აფხაზეთიდან, ყველა უბედურებაში დევნილები დაადანაშაულეს. ხელისუფლებამ დაადანაშაულა, თქვენ იქ არ ქართველობდით, ისინი იარაღდებოდნენ, თქვენ არ იარაღდებოდითო და ა.შ. არის კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც ხელისუფლებისთვის დევნილები მიუღებელია. ხელისუფლებას დევნილების ეშინოდა და ეშინია, რადგან დევნილები ისეთი მასაა, რომელსაც დასაკარგავი არაფერი აქვს.

— ხელისუფლებას დევნილების რატომ უნდა ეშინოდეს?

ერთი საყურადღებო მომენტია — დევნილებში სხვადასხვა პოლიტიკური ორგანიზაციის განყოფილებები არსებობს. ნაციონალურ მოძრაობას არც ჰქონია და არც ახლა აქვს განყოფილებები. ეს იმიტომ ხდება, ხელისუფლება ერიდება დევნილთა გააქტიურებას თავის სასარგებლოდაც. თუმცა, შორს ვარ იმ აზრისაგან, რომ მთელი საზოგადოებისთვის მიუღებელია დევნილები. აქამდე რომ ვარსებობთ, ზუსტად ამ საზოგადოების ნაწილის დიდი დამსახურებაა.

— ევროსასამართლო როგორ არეგულირებს ამ საკითხს?

ევროსასამართლო დევნილის მხარესაა. ევროსასამართლო ამბობს, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ადამიანმა მოაწყო თავისი ცხოვრება და საოჯახო მეურნეობა მოცემულ ადგილას. ყველა იმ შემთხვევაში, რომლიდანაც დევნილები გამოასახლეს, ჩასახლების ადგილებში ხანგრძლივი დროის განმავლობაში ცხოვრობდნენ.

ჩემთვის ძალიან სამწუხაროა, რომ უმეტეს შემთხვევაში სახელმწიფოს სახელით გამოდის ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, რომელსაც სათავეში უდგას აგრეთვე დევნილი. ეს ძალიან სამწუხაროა იმდენად, რამდენადაც მინისტრი, სანამ ხელისუფლებაში მოვიდოდა, დევნილთა უფლებადაცვით ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა. ვინ ვინ და, უპირველეს ყოვლისა, ვერა ქობალიამ უნდა იცოდეს, რომ ასეთი საქმეების გაკეთება არ შეიძლება. მისი მოსვლის შემდეგ, ხელისუფლებამ დევნილების წინააღმდეგ ქმედებები უფრო გააქტიურა. მე ვაკვირდები ვერა ქობალიას საქმიანობას და მისი ყველაზე „თვალსაჩინო" საქმე არის დევნილების გამოსახლება. ეს ძალიან სამწუხაროა. მან დასკვნები ამ თვალსაზრისით უნდა გააკეთოს.

— ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ვერა ქობალია დამოუკიდებელია ამ საქმეში?

— ქალბატონი ვერა ქობალია დამოუკიდებელია იმაში, რომ უარი თქვას თავის თანამდებობაზე, როდესაც მას ასეთ საქმეებს ავალებენ თავისი თანამემამულეების წინაშე, ვიდრე ის ამ თვალსაზრისით არ იქნება დამოუკიდებელი. მან არ უნდა მისცეს სტიმული დევნილთა გამოსახლების ღონისძიებებს იმიტომ, რომ ყველა ის შენობა, რომელშიც დღეს დევნილები ცხოვრობენ სახელმწიფოსია, ხოლო ყველა ის სახელმწიფო შენობა დღეს ეკონომიკის სამინისტროს დაქვემდებარებაშია. მესაკუთრეც ამ შემთხვევაში, რომელიც აგზავნის პოლიციაში მათი გამოსახლების შესახებ წერილებს, წარმოადგენს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. სამინისტროს მინისტრი ხელმძღვანელობს. ძალიან სამწუხარო ფაქტია, რომ დევნილი გამოდის დევნილის წინააღმდეგ და სახელმწიფო სწორედ დევნილს აყენებს ასეთ მდგომარეობაში.

# ყოფილი პატიმარი პენისზე კბენისათვის კომპენსაციას მიიღებს

ნიუ იორკის მცხოვრებს, რომელიც ამტკიცებს, რომ ციხეში ვირთხამ სარცხვენელზე უკბინა, ხელისუფლებისაგან კომპენსაციის მოთხოვნა შეუძლია.

პიტერ სოლომონი ამტკიცებს, რომ კბენის შემდეგ მას ცოფის საწინააღმდეგო აცრების მტკივნეული სერიის გაკეთება მოუხდა.

მისი თქმით, მან და საკანში მსხდომმა სხვა პატიმრებმა კარგად იცოდნენ, რომ საკანი ვირთხებით იყო სავსე.

სოლომონის თქმით, ეს ადმინისტრაციამაც იცოდა, მაგრამ თვალს ხუჭავდა. გარდა ამისა, მას ცუდად იმიტომაც ეპყრობოდნენ, რომ შავკანიანი იყო.

ნასაუს ოლქის ადმინისტრაციის ადვოკატები სასამართლოს მიერ ამ სარჩელის უარყოფის მიღწევას ცდილობდნენ. სხვადასხვა არგუმენტებს შორის მათ განაცხადეს, რომ სოლომონს არ გააჩნდა რაიმე საბუთი, რომელიც მის ტრავმების სიმძიმეს დადასტურებდა.

2007 წლის თებერვალში 54 წლის ამერიკელი, ვიეტნამის ომის ვეტერანი, რომელმაც განაცხადა, რომ პოსტტრავმატული სინდრომის მკურნალობის კურსი გაიარა, ნასაუს გამოსასწორებელ ცენტრში ცოლზე თავდასხმის მუქარისათვის მოათავსეს.

შემდეგ ის ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით საავადმყოფოში გადაიყვანეს.

სოლომონი ამტკიცებს, რომ როგორღაც ღამით, ვირთხა ან „ვირთხის მსგავსი მღრღნელი" ლეიბში არსებული ხვრელიდან გამოძვრა და ხელზე და პენისზე ისე უკბინა, რომ სისხლი გამოადინა.

სოლომონის აზრით, ჩინოსნებმა მისი ტრავმების მიმართ გულგრილობა გამოიჩინეს, გარდა ამისა, ვერ შეძლეს მისი პარაზიტებისაგან დაცვა, ამიტომაც მან სარჩელის წარდგენა გადაწყვიტა.

ოლქის ჩინოსნებმა კი განაცხადეს, რომ სარჩელი სასამართლომ განსახილველად არ უნდა მიიღოს. გარდა ამისა, არაფერია ცნობილი ციხეში მღრღნელების პრობლემის არსებობის შესახებ.

გარდა ამისა, ისიც ითქვა, რომ სოლომონის ჭრილობები უმნიშვნელო იყო და ტრავმა მხოლოდ ფსიქოლოგიურ ხასიათს ატარებდა.

მიუხედავად ამისა, მოსამართლე არტურ სპატმა მიიჩნია, რომ საქმის განხილვა უნდა გაგრძელდეს.

**გ.თ.**

დასაწყისი მე-12 გვერდზე

# გიორგი აფციაურმა კონცერტების დადგმა დაიწყო

ამ კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ ვანო ჯავახიშვილი, თავად გიორგი აფციაური, ლაშა ღლონტი, სალომე ბაკურაძე, ნიკოლშოუ, ჯეოსტარელი ზურა მოსიავა, ამიკო, თსუ გორდელა, გივი სიხარულიძე, ნინო ჩხეიძე, მხიარულთა და საზრიანთა კლუბი თსუ და ტექნიკური უნივერსიტეტის კაპელა.

მაყურებლისთვის უკვე კარგად ცნობილ იუმორისტებთან და მომღერლებთან ერთად დიდი საკონცერტო დარბაზის სცენაზე „კომედი შოუს" ახალგაზრდა მსახიობებიც დადგებიან. საკონცერტო პროგრამა, ორგანიზატორების თქმით, სრულიად განსხვავებული და ორიგინალურია. კონცერტზე იქნება ბევრი ანეკდოტი, იუმორი, პოლიტიკური პაროდიები და სიმღერები უჩვეულო ფორმით.

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. თეთრი ფერის ყვითელგულიანი მინდვრის ყვავილი; 2. ფრანგული ბულდოგი; 3. ლუდის წარმოების ერთ-ერთი ცენტრი ჩეხეთში; 4. ყველაზე წყალუხვი მდინარე აფრიკაში; 5. წითელი ფერის მშრალი ქართული სამარკო ღვინო; 7. სმენადაკარგული ადამიანი; 11. საავიაციო საჰაერო ბრძოლის ერთ-ერთი ხერხი; 15. ქართველ მწერალ ლეო შენგელაიას ფსევდონიმი; 16. უღელტეხილი კავკასიონზე; 17. გერმანიის ფეხბურთელთა გუნდი; 18. კუთხე საქართველოში; 20. სახელმწიფო ცენტრალურ აფრიკაში; 22. ხილის წვენებისაგან მომზადებული გამაგრილებელი სასმელი.

**თარაზულად:** 6. ნივთების შესამკობად გადაკრული ოქროს ან ვერცხლის თხელი ფენა; 8. შავი ფერის, ტკბილნაყოფიანი კენკროვანი ბუჩქი; 9. დონბასის ადმინისტრაციული ცენტრი; 10. ძველად, ახალწვეული არმიაში; 12. ღვინის სასმისი; 13. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 14. მთიდან მოვარდნილი დიდი ნიაღვარი; 19. პოლონეთის ქალაქ დანცინგის დღევანდელი სახელწოდება; 21. მობილური ტელეფონით გაგზავნილი მოკლე ტექსტური შეტყობინება; 23. სახელდახელოდ თქმული, გამკილავი შინაარსის ლექსი; 24. მთიანეთი აფრიკაში; 25. ძვირფასი ლითონი; 26. თეთრყურძნოვანი ვაზის გერმანული ჯიში.

**შეადგინა თ. გოგინაშვილმა**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ყვირილა; 2. ჩამპინო; 3. ელარჯი; 4. ჰააგა; 5. ნოვატორი; 7. სპა; 11. ვირუსი; 15. რომანსი; 16. სალომეა; 17. რამპა; 18. ცაიში; 20. სოფია; 22. რომი.

**თარაზულად:** 6. ვაკისი; 8. პასტელი; 9. შარტავა; 10. რუსთავი; 12. დიჯეი; 13. აქატი; 14. ჰიტრიონი; 19. კემპუსი; 21. ჰაკერი; 23. აბული; 24. ოპიუმი; 25. ქსილიტი; 25. დიპტანკი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ბარძიმი; 2. მიკიტანი; 3. სკაფანდრი; 4. როიტერი; 5. მიკროსკოპი; 10. ტაბორი; 11. სუბიექტი; 12. ბაიდენი; 13. მორჩილი; 16. ქიმერიონი; 17. მესაჯერო; 19. იმბეცილი; 21. ზონდი; 23. სასკო.

**თარაზულად:** 6. კაზუისტიკა; 7. ბოლნისი; 8. ჯიბუტი; 9. მაჭახელა; 14. ფოცხვერი; 15. ადიულტერი; 18. მეტრი; 20. ლეჩხუმი; 22. ყისმათი. 24. ბოჟოლე; 25. ბოლივუდი; 26. ჯოკერი.

## მე-12 გვერდის ტესტის პასუხები

*პასუხებში თითოეული ვერსიის რაოდენობის მიხედვით.*

**ა** — თქვენ საქმიანი ქალი ხართ ამ სიტყვის საუკეთესო და სრული მნიშვნელობით. შეგიძლიათ შეასრულოთ მიცემული სიტყვა. აფასებთ საკუთარ და სხვის დროს.

**ბ** — განეკუთვნებით იმ ქალების კატეგორიას, რომლებსაც ნაწილობრივ საქმიანს უწოდებენ. რა თქმა უნდა, კარგად არ ჟღერს, მაგრამ რას იზამთ — ხან ხართ საქმიანი, ხან არა.

**გ** — ნამდვილად არ განეკუთვნებით საქმიანი ქალების კატეგორიას, რადგან მიგაჩნიათ, რომ ქალი მუშაობისთვის არ არის გაჩენილი. უფრო მეტიც, ქალისთვის ეს მავნებელია.

**დ** — ასრულებთ მხოლოდ იმ დავალებას, რომელიც თქვენს საქმედ მიგაჩნიათ, არ ცდილობთ რაიმე დამატებითი პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებას.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

# ბერლუსკონი მოსამართლეებს შემოსწყრა

იტალიის პრემიერ-მინისტრმა სილვიო ბერლუსკონიმ განაცხადა, რომ იურისტები, რომლებმაც მის მიმართ პოლიტიკურად მოტივირებული კამპანია წამოიწყეს და მიზნად პრემიერ-მინისტრის პოსტიდან მის გადაყენებას ისახავენ, დაუსჯელი არ უნდა დარჩნენ.

პრემიერი არასრულწლოვან მეძავთან სქესობრივ კავშირში არის ეჭვმიტანილი და მიმდინარე კვირას პროკურატურაში ჩვენების მისაცემად უნდა გამოცხადდეს.

თავის 10-წუთიან ტელემიმართვაში სილვიო ბერლუსკონიმ მეტად ემოციური ფორმით განაცხადა, რომ გამოძიება კონსტიტუციას ეწინააღმდეგება და არსებული პროცედურების დარღვევით მიმდინარეობს.

მან განაცხადა, რომ შეეცდება გაიტანოს ახალი კანონი, რომელიც მოსამართლეებს არჩევით თანამდებობებზე მყოფი პირების დევნის საშუალებას არ მისცემდა.

პრემიერის თქმით, მას საძრახისი არაფერი ჩაუდენია. მისი მთავრობა კვლავაც გააგრძელებს მუშაობას, პარლამენტი კი აუცილებელ რეფორმებს მიიღებს, რათა მაგისტრატურის მოსამართლეებმა ხალხის რჩეულების განადგურება ვერ შეძლონ.

17 წლის მილიარდერი აცხადებს, რომ უარს ამბობს დაკითხვაზე გამოცხადდეს, რადგან მილანის მაგისტრატურის სასამართლოს მიერ მისი საქმის განხილვის უფლებას ასაჩივრებს. ბერლუსკონის თქმით, ამ ქალაქის მაგისტრატურის სასამართლო 17 წლის განმავლობაში უკვე 280-ედ იწყებს მის წინააღმდეგ პროცესს.




ბერლუსკონის თქმით, მილანის პროკურატურა მის მიმართ ისეთსავე მეთოდებს მიმართავს, რასაც მაფიას წინააღმდეგ იყენებს.

„150 აგენტი მონაწილეობდა ოპერაციაში გოგონების წინააღმდეგ, რომელთა ერთადერთი დანაშაული ის იყო, რომ ისინი ვახშმად მივიწვიე“ — განაცხადა მან სატელევიზიო მიმართვაში, როელიც ტელეარხ „სქაიმ“ გადასცა.

ბერლუსკონის თქმით, გოგონები დააკავეს, დილის რვა საათიდან საღამოს რვა საათამდე საკანში ამყოფეს, ისე ექცეოდნენ მათ, თითქოს დამნაშავეები ყოფილიყვნენ და ასეთი ქმედება დაუსჯელი არ უნდა დარჩეს.

რაც შეხება იტალიის პრეზიდენტს ჯორჯიო ნაპოლიტანოს, მისი აზრით, პრემიერი პროკურორებთან ურთიერთობას არ უნდა გაურბოდეს.

მან იმედი გამოთქვა, რომ პროკურატურა მისთვის საინტერესო შეკთხვებზე პასუხს კანონის მიერ დადგენილი წესით მიიღებს.

იტალიის საინფორმაციო საშუალებებმა გამოაქვეყნეს იმ ქალების სატელეფონო საუბრების ჩანაწერები, რომლებიც მილანის მახლობლად მდებარე ბერლუსკონის ვილაზე სტუმრობდნენ.

რეიტერის სააგენტოს თქმით, გამოქვეყნებული მასალები იმ 385-გვერდიანი დოსიეს ნაწილია, რომელიც პრემიერის სავარაუდოდ უკანონო ქმედებების გამოძიების დეტალებია გადმოცემული.

მილანის პროკურატურა ძირითადად ღამის კლუბ ქარიმა ელ მაჰრუკთან ბერლუსკონის ურთიერთობას იძიებს. ეს გოგონა უფრო რუბის მეტსახელით არის ცნობილი და ჩვიდმეტი წლის ასაკში ბერლუსკონის წვეულებებზე სტუმრობდა.

გამოძიების ვარაუდით, ბერლუსკონიმ მას ინტიმური კავშირისათვის ფული გადაუხადა.

18 წლამდე ასაკის მეძავთან სქესობრივი ურთიერთობა იტალიაში სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლება.

რუბი პრემიერ-მინისტრთან სქესობრივ ურთიერთობას უარყოფს.

სატელეფონო საუბრებიდან ჩანს, რომ რუბი აღიარებს, ბერლუსკონის დუმილის სანაცვლოდ ფული სთხოვა და პრემიერი მას დაჰპირდა, რომ იმდენ ფულს მიიღებდა, რამდენსაც მოისურვებდა, თუკი ენას კბილს დააჭერდა.

## ბელორუს ხელისუფლებს ევროპაში არ შეუშვებენ




ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია, რომელიც ბელორუს ჩინოსნებს, მოსამართლეებს და ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელებს, რომლესაც 19 დეკემბერს ბელორუსიაში პრეზიდენტის არჩევნების შემდგომი გამოსვლების ჩახშობასთან რაიმე კავშირი აქვთ, ევროპის ქვეყნებში სტუმრობას უკრძალავს.

ევროპარლამენტმა ეს სანქციები არჩევნების შემდგომ ოპოზიციის ლიდერების გათავისუფლებასთან დაკავშირებით გააუქმა. მრავალი მათგანი პრეზიდენტობის კანდიდატი იყო.

რეზოლუციის ავტორებმა გადაჭრით დაგმეს ძალის გამოყენება სუკის და ბელორუსიის მილიციის მიერ და დეკემბრის მოვლენების დამოუკიდებელი, საერთაშორისო გამოძიება მოითხოვეს.

გარდა ამისა, ევროპარლამენტის წევრებმა საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით კენჭისყრის განმეორებით ჩატარებისაკენ მოუწოდეს.

ევროკავშირმა სანქციები 40-მდე ბელორუსი თანამდებობის პირის მიმართ თავდაპირველად 2006 წლის არჩევნების შედეგების გაყალბებასთან დაკავშირებით დააწესა.

2008 წელს ამ აკრძალვის მოქმედება 26 ადამიანის, მათ შორის ბელორუსიის პრეზიდენტის, ალექსანდრ ლუკაშენკოს მიმართ დროებით შეჩერდა.

## თამბაქოს წევა მამაკაცთა სიკვდილიანობის მთავარი მიზეზია

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის გამოკვლევის შედეგების თანახმად, თამბაქოს წევა ის ძირითადი მიზეზია, რაც ევროპაში ქალებთან შედარებით მამაკაცების უფრო ადრეულ ასაკში სიკვდილიანობას განაპირობებს.

გამოკვლევა, რომლის შედეგებიც ჟურნალში „თობაქო ქონთროლში“ გამოქვეყნდა, ევროპის ქვეყნებში სიკვდილიანობის მონაცემების სტატისტიკური ანალიზის შედეგებს ეყრდნობა.

ევროპის უმეტეს ქვეყნებში ქალთა და მამაკაცთა სიკვდილიანობაში არსებული განსხვავება 600%-ით განპირობებულია იმ დაავადებებით, რომლებსაც თამბაქოს წევა იწვევს.

ასე მაგალითად, დიდ ბრიტანეთში ქალების სიცოცხლის ხანგრძლივობა 4 წლით უფრო მეტია, ვიდრე მამაკაცებისა. აღსანიშნავია ისიც, რომ ბოლო დროს ამ სხვაობამ შემცირება იწყო. სიკვიდიანობის გენდერულ განსხვავებებს შორის მეორე ადგილზეა ალკოჰოლი, მისი ზეგავლენა შემთხვევების 20%-ში აღმოჩნდა გადამწყვეტი.

წარსულში ექსპერტები ვარაუდობდნენ, რომ ქალთა და მამაკაცთა სიკვდილიანობაში არსებული განსხვავება ფიზიოლოგიური განსხვავებებით არის განპირობებული, აგრეთვე იმით, რომ მამაკაცებთან შედარებით ქალები ექიმებს უფრო მეტი ხალისით სტუმრობენ.

ევროპის 30 ქვეყანაში ქალისა და მამაკაცის სიკვდილიანობაში ყველაზე მცირე განსხვავებაა ისლანდიაში და დიდ ბრიტანეთში, სადაც 100 ათას მცხოვრებზე წელიწადში 200 მამაკაცით მეტი კვდება.

ყველაზე მნიშვნელოვანია სხვაობა ლიტვასა და უკრაინაში, სადაც იგი წელიწადში 800 ადამიანს შეადგენს.

*მოამზადა გენადი თვაურმა*

## სამგლოვიარო განცხადებები



მეუღლე იზოლდა, შვილები დავითი, ხათუნა, შვილიშვილები მარიამ, ანა, გიორგი ღიბრაძეები, ძმა სულიკო, რძალი ქეთევან კედელაშვილი, სიძეები გიორგი ღიბრაძე, ანტონ ბეკოშვილი, მძახალი ჯულიეტა ღიბრაძე, ცოლისდები ნაზიბროლა, ლამზირა, ცოლისძმა ჯემალ ავალიანები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ნოდარ თევდორეს ძე აბრამიძე**

პანაშვიდი: 21 იანვარს;
დაკრძალვა: 22 იანვარს, 14 საათზე;
მისამართი: კასპის რაიონი, სოფელი დოესი.



შვილები სვეტლანა, იურა, შვილიშვილები დიმიტრი, მაია, დათუნა, გივიკო, ხათუნა, რძლები მადონა, ცირა, სიძე კახა აბსავა, ძმა კოლია, ძმისშვილები ახმეტა, არჩილი, ბუთხუზი, დათო, დარიკო, კალისტრატე, მაია, დისშვილი ნუგზარ როგავა, თენგიზ გვაზავა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**აპალონ კალისტრატეს ძე ბერაია**

პანაშვიდი: 21, 22 იანვარს;
დაკრძალვა: 23 იანვარს, 14 საათზე;
მისამართი: კრწანისის ქუჩა №16, კორპუსი VI, ბინა 12.

საქართველოს ეროვნული გალერეის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება თანამშრომლის

**ქეთევან ყიფიანისა**

და მისი დის

**ლური ყიფიანის**

ტრაგიკულად დაღუპვას და თანაგრძნობას უცხადებს მათ ოჯახებს.

*საქართველოს ეროვნული გალერეის თანამშრომლები*

მეუღლე ციალა გოგუაძე, შვილები დავითი, ლაშა, შვილიშვილები გეგა, სანდრო, და ნანული, ძმა ილია ქუტიძეები ოჯახებით იუწყებიან

**სერგო ქუტიძის**

გარდაცვალებას.

პანაშვიდი: 20, 21 იანვარს, 16 საათზე, სოფიკო ჭიაურელის ქ.№14 (ყოფილი ფასანაურის ქ.№14).

გამოსვენება: 22 იანვარს, 14 საათზე, ქვაშვეთის ეკლესიიდან.



**გ. წულუკიძის სამთო ინსტიტუტის კოლექტივი და სამთო სამეცნიერო ტექნიკური საზოგადოება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მეცნიერი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პროფესორი**

**შურმან ონიანი**

ბ-ნი შ. ონიანი დაიბადა 1922 წლის 15 ნოემბერს, ლენტეხის რაიონში. 1951 წელს წარჩინებით დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო ფაკულტეტი, რის შემდეგ, ორი წლის განმავლობაში, მუშაობდა შახტის მთავარ მექანიკოსად გერმანიაში. საზღვარგარეთიდან დაბრუნების შემდეგ მუშაობა დაიწყო საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. 1954 წელს იგი გახდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამთო საქმის ინსტიტუტის ასპირანტი, სადაც მუშაობდა წამყვან თანამდებობებზე 2005 წლამდე. მის მიერ ჩატარებული კვლევების შედეგები თანაავტორებთან ერთად შესულია 1961 წელს მოსკოვში გამოცემულ მონოგრაფიაში „საშახტო ვენტილატორების ერთობლივი მუშაობა“.

ბ-ნი შ. ონიანი არის 200-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. 1970 წელს მან წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია ლენინგრადის სამთო ინსტიტუტში. ბ-ნმა შურმანმა პირველმა შემოიტანა და დაამკვიდრა ელექტროსითბური ანალოგიის მეთოდი, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა.

ბ-ნი შ. ონიანი იყო აღიარებული მეცნიერი ჩვენს ქვეყანასა და მის ფარგლებს გარეთ. იყო სამთო თბოფიზიკის საერთაშორისო ბიუროს წევრი, მთელი რიგი საერთაშორისო სიმპოზიუმების საორგანიზაციო კომიტეტის წევრი და სამეცნიერო პრობლემების ხელმ□ღვანელი. იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი და სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი საბჭოს წევრი. მას დიდი ღვაწლი მიუ□ღვის სამეცნიერო კადრებისა და სპეციალისტების მომზადების საქმეში.

ბ-ნი შ. ონიანი დაჯილდოებული იყო საბრ□ოლო და შრომითი მედლებით. იყო საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში. თავისი მოღვაწეობით მან დიდი ავტორიტეტი და საყოველთაო აღიარება მოიპოვა კოლეგებსა და მრავალრიცხოვან მოწაფეებს შორის.

ბ-ნი შ. ონიანი გამოირჩეოდა დიდი შრომისმოყვარეობით, პრინციპულობით, საქმისადმი უდიდესი პასუხისმგებლობის გრ□ნობით, სამეცნიერო პროგრესის შეგრ□ნებისა და გაანალიზების უნარით, თავისი ქვეყნის უსაზღვრო სიყვარულით, პედაგოგიური საქმიანობის ენთუზიაზმით, ახალგაზრდა კადრების სამთო საქმისადმი დაინტერესების უნარით, დიდი მეცნიერის დამახასიათებელი სიდინჯითა და სითბოთი. ბ-ნი შ. ონიანმა სამთო მეცნიერებისადმი სიყვარული შთაუნერგა ბევრ სამთო ინჟინერს, მათ შორის თავის ქალიშვილსაც.

ბ-ნი შ. ონიანი იყო სამშობლოს კეთილმოსურნე პიროვნებების ყოველთვის გვერდში მდგომი და ცხოვრებაში დახმარების აღმომჩენი. მისი ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ქართველ სამთოელებში, კოლეგებსა და ახლობლებში.

*გ. წულუკიძის სამთო ინსტიტუტი*

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## TV პროგრამა

**პარასკევი 21 იანვარი**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00, 03.20** მოამბე **12.30** ავტოპილოტი **13.30** ვაშინგტონი დღეს **14.00** დიალოგი დ. პაიჭაძეთან **15.00** სერ. "**ტკბილი, მწარე ცხოვრება**" **17.00** პლანეტა ბასტი-ბუბუ **18.00** მეხსიერება **19.05** დოკ. ფილმი "მილიონერები" **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერ. "**ტკბილი, მწარე ცხოვრება**" **22.00** ქართული დოკუმენტალისტიკა **23.00** სერ. "**ფარი**" (12) **00.00** წითელი ზონა **01.00** მხ. ფილმი "**როზმარის ჩვილი**" (15) (მ. ფეროუ) **03.50** მხ. ფილმი "**სოციალური მკვლელობა**"

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17,45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 16.00, 19.00** დოკ. ფილმი **14.00** საუკუნის პორტრეტები **17.00** მეხსიერება **20.00** მხ. ფილმი "**ჩემი სიკვდილის შემდეგ**" **01.00** მხ. ფილმი "**ჰამლეტი**"

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. "**გრძნობათა ტყვეობაში**" **10.00** სერ. "**მიმწყვდეული**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.30** კურიერი **12.30** სერ. "**შენ ჩემი სიცოცხლე ხარ**" **13.30** ბიზნეს-კურიერი **14.00** პროფილი **16.50** სერ. "**მორენას ვნება**" **18.30** სერ. "**გაორება**" **18.50** სერ. "**დანიელა**" **19.50** სერ."**სად არის ელისა**" **21.00** კურიერი **21.50** ეროვნული ლატარეა **22.00** ვანოს შოუ **23.00** სერ. "**ჰაუსი**" **00.00** მხ.ფ."**გავცვალოთ ადგილები**"(18) (დ.ელიოტი) **02.00** პატრული

**07.30** მუსიკა **08.00** ანიმაცია "არგაი" **09.00** სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **10.00** გოგიჩას დილა **11.00** სერ. "**დაუნდობელი სამყარო**" **12.00** სერ."**ორნახევარი კაცი**" **12.30** გადაცემა "ტვ-ტესტი" **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.30** მხ. ფილმი **17.40** ანიმაცია "**101** დალმატინელი" **18.30** პულსი **19.00** სერ. "**ვნებათა მიწა**" **20.00** სერ. "**დაუნდობელი სამყარო**" **21.00** გადაცემა "**105** წუთი" (პირდ.) **22.50** მხ. ფილმი (სუბტ.) **01.00** მხ. ფილმი

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. "**სილამაზის მსხვერპლი**" **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **11.40** ტვ-მარკეტი **11.50** სერ. "**მეორე სიცოცხლე**" **13.00** სერ."**ლობას საიდუმლო**" **14.40** დღის შოუ **16.00** სერ. "**მონტეს ოჯახი**" **1**-ლი ს. **17.40** სერ."**სიყვარულის ზღვა**" **18.45** სერ."**ლობას საიდუმლო**" **21.00** სერ. "**ქალბატონი**" **22.00** სერ. "**შუა ქალაქში**" **23.00** სერ. "**გოგონა გარეუბნიდან**" **00.00** სამსონაძეები **00.30** მხ.ფ."**სახიფათო დავალება**" (კ. როკი) (სუბტ.) **02.50** მხ. ფილმი "**გამოგონილი მკვლელობა**" (12) (ბ. ბრაუნი) (სუბტ.) **04.35** მხ. ფილმი "**უცხოები**" (18) (ლ. ტაილერი)

**09.00, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.30, 23.00** სერ. "**მონტალბანო**" **10.30** დოკ. ფილმი **11.50, 21.00** სერ. "**იდუმალი სტუმარი**" **12.50, 19.00** სერ."**კურტიზანები**" **15.00, 18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ. "**მოჯადოება**" **19.00** მუსიკა **00.00** მხ. ფილმი

ერთსულოვნება **08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.00, 19.00, 22.00, 00.15** სიახლენი **10.35** ბიზეს-მარათონი **11.30** გზა, რომლითაც ვიარე **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05** საგალობელი **12.05, 15.05** საეკლესიო კალენდარი **12.20** მხ. ფილმი "**აურზაური სალხინეთში**" **13.30** კონცერტი **15.10** მხ. ფილმი "**გაზაფხული საკენში**" **16.35** დოკ. ფილმი **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **19.15** მხ. ფილმი "**ჭირვეული მეზობლები**" **21.10** პატრიარქის ქადაგება **21.30** მოგზაურობა სამშობლოში **22.25** ჩვენი ფონდი **22.40** დოკ. ფილმი "ქართლის მოწამენი" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ. ფილმი "გელინო" **1**-ლი ნ. **00.40** კვირიაკე

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2010 წლის 21 იანვარს ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი დააფიქსირა:**

აშშ დოლარი — 1,81

ევრო — 2,4110

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,8946

რუსული რუბლი — 0,0526

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 4-6, ღამით — -2-1

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 8-15, ღამით — 2-8

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — -5-2, ღამით — -1§ -1

## ამინდის პროგნოზი 21 იანვრისთვის







## ქართული ფლორის საოცრება „სალხინო" უებარი წამალია

„სალხინო" ეკოლოგიურად სუფთა მცენარეული ნედლეულისაგან მიღებული წამალია.

პრეპარატ „სალხინოს" ახასიათებს ანტიბაქტერიული, ანტისეპტიკური, სპაზმოლიზური, ტკივილგამაყუჩებელი, შარდმდენი მოქმედება. ხსნის შეშუპებებს, არეგულირებს სხეულის ტემპერატურას.

წამალი გამოიყენება მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების დროს. პირის ღრუს სასუნთქი და საშარდე სისტემის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების, ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პაროდონტიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატიტის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუასილის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.

„სალხინოს" შესახებ ვრცლად ინფორმაცია მოთავსებულია ვებ-გვერდზე www.salkhino.ge წამალი იკითხეთ აფთიაქებში.

მის.: აღმაშენებლის 146. ტელ.: 14-41-58.


## ასტროპროგნოზი 21 იანვრისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!** წარმატებული დღეა.

**ვერძი** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **კურო** — ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **ტყუპები** — შემოქმედებითი დღეა, უფროსობას თვალში მოხვდებით. **კირჩხიბი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ლომი** — ახალი საქმე გაამართლებს, იაქტიურებთ. **ქალწული** — რისკი არ არის გამართლებული, თავი შეიკავეთ ზედმეტი აქტიურობისაგან. **სასწორი** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **ღრიანკალი** — თქვენი საქმე წინ მიდის, ყველ საქმე გამოგდით. **მშვილდოსანი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თხის რქა** — არ გადაიღალოთ, დაისვენეთ მყუდრო გარემოში. **მერწყული** — გზიდან ფულს მიიღებთ, გახარებული ხართ. **თევზები** — დიდი ხნის ოცნება აგისრულდებათ, ბედი გწყალობთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. უბანი თბილისში; 2. ამაღლებული სცენა მოდების ჩვენებისათვის; 3. საჭმელი სოკო; 4. ერთ-ერთი უდიდესი ატომური ელექტროსადგური გერმანიაში; 5. ტკბილეულის მწარმოებელი ქართული ფირმა; 10. მცირე ამპლიტუდის რხევები; 11. აშშ-ს პირველი პრეზიდენტი; 12. ლიბანის დედაქალაქი; 15. ძროხის ხორცის დაბეგვილი და შემწვარი ნაჭერი; 16. მდინარე კიევში; 17. რიცხვებითა და ასოებით გამოხატული მათემატიკური ნიშნებით შეერთებული სიდიდეების ერთობლიობა; 20. უნგრული ღვინო.

**თარაზულად:** 6. საცეკვაო ხელოვნება; 7. წითელი ფერის, შავწინწკლებიანი მრგვალი ხოჭო; 8. ბრიტანეთის საინფორმაციო სააგენტო; 9. მინერალური წყალი იმერეთში; 13. ისტორიული სამთავრო სამცხე-ჯავახეთში; 14. მეტროპოლიტენის სახელწოდება ინგლისსა და აშშ-ში; 18. გასართობი, თავსატეხი; 19. ძვირფასთვლებიანი ქალის სამკაული; 21. ლუდის სასმელი კათხა; 22. ჩრდილო ამერიკაში გავრცელებული გარეული ხარი; 23. თბილისელი გიტარისტი, მომღერალი მამაკაცი; 24. დიდი სახაზავი, შიმშა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



## თენგიზ არჩვაძეს ვარსკვლავს 25 იანვარს გაუხსნიან



კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის წინ 25 იანვარს ქართველი მსახიობის, ყველასათვის საყვარელი ადამიანის თენგიზ არჩვაძის ვარსკვლავი გაიხსნება. 78 წლის მსახიობის სახელი სწორედ ამ თეატრს უკავშირდება. ეს თეატრის წინ რიგით მეექვსე ვარსკვლავია. საქართველოს სახალხო არტისტი, შოთა რუსთაველის, კოტე მარჯანიშვილისა და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი თენგიზ არჩვაძე უკვე 55 წელია ამშვენებს ქართულ სცენასა და ეკრანს. ერთ-ერთი ბოლო სპექტაკლი, რომელშიც თენგიზ არჩვაძემ ითამაშა, „ილია ჭავჭავაძეა".

თენგიზ არჩვაძემ თავისი სამსახიობო კარიერის განმავლობაში 130-ზე მეტი როლი განასახიერა. თეატრალური როლების უმეტესობა სწორედ მარჯანიშვილის თეატრში შექმნა. რაც შეეხება კინოროლებს, თენგიზ არჩვაძემ მაყურებლისთვის არაერთი დაუვიწყარი პერსონაჟი განასახიერა, რომელთაგან საუკეთესოს გამორჩევა მაყურებელს დღესაც უჭირს.

სპეციალურად ამ დღისთვის რეჟისორმა დიმიტრი ხვთისიაშვილმა აღადგინა თემურ ჩხეიძის 1982 წელს დადგმული ცნობილი სპექტაკლის „ასის წლის წინათ" ერთი მოქმედება, სადაც თენგიზ არჩვაძე დიდი ილია ჭავჭავაძის როლს ასრულებს. განახლებული წარმოდგენის პირველი ჩვენებაც სწორედ ვარსკვლავის გახსნის დღეს შედგება.

საღამოში მონაწილეობას მიიღებენ მსახიობები გივი ბერიკაშვილი, დავით დვალიშვილი, ნატო არჩვაძე, პოეტი თემურ ჩალაბაშვილი, ანსამბლი „ერისიონი" და სხვა ცნობილი ხელოვანები. შემოქმედებითი საღამოს დასრულების შემდეგ კი მარჯანიშვილის თეატრის წინ საზეიმო ვითარებაში თენგიზ არჩვაძის ვარსკვლავი გაიხსნება.

**ეკა ირემაშვილი**

## იუმორი



— მამაკაცს ქალი მანამდე უნდა დაუბრუნდეს, სანამ კაცი მიხვდება, რომ უიმისოდაც კარგად გრძნობს თავს...

* * *

— თუ მე ვიცი, რომ არაფერი ვიცი, საიდან ვიცი, რომ არაფერი ვიცი?

* * *

— მამა, ვინ არის მასაჟისტი?

— ეს არის კაცი, ვინც ქალებისაგან იღებს ფულს იმაში, რისთვისაც სხვები სილას იღებენ...

* * *

— ადამიანი ადამიანისათვის მგელია, მგელი მგლისთვის — ადამიანი.

* * *

ქალი ფსიქოთერაპევტთან.

— ექიმო, ვერ გამიგია, მიყვარს თუ არა ჩემი ქმარი.

— რა გაეჭვებთ?

— ის, რომ სექსის დროს მასზე არ ვფიქრობ.

— აბა, ვისზე ფიქრობთ?

— იმაზე, ვისთანაც სექსი მაქვს...

## შოთა არველაძე მსოფლიოში 90-ე ადგილზეა



ერთ-ერთ უცხოურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა იმ ფეხბურთელთა სია, რომელთაც კარიერაში 200-ზე მეტი გოლი აქვთ გატანილი.

აღსანიშნავია, რომ მათ შორის ფიგურირებს ქართველი შოთა არველაძე, რომელიც 90-ე ადგილზეა მსოფლიოს ყველა დროის ბომბარდირთა შორის. ამ მაჩვენებელში ნაგულისხმევია ამა თუ იმ ქვეყნის ჩემპიონატების უმაღლეს ლიგებში გატანილი გოლების რაოდენობა.

იმავე ვებგვერდის ცნობით, თურქული „ქაისერსფორის" დღევანდელ თავკაცს 430 მატჩში 263 ბურთი აქვს გატანილი, სხვა მონაცემებით ეს რაოდენობა 258-ია.

თბილისის „დინამოში" (ერთ პერიოდს „იბერიად" იწოდებოდა) — 62, თურქულ „ტაბზონსფორში" — 71, „ჰოლანდიუ „აიასში" — 55, ასევე ჰოლანდიურ „ალკმაარში" — 36 და შოტლანდიურ „რეინჯერსში" — 44.

ყოფილი საბჭოთა ქვეყნებიდან ჩვენებურზე მეტი გოლი მხოლოდ ესტონელ მაქსიმ გრუზნოვს აქვს გატანილი, რომელიც 38 წლის არის და თამაშს კვლავაც აგრძელებს.

ვინ შეიძლება გაასწროს არველაძეს უახლოეს მომავალში მოქმედი ფეხბურთელებიდან? დიდ ბრაზილიელ რონალდოს 246 გოლი აქვს გატანილი, არგენტინელ მარტინ პალერმოს — 239, „რეალის" ლეგენდასა და „შალკეს" ფეხბურთელ რაულს — 236. ამდენივე გოლი აქვს გატანილი ნორვეგიელ სიგურ რუშფელტს, ხოლო ფრანგ ტიერი ანრის — 234.

მიმდინარე მაჩვენებლით მსოფლიოში სულ 313 ფეხბურთელია, რომლებსაც 200-ზე მეტი გოლი აქვთ გატანილი. ლიდერი „ფეხბურთის მეფე" პელეა, რომელსაც 560 მატჩში 541 გოლი გაუტანია.

საუკეთესო ხუთეულის სია კი ასე გამოიყურება:

1. პელე (ბრაზილია) — 541;
2. იოზიფ ბანიკი (ჩეხოსლოვკია) — 518;
3. ფერენც პუშკაში (უნგრეთი, ესპანეთი) — 511;
4. რომარიო (ბრაზილია) — 489;
5. რობერტო დინამიტი (ბრაზილია) — 470

აღსანიშნავია ისიც, რომ არველაძე ამ მაჩვენებლით თვით ლეგენდარულ დიეგო მარადონას უსწრებს, რომელიც 97-ე ადგილზეა.

**მ. ჟ.**

## გიორგი აფციაურმა კონცერტების დადგმა დაიწყო



**ეკა ირემაშვილი**

23 იანვარს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში „კომედი შოუს" იუმორისტი გიორგი აფციაური მორიგ კონცერტს გამართავს სახელწოდებით „სხვა კონცერტი", რომელიც იუმორისტის სადიპლომო პროექტია. გიორგი არ მალავს, რომ მაყურებელში მისმა პროექტმა დიდი მოწონება დაიმსახურა, ამიტომაც ეტაპობრივად საზოგადოებას „სხვა კონცერტს" განახლებული შემადგენლობით მომავალშიც შესთავაზებს.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## საქმიანი ქალი

### ტესტი



***1. როგორია თქვენი ზოგადი წარმოდგენა საქმიანი ქალის შესახებ?***

ა) ქალი, რომელსაც ბევრი საქმე აქვს; ბ) ქალი, რომელიც ახერხებს მათ კეთებას; გ) ქალი, რომელიც ახერხებს თავისი ფუნქციების შესრულებას როგორც შინ, ასევე გარეთ; დ) საქმიანი ქალი ქალი აღარ არის.

***2. ვთქვათ, ვიღაცას დახმარებას დაჰპირდით, მაგრამ რატომღაც ვეღარ ახერხებთ დაპირების შესრულებას. თქვენი მოქმედება:***

ა) აცნობებთ გარემოებების შეცვლის შესახებ; ბ) შეეცდებით აუხსნათ, რა ვითარებაში მოხვდით და მომავლისთვის დაჰპირდებით დახმარებას; გ) შეეცდებით შეასრულოთ დაპირება; დ) არასდროს არავის არაფერს ჰპირდებით.

***3. შინ და სამსახურში სხვადასხვა ნივთებით სარგებლობთ. რა წესებით განალაგებთ მათ?***

ა) ყველა ნივთი ძევს იქ, სადაც სურს; ბ) ყველა ნივთს თავისი ადგილი აქვს; გ) დროდადრო ვალაგებ მათ; დ) დროის უკმარისობის გამო ვინმე სხვას ვთხოვ მათ დალაგებას.

***4. დავალებების, თხოვნებისა და პრობლემების ფიქსირების რომელ მეთოდს იყენებთ?***

ა) დღიურში ვწერ; ბ) ნაწილს ვიმახსოვრებ; გ) ყველაფრის დამახსოვრებას ვცდილობ; დ) ვადგენ საქმეების დღიურ სიას.

***5. რამდენად ზუსტად მიდიხართ ოფიციალურ შეხვედრაზე?***

ა) წინასწარ და ცოტა ადრეც; ბ) დროულად; გ) როგორც წესი, ვიგვიანებ; დ) ყოველთვის ვიგვიანებ.

***6. ანიჭებთ თუ არა მნიშვნელობას დავალებების დროულ შესრულებას?***

ა) აუცილებლად; ბ) დავალების დროული შესრულება ახალი დავალების მიღების შანსია; გ) ქალი სამსახურში დავალებებს უნდა ასრულებდეს, მაგრამ აუცილებელი არ არის — დროულად; დ) ვცდილობ ნაკლები ვილაპარაკო და მეტი ვიმუშაო.

**პასუხები იხ. მე-10 გვერდზე**